

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო

## უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

### მარინა კელიხაშვილი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და  
ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები საბაზრო  
ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მცხეთა-  
მთიანეთის რეგიონის მაგალითზე

ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

აგრობიზნესის მენეჯმენტი - 34

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ეკონომიკის

აკადემიური დოქტორი,

სრული პროფესორი : ლ. ჩიბურდანიძე

თბილისი 2010

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი;

თავი - 1. საქართველოს სოფლის მეურნეობა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში;

- 1.1. სასურსათო უზრუნველყოფა – ქვეყნის გლობალური რობლემა;
- 1.2. საქართველოს აგრარული სექტორის თანამედროვე სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- 1.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ - ფინანსური პრობლემები და სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები;

თავი – 2. ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების როლი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში;

- 2.1. ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში;
- 2.2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თავისებურება და ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებს შორის არსებული განსხვავების ანალიზი;
- 2.3. ფერმერთა (ოჯახური მეურნეობების) კოოპერირება და მეტი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის კონკრეტული გზების ანალიზი;

თავი - 3 . მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები;

- 3.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის სრულყოფის გზები მცხეთა-მთიანეთის მხარის მაგალითზე;
- 3.2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საადგილმამულო რეფორმის მიმდინარეობა და შედეგები;

3.3 მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სიტუაციური ანალიზი;

## თავი - 4 . საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი დაძლევის გზები

- 4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები;
- 4.2 აგრარული სექტორის კრედიტზე მოთხოვნის სიდიდე და მისი ანალიზი;

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურა.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### თემის აქტუალობა.

საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალი გააჩნია, რომლის გამოყენებაც ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ხერხდება. ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მნივნელოვნად გაზარდოს თავისი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუმცა ამ პოტენციალის რეალიზებასა და დასახული მიზნების მიღწევას მრავალი სირთულე აფერხებს.

ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად დამთავრდა სოციალისტური აგრარული ეკონიმიკიდან საბაზო აგრარულ ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი ეტაპი. მთლიანად შეიცვალა აგრარული სტრუქტურა, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო-ორგანიზაციული და საკუთრებითი ფორმები, თითქმის დასრულდა პრივატიზაციის პროცესი, ჩამოყალიბდა საადგილმამულო ურთიერთობათა ახალი სისტემა. სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთმა ძირითადმა დარგმა, დაიწყო ფუნქციონირება სრულიად ახალ, საბაზო ეკონომიკურ გარემოში და შეიძინა საბაზო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და ნიშნები. ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებასა და სპეციალიზაციაშიც, ფორმირებულია სასურსათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის, ახალი საკრედიტო სისტემის შექმნის პროცესი, აგროსექტორში განვითარება დაიწყო მეწარმეობამ და აგრობიზნესმა. შექმნა სასურველი პირობები საკუთრებისა მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებისათვის, შექმნილია კონკურენციის პირობები და სხვა. მაგრამ აგრარული სექტორის საქმიანობის საშედეგო მიგვითოებები იმ

კრიზისულ მდგომარეობაზე, რომელშიც იგი იმყოფება დღეს. ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალო მოსავლიანობა პოტენციურის მხოლოდ 1/3 –ს შეადგენს, სახნავ-სათესი ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში, სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 52%-ით სჭარბობს ექსპორტს, იმ ფერმერთა რაოდენობა, რომელთა მეურნეობის ფართობიც 4 პას აღემატება შეადგენს 16 ათასს, რაც კერძო საკუთრებაში არსებული მიწების საერთო ფართობის 40%-ია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 52 პროცენტი, იგივე მაჩვენებელი 1990 წელს მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდა, უმუშევრობის დონე ქვეყანაში აღემატება 15 პროცენტს და არ ხასიათდება შემცირების ტენდენციით, ფერმერული შემოსავლები შემოსავლების ეროვნული მაჩვენებლის მხოლოდ 1/3-ს შეადგენს., აგრო-სასურსათო სექტორში კაპიტალის უტილიზაციის დღეს არსებული დონე, სავარაუდოდ, 600 მილიონ ლარს აჭარბებს, სექტორის სრული პოტენციალით ამოქმედებისათვის აუცილებელი კაპიტალის მოცულობა დაახლოებით 2 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სადღეისოდ არსებული კაპიტალის დეფიციტი თითქმის 1,5 მილიარდ ლარს უტოლდება.

ამასთან დაკავშირებით, ძალზე აქტუალურად მიგვაჩნია ქვეყნის აგრარულ სექტორში საბაზო მექანიზმის რიგი თეორიული და პრაქტიკული მიდგომების, მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობის მეცნიერული დასაბუთებულობის და ჩამოყალიბებული ეკონომიკური მოდელის ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, სპეციალური კვლევის ჩატარება ისეთი წინადადებებისა და ღონისძიებების დამუშავებისათვის, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს ზემოთ ჩამოთვლილი

ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და წარმოშობილი საკითხების დადგებითად გადაწყვეტას, რითაც უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება ეს მოდელი აგრარული რეფორმის დამამთავრებელ ეტაპზე.

ჩვენი აზრით ყოველივე ეს დღეისათვის დიდ თორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რამაც განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევანი.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზო ურთიერთობების დამკვიდრების პრობლემებზე ბოლო წლებში მრავალი საინტერესო მონოგრაფია, საუკუნეების და საგაზეთო სტატია გამოქვეყნდა. დაიწერა სადირსერტაციო ნაშრომები, რომლებიც მიძლინილია როგორც მთლიანად ეკონომიკური რეფორმებისადმი, ისე აგრარული რეფორმის პრობლემებისადმი. მიუხედავად ამისა, უადრესად აქტუალურია საბაზო ურთიერთობების პირობებში აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესების, განსაკუთრებით კი – აგრარული კრიზისის გამომწვევი მიზეზების, უარყოფითი შედეგების შესწავლა, მათი დაძლევის გზების დასახვა, შესაბამისი პროგრამების შემუშავება.

როგორც საერთოდ ეკონომიკური რეფორმების, ისე აგრარული რეფორმის მიმდინარეობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები და იდეები აქვთ მოცემული თავიანთ შრომებში მეცნიერ – ეკონომისტებს: გ. ადეიშვილს, რ. ასათიანს, თ. ბერიძეს, ს. ყამარაულს, ვ. ბურკაძეს, ა. გუნიას, რ. გოგოხიას, პ. გიორგაძეს, დ. დიასამიძეს, პ. კოლუაშვილს, ზ. ელიზბარაშვილს, თ. ვაშაკიძეს, შ. ბენიას, დ. თოფურიას, ნ. ტურაბერიძეს, ლ. ჩიბურდანიძეს, ა. კიკაველიძეს, პ. ლემონჯაგას, გ. ნიკოლეიშვილს ა. სილაგაძეს, თ. ქეშელაშვილს, დ. ძნელაძეს, ნ. ჭითანავას, ა. ჯიბუტს და სხვებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი მწვავე პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, როგორც მიკრო ისე მაკრო დონეზე, ამ პრობლემების გადაწყვეტა მკვლევართა დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ჩვენ შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში, გარკვეული წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფუნქციონირების და ეფექტიანად წარმართვის კონკრეტული გზების ძიება, ნაკლოვანი მხარეების გამოვლენა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავება, დაფინანსების საგარაუდო წყაროების შესწავლი-ანალიზი და მათი გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, საკვლევ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და კრიზისული მდგომარეობის დაძლევის გზების ძიება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

- სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებების შესწავლა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ;
- სოფლის მეურნეობაში კრიზისული მოვლენების გამომწვევი მიზეზების დახასიათება;
- აგრარული გარდაქმნის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება;
- აგრარული ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ანალიზი და აგრარული კრიზისიდან გამოსვლის გზების გამოკვლევა;
- კვლევის შედეგების საფუძველზე საბაზრო მექანიზმის სისტემის ისეთი მოდელის დამუშავება, რომელიც მიესადაგებოდა ჩვენი ქვეყნის აგრარულ ეკონომიკას;

- სახელმწიფო რეგულირების დასაბუთება აგრარული ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში;
- სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის განვითარება და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა ქვეყანაში;
- საკვლევი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და მათი დაძლევის კონკრეტული გზების ძიება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე საკვლევი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული სფერო და მასში მიმდინარე პროცესები.

კვლევის საგანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დღევანდელი მდგომარეობა, მისი ფინანსური უზრუნველყოფა და პრობლემები, საადგილმამულო რეფორმის მიმდინარეობა და შედეგები, ფერმერული (ოჯახური) მეურნეობები და მათი განვითარების პერსპექტივები, აგრარული სექტორის კრედიტზე მოთხოვნის სიდიდე და ანალიზი.

**კვლევის თემრიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** გამოკვლევის თემრიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია თანამედროვე ეკონომიკური თეორია კვლავწარმოების, მის რეგიონულ კანონზომიერებათა და თავისებურებათა შესახებ. ფართოდ არის გამოყენებული სადისერტაციო თემის ირგვლივ არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის ეკონომიკური ლიტერატურა, კერძოდ, ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, თეორიული და სამეცნიერო-პრექტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, მთავრობის პროგრამული დოკუმენტები და საკანონმდებლო აქტები. დისერტაციაში კვლევის სტატისტიკურ ბაზას წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკური მასალები, კერძოდ,

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის,  
საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების  
სამინისტროების, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის  
სამინისტროს მასალები, აგრეთვე ცალკეული საწარმოების  
ანგარიშგებითი მონაცემები და საკუთარი დაკვირვების (კვლევის)  
შედეგები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია მონოგრაფიული,  
საბალანსო, შედარების, სტატისტიკური ანალიზის, სინთეზის,  
ნორმატიული, ეკონომიკურ-მათემატიკური, ლოგიკური და სხვა  
მეთოდები, აგრეთვე, საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამუშავებული  
რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომი  
წარმოადგენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მექანიზმის ფორმირების  
შედეგად ამ მექანიზმები გადასულ აგრარული სექტორის  
სტრუქტურაში, საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობებში,  
წარმოების სპეციალიზაციაში და განლაგებაში, მის მოცულობასა და  
ეფექტიანიბაში მომხდარი ცვლილებების ანალიზს და სოფლის  
მეურნეობაში ამ მექანიზმის რეალური დამკვიდრების  
უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა დამუშავების ერთ-ერთ  
პირველ მცდელობას.

ჩატარებული კვლევის პროცესში მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია:

- გამოვლენილია ამ სისტემაში აგრარული ეკონომიკის და საბაზრო ურთიერთობათა თავისებურებანი, მასში სოფლის მეურნეობის დარგის ფუნქციონირების სპეციფიკური ნიშნები;
- განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადგილი და როლი ახალ ეკონომიკურ გარემოში, გამოვლენილია მის განლაგებაში

და სპეციალიზაციაში, წარმოების სტრუქტურაში და მოცულობაში მომხდარი ცვლილებები;

- დადგენილია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობები მთლიანად ქვეყანაში და საკვლევ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. ჩვენს მიერ გაანგარიშებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობების ხვედრითი წილით განსაზღვრული იქნა სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის დონე. გაკეთდა მათში მომხდარი ცვლილებების ანალიზი საბაზისო, რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით;
- შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმოების ინტეგრაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, და სამეწარმეო უნარის გამოყენება;
- დამუშავებულია აგრარული ბაზრის სახელმწიფო დარეგულირების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის;
- სოფლის მეურნეობის რესურსული პოტენციალის განსაზღვრა და შეფასება;
- სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის წინადადებების შემუშავება და პერსპექტიული პარამეტრების განსაზღვრა.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია არამარტო საკვლევი რეგიონის, არამედ ზოგადად ქვეყნის მასშტაბითაც. თეორიული ცოდნის ამდღებასთან ერთად იგი დახმარებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ორგანიზაციისა და მართვის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და მკვლევარებს, ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის

ეკონომიკის, კერძოდ სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების დადგებითად გადაწყვეტის საქმეს.

**ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია.** დისერტაციის ძირითადი შინააარსი გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ჟურნალში. სადისერტაციო ნაშრომი განხილული და მოწონებულია საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის გაფართოებულ სხდომაზე.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდს. შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისგან. ნაშრომს თან ერთვის 116 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

## **თავი – 1. საქართველოს სოფლის მეურნეობა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში**

### **1-1. სასურსათო უზრუნველყოფა – ქვეყნის გლობალური პრობლემა**

21-ე საუკუნეს მემკვიდრეობით გადაეცემა კაცობრიობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემა – ჩვენი პლანეტის მოსახლეობის არასაკმარისი სასურსათო უზრუნველყოფა.

ეს პრობლემა უმწვავესია და კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე აწუხებს. შიმშილი და არასაკმარისი კვება, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, თან სდევს ცივილიზაციის განვითარებას განსაზღვრულ სივრცესა და დროში. სურსათზე ადამიანთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს მათ მიერ წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობა და სურსათის მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება მასზე მოთხოვნილებას.

სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის მასშტაბებზე მეტყველებს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მონაცემები დედამიწაზე დღეს 400 მილიონამდე ადამიანი შიმშილობს მათ შორის 300 მილიონი სასიკვდილოდ არის განწირული. ყოფელწლიურად შიმშილისაგან 50 მილიონი ადამიანი იღუპება, მათ შორის 20 მილიონი – 5 წლამდე ასაკის ბავშვია.

არასაკმარისი და არასრულფასოვანი კვების სხვადასხვა ფორმით დღევანდელ მსოფლიოში დაახლოებით 1.5 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება. მსოფლიოს 41 განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობა

არასაკმარისი კვების სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. არასაკმარისად იკვებება ყოველი მესამე აფრიკელი, ლათინოამერიკელი და ყოველი მეათე ახლოაღმოსავლეთის მაცხოვრებელი.

ამავე მონაცემებით 2021 წლისათვის როდესაც მსოფლიოს მოსახლეობა სავარაუდოდ 4 მილიარდ ადამიანს მიაღწევს ე. ი. 70-იან წლებთან შედარებით მისი რაოდენობა 2.1 მილიარდი ადამიანით გაიზრდება, მსოფლიოში ისაზრდოებს 1 მილიარდი ადამიანი.

ბუნებრივია მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობი გაზრდა გამოიწვევს სურსათზე მოთხოვნილების გაზრდასაც. სავარაუდოა, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდა განვითარებად ქვეყნებზე მოვა ამასთან, ამ ქვეყნებში 2025 წლისათვის სავარაუდოდ 2 მილიარდი ადამიანით გაიზრდება ქალაქად მაცხოვრებელთა რიცხვი, რომელთაც სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით მეტნაკლებად მაღალი შემოსავლები ექნებათ. ამ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლების მოკრძალებული ზრდაც კი ეკონიმისტთა გაანგარიშებით სურსათზე მოთხოვნილებას გააორმავებს.

მოსახლეობის ზრდა, ურბანიზაციის მაღალი დონე და მზარდი შემოსავლები მნიშვნელოვნად შეცვლის სურსათზე მოთხოვნილების რაოდენობრივ და თვისობრივ პარამეტრებს.

შეძლებს კი მსოფლიო აწარმოოს იმ რაოდენობის სურსათი რომ გამოკვებოს 8 მილიარდი ადამიანი და ამავე დროს შეამციროს შიმშილის ზღვარზე მყოფი 1 მილიარდიანი ფენა? შეეძლება თუ არა მსოფლიოს შექმნას ისეთი სავაჭრო ქსელი, რომელიც გააფართოვებს სურსათის დისტრიბუციას და მიაწოდებს სურსათს მილიონობით და მილიარდობით ადამიანს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში? აი ის გლობალური საკითხები, რომელიც აღელვებს დღეს მსოფლიოს წამყვან ეკონომისტებს და ეკოლოგებს, რომლებიც პლანეტის, მოსახლეობის სასურსათო პრობლემებზე მუშაობენ. 2015 წლამდე

პერიოდში მსოფლიოში მარცვლეულისა და ბურღულეულის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ 1.5-1.7 პროცენტით გაიზარდოს წელიწადში. თითქმის ამავე ფარგლებში შეიძლება გაიზარდოს ამ პროდუქტებით ვაჭრობაც. მოსავლიანი ფართობები მარცვლოვანი კულტურების ქვეშ შედარებით მცირედ გაიზრდება, ვინაიდან კულტივირებულ მიწათა რაოდენობა ლიმიტირებულია. ისედაც შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ყოველწლიურად უარსდება წყლისმიერი თუ ქარისმიერი ეროზიით. თევზის წარმოებამ თითქმის მიაღწია საკუთარ ბიოლოგოურ ლიმიტს. ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო ბევრი მკვლევარი და პოლიტიკოსი პესიმისტურადაა განწყობილი და არც თუ შორეულ მომავალში გარდაუვალ გლობალურ შიმშილს ვარაუდობს.

საბედნიეროდ არსებობს საწინააღმდეგო, ოპტიმისტური მონაცემებიც. 8 მილიარდი ადამიანი რომ გამოიკვებოს, საჭიროა სურსათის წარმოების გრძელვადიანი ზრდის მსოფლიო მასშტაბით დაპროექტება. სურსათის ზრდა მომავალში ძირითადად მოსავლის ბიოლოგიური მასის გაზრდით (ინტენსიფიკაცია) უნდა განხორციელდეს, ვიდრე კულტივირებული მიწების გაფართოებით (ექსტენსიფიკაცია). იმის გათვალისწინებით, რომ მოსავლიანი მიწების უმრავლესობა უკვე კულტივირებულია და ირიგირებული ოპტიმისტ მკვლევართა და ეკონომისტთა მიერ მსოფლიოს სასურსათო უზრუნველყოფის გრძელვადიან და სიცოცხლისუნარიან არჩევნად მიიჩნევა ბიოტექნოლოგიური ფერმერული სისტემების ინტენსიური განვითარება. ეს არის მსოფლიოს მასშტაბით ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური არჩევანი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 70%-ი სოფლად ცხოვრობს, ასე, რომ ეს არჩევანი საშუალებას მისცემს მსოფლიოს ეფექტიანი ფერმერული სისტემების შექმნა – განვითარებით გააუმჯობესოს სოფლად მაცხოვრებელთა

შემოსავლებიც და ამით დაბლა დასწიოს სიდარიბის დონე. მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს – სურსათზე ხელმისაწვდომობას, სურსათის შეღწევადობას ბაზარზე და სურსათის ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას. სამივე ეს კომპონენტი ითვლება სასურსათო უზრუნველყოფის აუცეილებელ პირობად.

შესაძლებელი იქნება თუ არა სტიმული მიეცეს მსოფლიოს ფერმერულ მეურნეობებს, რათა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები და დააკმაყოფილონ მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე? ეს შესაძლებელი იქნება მაშინ:

- თუ განვითარდება მდგრადი პროდუქტიული ფერმერული სისტემები, რომლებსაც შეეძლებათ გააორმავონ სურსათის წარმოება. ეს კი მოითხოვს გაძლიერებულ მუშაობას ყველა მიმართულებით – ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ, აგრონომიულ, სასელექციო, ფერმერული მეურნეობის მართვის და სხვა საკითხებში.
- თუ მსოფლიოს მასშტაბით განხორციელდება ქვეყნების ისეთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და გაძლიერდება ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც წაახალისებენ სოფლის მეურნეობისა და ფერმერული მეურნეობების განვითარებას.
- თუ გაიზრდება ინვესტიციების ჩადება სასოფლო-სამეურნეო კვლევებში და ამაღლდება მჭიდრო თანამშრომლობა კერძო სექტორსა და თანამედროვე მოლეკულურ – ბიოლოგიურ მეცნიერებას შორის.
- თუ განმტკიცდება კურსი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის. 1994 წლის მარაკეშის შეთანხმებით სოფლის მეურნეობა ჩაერთო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (GATT\WTO) წესებში. ეს კი აფართოებს

სამოქმედო არეალს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც უნდა შევიდნენ სტაბილურ მსოფლიო ბაზარზე, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ ქვეყნების დაცვისაკენ, რათა გაუმჯობესდეს მათი შეღწევადობა საერთაშორისო ბაზარზე.

**XX** საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს მიწადმოქმედებაში სამი ხარისხობრივი ძვრა მოხდა: 1) მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული კულტურების გამოყვანა და წარმოებაში მათი დანერგვა (“მწვანე” რევოლუცია); 2) ბიოტექნოლოგიური რევოლუცია; 3) აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფართო განვითარება და დარგობრივი აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნა.

მიუხედავად მეცნიერთა პერიოდული წინასწარმეტყველებისა სურსათის მოსალოდნელი უსაფრთხოების შესახებ, მსოფლიომ საკმაოდ კარგად განახორციელა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა გასული 30-40 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში მსოფლიოში მარცვლეულისა და ბურღულეულის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო სასურსათო პროდუქციის წარმოება მთლიანად – 37%-ზე მეტად. მოსახლეობის დღიური კალორიულობა გაიზარდა 35%-ზე მეტად (ერთ სულ მოსახლეზე 2700 კბალორია).

მაგრამ, მიუხედავად გლობალური ეფექტიანობის განხორციელებისა, სურსათის უკმარისობა ამ წლებში მაინც წარმოადგენდა სერიოზულ პრობლემას. 70-იანი წლებისათვის მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 35%-ი განიცდიდა საკვების უკმარისობას. ამასთან, ამ მოსახლეობის 76% ცხოვრობდა აზიაში (მ.შ 51% - აღმოსავლეთ აზიაში), ხოლო 11% კი – აფრიკაში. 90-იანი წლებისათვის ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: შესაბამისად, აზიაში – 60% (მ.შ 30% - აღმოსავლეთ აზიაში) და

აფრიკაში 25%-ი. დიდი ხნის განმავლობაში სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების არასაკმარისი რაოდენობა წარმოადგენდა. მაგრამ დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, კაცობრიობის საწარმოო ძალებმა განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომელიც საშუალებას იძლევა გაცილებით უფრო მეტი მოსახლეობა უზრუნველყოს საკვებით, ვიდრე ცხოვრობს ჩვენ პლანეტაზე.

თანამედროვე ტექნიკური თვალსაზრისით უზარმაზარი რეზერვები არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ბუნებრივი ფაქტორების გამოყენების ინტენსიფიკაციისა. თანამედროვე ტექნოლოგიებისა (თუნდაც გენური ინჟინერიის ამოუწურავი შესაძლებლობების ) და ზემოთ აღნიშნული მიღწევების გამოყენებით და მთელ დედამიწაზე რაციონალური გადანაწილებით შესაძლებელი იქნებოდა მოსახლეობის სრული სასურსათო უზრუნველყოფა და შიმშილისა და არასაკმარისი კვების ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა.

ინგლისელი მეცნიერის, კოლინ კლარკის, გაანგარიშებით, დღეს არსებული მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, მსოფლიოს შეუძლია გამოკვებოს 10-ჯერ მეტი მოსახლეობა, ვიდრე ამჟამად ცხოვრობს დედამიწაზე. მსოფლიო სასურსათო პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზა კი ეკონომიკის სწორი და რაციონალური მართვაა.

მსოფლიო ცივილიზაციის გლობალური პრობლემა – მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა – მთელი სიმწვავით დადგა საქართველოს წინაშეც, როდესაც მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაიწყო საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის გზების ძიება. ამ კრიზისულ წლებში, როდესაც ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში

აქტივობა ფაქტიურად შეწყდა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირების შედეგად საქართველოში გამწვავდა სასურსათო დეფიციტი. განუხრელად ეცემოდა ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონეც, რაც გამოიხატებოდა მომხმარებელი სურსათის საერთო მოცულობის კლებასა და მისი სტრუქტურის გაუარესებაში.

ასეთ პირობებში, სასურსათო დეფიციტის აღმოსაფხვრელად ქვეყანა იძულებული იყო ფართოდ გაედო კარგი იმპორტული სასურსათო პროდუქციისათვის. აგრარულ სექტორში ეკონომიკური რეფორმის გატარებამ, დეკოლექტივიზაციის, მიწისა და საწარმოების პრივატიზების პროცესმა, რომელსაც შედეგად მოჰყვა კერძო ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების ჩამოყალიბება, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში სასურსათო დეფიციტის პრობლემის დაძლევას.

სწორედ ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებშია თავმოყრილი ქვეყნის აგრარული სექტორის ის ძირითადი საწარმოო პოტენციალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა და არა მარტო ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების სამამულო წარმოების პროდუქციით წარმოებაც, რაც იმის წინა პირობაცაა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო და სამრეწველო კომპლექსი მჭიდროდ ჩაერთოს საერთაშორისო ინტეგრაციაში და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ზოგადსაკაცობრით პრობლემის – არასაკმარისი სასურსათო უზრუნველყოფის აღმოფხვრაში.

დაბალანსებული კვების ხარისხის გაუმჯობესება შემოსავლის ზრდასთან ერთად სიდარიბის დაძლევის პროგრამის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია.

2008 წლის დასაწყისში ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ მოხმარებული კალორიების დღიური ნორმა საშუალოდ 2760-ს

შეადგენდა, რაც 2007 წელთან შედარებით 5 პროცენტით ნაკლებია. ეს ალბათ საკვები პროდუქტების ფასების ზრდითაა გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ 2760 კალორია სავსებით დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია, ეს მაინც მხოლოდ საშუალო მაჩვენებელია და მეტი არაფერი. მოსახლეობის ნახევარზე მეტი დღიურად საშუალოდ 2100 კალორიაზე მეტს მოიხმარდა, მოსახლეობის ერთი მეთხედი კი, - საშუალოდ დაახლოებით 1600 კალორიას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებული კალორიების დღიური ნორმა 2100-ს შეადგენს (აბსოლუტური მინიმუმი 1800 კალორია), მოსახლეობის უმეტეს ნაწილის კვების მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს.

დღესდღეობით სოფლის რაიონებში მიღებული კალორიების საშუალო დღიური მაჩვენებელი დაბებისა და ქალაქების ანალოგიურ მაჩვენებელზე ბევრად მეტია (დაახლოებით დღეში 3300 კალორია სოფლად, 2600 კალორია ქალაქში); ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია მთაში, ვიდრე ბარში (დაახლოებით 3600 კალორია მთაში, 2700 კალორია ბარში); ეს მაჩვენებელი მაღალია სოფლად მცხოვრებ ოჯახებში ურბანულ ოჯახებთან შედარებით (დაახლოებით 3400 კალორია და 2600 კალორია, შესაბამისად). თუმცა სოფლის ზონებშიც, მთაშიც და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შორისაც კი, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები კალორიების მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდიან,

ახლახან გამოქვეყნებული “მსოფლიო სურსათის პროგრამის შინამეურნეობების სასურსათო მდგომარეობის” კვლევის თანახმად, სურსათით უზრუნველყოფის მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა ჩაისა და ციტრუსების მოყვანაზე ორიენტირებულ რეგიონებში, - აჭარის დიდ ნაწილში, გურიასა და სამეგრელოში შეინიშნება. იგივე ვითარებაა იმ მაღალმთიან ზონებში, სადაც მცხნარეული საკვები საკმარისი

რაოდენობით არ იწარმოება. გარდა ამისა, სურსათის ნაკლებობა შეიმჩნევა იმერეთისა და შიდა ქართლის ცალკეულ ოლქებში. საინტერესოა, რომ ეროვნული და დონორული პრიორიტეტულ ორ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა ყველაზე მყარია სხვა რეგიონთან შედარებით, გარდა კახეთისა.

საქართველოს საშუალო სტატისტიკური ოჯახი სურსათზე შემოსავლის 45-62 პროცენტს ხარჯავს, რაც დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს იგივე მაჩვენებელს 3-4-ჯერ აღემატება. როგორც უკვე აღინიშნა, სასურსათო ხარჯების ასეთი სიდიდის მიუხედავად, მნიშვნელოვანი კვებითი დეფიციტი მაინც პრობლემად რჩება. სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული სასურსათო მდგომარეობის ბიულეტენის მონაცემებზე დაყრდნობით, ეს მაჩვენებელი 62 პროცენტს შეადგენს, თუმცა იგი მერყეობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონისათვის. სოფლებში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ოჯახებსა და მთიან რეგიონებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 70 პროცენტს აჭარბებს, დიდ ქალაქებში 50 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო დაბლობ ადგილებში, - 60 პროცენტზე ოდნავ მეტი. რეგიონებს შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 45 პროცენტს შეადგენდა) მერყეობს. ეს ინდიკატორები მსოფლიო სასურსათო პროგრამის კვლევის მონაცემებს შეესაბამება, სადაც სოფლის საშუალო შემოსავლის მქონე და უდარიბესი მოსახლეობისათვის 56-71 პროცენტიანი დიაპაზონია მითითებული. (აჭარის რეგიონისათვის მოცემული კვების ნორმის დაბალი დონის მაჩვენებელი არ შეესაბამება ამ რეგიონის შემოსავლების, დასაქმების, სიღარიბისა და კვების რაციონის ამსახველ მონაცემებს. უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სურსათზე გაწეული შედარებით დიდი ხარჯების გამოკლებით, აჭარაშიც სხვა რეგიონებში არსებული სიტუაციის იდენტური მდგომარეობა დაფიქსირებულიყო. საინტერესო,

რომ 2000 წლის შემდეგ ქვეყანაში სასურსათო მდგომარეობის თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი გაუარესება, ან გაუმჯობესება არ დაფიქსირებულია. ამ პერიოდში საურსათო დანახარჯები სამომხმარებლო ხარჯების 62-66 პროცენტს შორის მერყეობდა, ანუ საშუალოდ 64 პროცენტს შეადგენდა. 2008 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 66 პროცენტს გაუტოლდა (შენიშვნა: ეს რამდენიმე ეწინააღმდეგება სხვა მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ქვეყანაში მომხმარებული ქალორიების რაოდენობამ 5 პროცენტით იკლო სურსათის ფასების მომატების გამო [იხ. ქვემოთ წარმოდგენილი განხილვა]).

რაც შეეხება ფასებს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა სურსათის 21 სახეობის 2003-2004 წლების ფასები 2007-2008 წლების ფასებს შეადარა. აღმოჩნდა, რომ 15 სახის პროდუქტის ფასმა მოიკლო, 6 პროდუქტზე კი მოიმატა. ლარის მიმდინარე კურსით ამ პერიოდის განმავლობაში ფასების ინდექსი 6 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან ხორბლის, პურისა და მარცვლეულის ფასების მუდმივი ზრდა შეინიშნებოდა ფასების ზრდის ეს ტემპი (შეწონვის გარეშე) მაინც ჩამორჩებოდა საერთო ინფლაციის ტემპებს. ამდენად, კვებაში დღესდღეობით არსებული დეფიციტი სურსათის ფასების საერთო ზრდით განპირობებული არ არის. გარდა ამისა, ფაქტობრივად, შემოსავლები სურსათის ფასებზე გაცილებით სწრაფად გაიზარდა. მაგალითად, ხელფასების საშუალო დონემ 2004-2008 წლებში 83 პროცენტით იმატა, მაშინ როცა ხორბლის, პურისა და მარცვლეულის ფასები მხოლოდ 11 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული პერიოდის შემდეგაც მოხდა ხელფასებისა და პენსიების მატება, თუმცა მოხდა პურის, სხვადასხვა პროდუქტების, საწვავის და ბუნებრივი აირის ფასების ზრდა.

2007 წლის პირველ და 2008 წლის პირველ კვარტლებს შორის პერიოდშიც კი, როცა სურსათის ფასები თითქოს ჩვეულებრივზე მეტად უნდა გაზრდილიყო, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ბიულეტენში დაფიქსირებული საქონლის ფასების საშუალო შეუწონელი ზრდა მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო პურისა და ფქვილისათვის (ხორბლისა და სიმინდისა) 3.3 პროცენტს. ორივე შემთხვევაში ფასების ეს ზრდა საერთო ინფლაციის მაჩვენებელს ჩამორჩებოდა და ამავე პერიოდში დაფიქსირებულ ხელფასების 21 პროცენტიან ზრდაზე ნაკლები იყო. ამდენად, როგორც ჩანს, სურსათზე ხარჯების ზრდა არ არის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული პვების არადაკმაყოფილებელი დონის განმაპირობებელი ფაქტორი.

მომავალში მოსახლეობის სასურსათო ხარჯების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო სასურსათო საქონლის, ყოველ შემთხვევაში ისეთი ძირითადი საჭროების საქონლის, როგორიცაა ხორბლის ფქვილი, მცენარეული ზეთი, შაქარი და სხვადასხვა მარცვლეული, ფასებზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს. ეს პროდუქტები ძირითადად იმპორტირებულია და მათი ფასები საერთაშორისო ბაზარზე, ან სავაჭრო შეთანხმებების საფუძველზე დგინდება. ასე მაგალითად, დსთ-ის ქვეყნებში ხორბლით ვაჭრობაზე შეღავათიანი ფასებია დაწესებული. ადგილობრივმა საქონელმა შეიძლება მნიშვნელოვნად მხოლოდ ისეთი პროდუქტების ფასზე იმოქმედოს, როგორიცაა ახალი ხილი, ბოსტნეული და დაბალი ხარისხის ხორცი. ამ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ ბაზრების გლობალიზაციის ტენდენციას, საქართველოში ფასები ვერ გაიზრდება, რადგანაც მათ შეფარდებით ზრდას უმალ იმპორტის მატება მოჰყვება.

ზოგადად, მომავალ ათწლეულში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება ადგილობრივ მოთხოვნას უნდა გაუტოლდეს (თუ არ გადააჭარბებს). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართული პროდუქცია ცალკეული საქონლის ფასებზე ერთგვარ ზემოქმედებს მოახდენს, ეს ზემოქმედება ქართველი მომხმარებლებისათვის უაროფითი არ იქნება. თუ ფასები მაინც უნდა გაიზარდოს, ეს საბოლოოდ პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესებაში აისახება. თუმცა, მანამ სანამ დაბალხარისხიან და იაფ პროდუქციაზე არსებობს მოთხოვნა, გასაღების ბაზარი ასეთი საქონლისთვისაც იარსებებს.

საბოლო ჯამში, მომავალ ათწლეულში ერთგვაროვანი ხარისხის სასურსათო საქონლის რეალური ფასები სტაბილური, ან კლებადი იქნება. ეს ეხება როგორც ადგილობრივ, ისე შემოტანილ პროდუქციას. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც ამ მდგომარეობის შეცვლას შეუძლია, დსთ-ს ქვეყნებში საქონლის საბაზროზე დაბალი ფასით ვაჭრობის პრაქტიკის გაუქმებაა. საქართველო მართლაც უნდა მოემზადოს მოვლენათა ამგვარი განვითარებისათვის, განსაკუთრებით თუკი ბუნებრივ გაზთან დაკავშირებულ რუსეთისა და უკრაინის უკანასკნელ კონფლიქტს გავითვალისწინებთ. საბოლოოდ, დსთ-ის ყველა ქვეყანა მის წარმოებული საქონლის მსოფლიო ბაზრის ფასებით გაყიდვას მოისურვებს. ეს გონივრული და მოსალოდნელიცაა.

კვების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მომავალ ათწლეულში როგორც აგრარულ სექტორში, ისე მთლიანად ეკონომიკაში შემოსავლის ზრდა უმნიშვნელოვანესი იქნება. თუ ქვეყანა წლიური ეკონომიკური ზრდის 6-7 პროცენტიანი ტემპის შენარჩუნებას შეძლებს, რასაც მალე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და/ან ხელფასების ზრდა მოჰყვება, და თუ სოფლის მეურნეობა ამ დოკუმენტში განხილული ზრდის ტემპების მიღწევის მიზნებს განახორციელებს (რაც ნაწილობრივ ეკონომიკის სხვა სფეროში

სამუშაო ადგილების შექმნაზეა დამოკიდებული), მაშინ რეალური საშუალო წლიური შემოსავალი სტრატეგიის განხორციელების ბოლოს სულ ცოტა, 50 პროცენტით გაიზრდება. ამ მიზნების შესრულება მნიშვნელოვნად წაადგება მოსახლეობის კვების ხარისხის გაუმჯობესების საქმესაც. ყველაზე უხეში გამოთვლებითაც კი, იმ შემთხვევაში, თუ რეალური საშუალო შემოსავლები 50 პროცენტით გაიზრდება, და თუ სურსათის ფასები და ოჯახების სასურსათო ხარჯების წილი მათ მთლიან სამომხმარებლო ხარჯებთან სტაბილური დარჩება, მაშინ მოსახლეობის ის ნაწილიც კი, რომელიც ყველაზე ცუდად იკვებება, სულ მცირე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული კალორიების მინიმალური დღიური ნორმის რეგულარულ მიღებას შეძლებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ეკონომიკისა და შემოსავლების ზრდით გამოწვეული მატერიალური კეთილდღეობის ნაყოფით როგორც მთელი ეკონომიკა, ისე აგრარული სექტორი თანაბრად ვერ ისარგებლებს. მაგალითად, მოსახლეობის ასეთ კატეგორიას პენსიონერები და შრომის უნარს მოკლებულნი განეკუთვნებიან. შესაძლოა იგივე ითქვას არასათანადო განათლების მქონე პირთა, ან მათ შესახებ, ვინც მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ვერ მოახერხებს. შედეგად, შემოსავლების მნიშვნელოვანი ტრანსფერტების გარეშე, რომელთა ახლო მომავლში უზრუნველყოფა გაჭირდება, ქვეყანაში სიღარიბისა და არასრულფასოვანი კვების პრობლემები კვლავაც იარსებებს.

ზემოთქმულის ფონზე, როგორც აგრარულ სექტორში, ისე მთელი ქვეყანაში სიღარიბის შემცირების, სამომხმარებლო ხარჯების სასურსათო ხარჯების ხვედრითი წილისა და არასრულფასოვანი კვების რისკის წინაშე მდგარი მოსახლეობის საშუალო დღიური

კალორიების მიღების უზრუნველყოფისათვის გონივრულად მიგვაჩნია  
შემდეგი მიღწევა: (ცხრილი-1)

ცხრილი-1

	სიღარიბის ოფიციალურ ზღვრას ქვემოთ	სიღარიბის შესწორებულ ზღვრას ქვემოთ*	სასურსათო ხარჯები, როგორც შემოსავლის %**	კალორიების მიღება
2006-2009	(2-4)%	(0-2)%	(0-2)%	2-3%
2010-2012	(7-10)%	(4-6)%	(5-8)%	4-5%
2013-2015	(12-15)%	(7-10)%	(9-12)%	6-7%
სულ ათ წლიწადში	(21-29)%	(11-18)%	(14-22)%	13-16%

\* მთელ მოსახლეობაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირების საშუალო წლიური ტემპი

\*\* სამომხმარებლო ხარჯებიში სასურსათო ხარჯების შემცირების საშუალო წლიური ტემპი

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; “საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია; 2006-2015წ/წ.” თბილისი 2006.

იდეალურ შემთხვევაში, მომავალ ათწლეულში საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარს ქვემოთაა, 30%-მდე უნდა შემცირდეს. უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მყოფთა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთა დღიური კვებითი ნორმა მინიმუმზე, ანუ 1800 კალორიაზე

ნაკლებია, მოსახლეობის ერთი მეოთხედიდან 10 პროცენტამდე შემცირდება. თვით ფერმერულ სექტორში, სადაც სიღარიბის დონე მთლიანად ქვეყნის ანალოგიურ, ოფიციალურად დადგენილ მაჩვენებელზე დაბალია, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა ხედრითი წილი დაახლოებით 25 პროცენტამდე, ხოლო უკიდურესი სიღარიბის ხედრითი წილი 10 პროცენტამდე შემცირდება. სიღარიბის დაძლევის ამოცანების შესრულებასთან ერთად, იმედია, რომ სამომხმარებლო ხარჯებში სურსათის ხედრითი წილი, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ბიულეტენში აღნიშნული 62 პროცენტიდან 50 პროცენტამდე შემცირდება. და ბილოს, თუ მომავალ ათწლეულში არასრულფასოვანი კვების რისკის წინაშე მდგომიმოსახლეობის მიერ მიღებული კალორიების საშუალო დღიური რაოდენობა 15 პროცენტით გაიზრდება, მოსახლეობის ყველა ჯგუფის, მათ შორის უდარიბესი ჯგუფების, საშუალო დღიურიკალორიების მიღების მაჩვენებელი სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ დადგელ მინიმალურ ზღვარს, 1800 კალორიას გადააჭარბებს.

ეს დადებითი ცვლილებები დასაქმებისა და შემოსავლების ზრდითა და სურსათზე შედარებით სტაბილური ფასების შენარჩუნებით იქნება მიღწეული. გარდა ამისა, სხვადასხვა სოცუალური პროგრამების საშუალებით შესაძლებელია ქვეყანაში ცალკეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აღარ დარჩეს ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ყოველდღიურად საშუალოდ 1800 კალორიაზე ნაკლებს მოიხმარენ.

რაც შეეხება საქართველოს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჭრილში გამოიყურება შემდეგნაირად : (იხ. ცხრილი-2)

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოს  
 თვითუზრუნველყოფის მხრივ ყველაზე სერიოზული პრობლემები და  
 ყველაზე ნაკლები პროგრესი, მარცვლოვნებსა და ზეთოვან  
 კულტურებში აქვს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისეთი  
 კულტურებია, რომელთა მოყვანა მიწის ექსტენსიურ დამუშავებას

ცხრილი-2\*

საქართველოს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ზოგიერთი  
 სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჭრილში  
 1999-2008 წლები  
 (% საშუალო სამი წელიწადი)

	1999-2001	2002-2004	2004-2008
ხორბალი	100.0	100.0	100
სიმინდი	44.7	49.7	51
მარცვლოვნები	22.3	18.7	17
მცენარეული ზეთი	106.0	106.0	104
კარტოფილი	100.0	98.7	97
სხვა ბოსტნეული	118.3	151.3	138
ყურძენი	94.6	87.1	86.6
ღორის ხორცი, საქონლის ხორცი	95.5	88.5	86.8
ცხვრის/თხის ხორცი	100.0	100.0	100
რძე	68.7	71.3	73
ფრინველი	42.3	41.7	46
კვერცხი	58.0	65.0	69

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

მოითხოვს და მშპ-ში თითოეულ ჰექტარზე მიღებული მოსავლის მიხედვით სხვა კულტურებთან შედარებით მცირე წვლილი შეაქვს და ვერ უწევს კონკურენციას სხვა ქვეყნებში მოწეულ მსგავს კულტურებს.

## 1-2. საქართველოს აგრარული სექტორის თანამედროვე

### სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმთავრეს გზას თავისუფალი საბაზო ეკონომიკა წარმოადგენს. საბაზო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა არსებითი ცვლილებები შეიტანა აგრარული სფეროს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიზნობრივ შემადგენლობაში. აუცილებელი გახდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციების გამოვლენა, უპირველეს ყოვლისა კი, ეკონომიკური ზრდის შემზღვდავი და ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა.

თანამედროვე პირობებში, როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის, ისე მისი აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები გარკვეულ კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება. ასეთ სიტუაციაში კარგი იქნებოდა კრიზისის გამომწვევი მიზეზების კომპლექსურად შესწავლა და შეფასება, რათა სწორად განისაზღვროს პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარების ორიენტირები და დაჩქარდეს კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, ჩამოყალიბდეს ისეთი ეკონომიკური სისტემა რომელსაც გლობალიზაციის პროცესებთან ადაპტირების მზარდი უნარი და საერთოდ მდგრადი განვითარების რესურსები პოტენციალი ექნება.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა მშპ სტრუქტურა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. (იხ. ცხრ. 3, 4) მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ წინსვლა უმნიშვნელოა და იმისთვის, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა განვითარდეს, მიუახლოვდეს მაღალგანვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორის პარამეტრებს, ამისათვის გაცილებით მეტია საჭირო.

ცხრილი-3\*

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (პროცენტობით)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყველობა, ოგზჲერა	20.2	20.7	19.2	19.2	16.2	14.8	11.2	9.2	8.9
მრეწველობა	13.6	12.2	13.2	13.3	13.2	15.7	14.8	14.2	13.5
მშენებლობა	3.7	3.9	5.1	6.3	6.4	8.1	6.9	6.7	5.3
გაჭრობა	12.7	13.1	12.8	13.3	13.4	12.0	13.6	12.8	13.9
ტრანსპორტი და კავშირ-გაბმულობა	14.3	13.7	14.2	13.9	14.0	12.4	11.6	10.4	10.0
სხვა	35.5	36.4	35.5	34.0	36.8	37.0	41.9	46.7	48.4

\*\*2008 წ. -წინასწარი მონაცემები

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

ბოლო წლების მიწათმოქმედებისა და მეცნიერების პროდუქციის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა ძირითადად ექსტენსიური გზით, მაღალი რისკის პირობებში ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება მიწების

მელიორაციას, ქიმიზაციას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსივიკაციის სხვა ფაქტორებს ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მინიმალური დონით გამოიყენება. ამიტომ არის, რომ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა 2-3-ჯერ ნაკლებია ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

#### ცხრილი 4\*

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ინდექსები

(პროცენტობით წინა წელთან)

წელი	სულ სოფლის მეურნეობაში	მათ შორის	
		მემცენარეობაში	მეცხოველეობაში
2000	88.0	79.0	100.2
2001	108.2	110.6	106.0
2002	98.6	93.6	104.4
2003	110.1	118.8	103.2
2004	94.4	88.0	100.8
2005	112.1	124.2	100.3
2006	80.1	65.5	96.4
2007	101.7	130.6	82.0
2008*	85.8	81.4	89.9

\*2008 წ.- წინასწარი მონაცემები

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ აგრარულ სექტორში დამკვიდრდა კერძო საკუთრება და იგი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია, ეს არის მიწის პრივატიზაციის პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგი.

ვფიქრობთ მიწის პრივატიზაცია ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს: მიწაზე სოციალისტური მეურნეობის სისტემის ნგრევა და საბაზრო მეურნეობის ძირითადი საფუძვლების შექმნა, ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, ლიბერალური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კონკრეტული საბაზრო მექანიზმების ამოქმედება, მოსახლეობის რეალური შემოსავლების ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი და მაღალეფებიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის მზადება და ის, რომ უპირველეს ყოვლისა მიწას გაუჩნდა მესაკუთრე-პატრონი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიწების საკუთრებაში გადაცემისას ასევე თავი იჩინა ზოგიერთმა ნეგატიურმა შედეგმა. აქ იგულისხმება ის გარემოება, როდესაც გლეხი პრივატიზებულ მიწასთან დარჩა ფაქტიურად “შიშველი ხელებით”. საჭირო იყო სახელმწიფოს შეძლებოდა მათი უზრუნველყოფა მიწის დასამუშავებელი ტექნიკით.

მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების არასრულად გამოყენების შედეგად მცირე შემოსავლებმა განაპირობა მიწაზე გადასახადის გეგმის შეუსრულებლობა, ასევე სრულად ვერ ხდება მიწაზე კერძო საკუთრების პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაცია, რის შედეგადაც პროდუქციის წარმოება მცირდება, ხოლო საქონლიანობის დონე ეცემა. სპეციალისტების გაანგარიშებით მიწის ეფექტიანობის შესაძლებლობანი საქართველოში მესამედიც არ არის დღეს გამოყენებული, ეს კი ცხადია აგრარული ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

მიწის პრივატიზაციის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგია სოფლად უარყოფითი მიგრაციული პროცესების შეჩერება,

მაგრამ სოფლად საწარმოო ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობამ უკუპროცესი გამოიწვია. ბოლო დროს ინტენსიურად დაიწყო სოფლის მოსახლეობის დიდ ქალაქებში უფრო მეტად თბილისში ჩამოსვლა, რაც რათქმა უნდა უარყოფითად აისახა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ვფიქრობთ კარგი იქნებოდა სახელმწიფოს გაეტარებინა რიგი ღონისძიებები რაც შეაჩერებდა უარყოფით პროცესს და ხელს შეუწყობდა გლეხობის დასაქმებას სოფლად.

დღეს საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა საჭიროებს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მიუხედავად განხორციელებული ეკონომიკური და აგრარული რეფორმებისა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი სახის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ერთიანი მოქნილი სისტემა. ვფიქრობთ უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში დღეს არსებული კრიზისის დაძლევას ისაა, რომ სწორად განხორციელდეს დარგში რეფორმები, მიზნობრივად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვა.

საბაზო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, მიზნობრივი ბიუჯეტური დაფინანსებები სოფლის მეურნეობაში ალბათ უმჯობესი იქნება შენარჩუნებული იქნას პირველ რიგში სოფლის სოციალური მოწყობის კაპიტალური დაბანდებებისათვის, ხარჯების დასაფარავად, ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად, მელიორაციისათვის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში მათი მოცულობის ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება დამოკიდებულია წარმოების მოცულობის გაზრდაზე, ამასთან ერთად, აუცილებელია წარმოებული იქნას

მაღალკონგურენტუნარიანი, მყარი მოთხოვნის მქონე საქონელი, ამისათვის კი, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა უზრუნველყოფილი იქნას ინვესტიციათა ზრდა წარმოებით სფეროებში, მათ შორის საზღვარგარეთის ინვესტიციათა მოზიდვა საამისოდ აუცილებელი პირობების შექმნით. ყველა მაღალგალგანვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის პროდუქტების მწარმოებელთა ინტერესების დაცვას და დახმარებას, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის სასურსათო ფონდის შექმნასა და განვითარებაში. სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ ეკონომიკურად და ფინანსურად ხელი შეუწყოს სასურსათო პროდუქციის მწარმოებელს, დაეხმაროს არამარტო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში, არამედ მის შენახვა-გამოყენებასა და მოხმარებაშიც კი. ამიტომ არის სასოფლი-სამეურნეო პროდუქციის წარმოება რთული, მრავალწახნაგოვანი პრობლემა, რომელშიც შერწყმულია ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივი, პოლიტიკური და სხვა ასპექტები.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მსგავსად, კარგი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში, სოფლად მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარება დაფუძნებული იყოს ერთპიროვნულ მფლობელობაზე, ამხანაგობასა და სააქციო საზოგადოებაზე, რათა ზუსტად განსაზღვრულიყო თუ რას, როგორ და ვისთვის აწარმოებდნენ მეწარმეები, როგორ გაუკეთებდნენ ორგანიზაციას საქონელს და მომსახურებას, რადგან მათი მთავარი მიზანი ხომ სწორედ მოგების მიღებაა. სამწუხაროდ, დღემდე არ არის შექმნილი ამ საწარმოების სამართლებრივი ფორმები, რაც ცხადია ასევე აფერხებს სოფლად მეწარმეობის განვითარებას

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ძალზე

დაბალმა დონემ გაზარდა სოფლად მეწარმეთა რისკის ფაქტორი და შექმნა იმის ბაზისი, რომ ჩამოყალიბებულიყო ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობები, ამიტომ მთავარია არსებული პრაქტიკის, რეალური ცხოვრების ყოველმხრივი თეორიული ანალიზით განისაზღვროს ის მიდგომები, პრინციპები, კრიტერიუმები, რომლებიც ამოცანების ჯერ თეორიულად სწორად გააზრებას და შემდეგ მათ რეალიზაციას უზრუნველყობს.

როცა ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, ფაქტები, ტენდენციები სასურველ შედეგებს არ იძლევა, იწვევს დეფორმაციებს და აფერხებს საზოგადოების განვითარებას, უნდა შეიცვალოს მათდამი მიდგომა და სწორად განისაზღვროს მოქმედების ახალი მიმართულებანი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული იდეოლოგიური დოგმების გავლენისაგან თავისუფალი იქნება.

## **1-3. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემები და სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები**

საბაზრო ეკონომიკა შესაბამის ეკონომიკურ ბაზისს და წარმოებით ურთიერთობებს მოითხოვს, რომელიც კერძო საკუთრებისა და კონკურენციის გზით თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებით უნდა განხორციელდეს.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენციის აქტიურ ფორმებს. ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს ყველა მწარმოებლისათვის, მაგრამ გაიმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ყველაზე უკეთესად დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას.

საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულადაა მოცული ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობებით. შერეული ეკონომიკის პირობებშიც კი დომინირებული მდგომარეობა საბაზრო ურთიერთობებს უნდა ეკაოთ. საკონკურენციო ბრძოლაში უნდა მონაწილეობდეს ყველა სამეურნეო რგოლი და სუბიექტი. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, რომ მთლიანობაში ბაზარი ასრულებდეს ეკონომიკის რეგულატორის როლს.

სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის მოდელი წარმოუდგენელია კარგად განვითარებული აგრარული სექტორის გარეშე, რადგან საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებაზე, საზოგადოების თითოეული წევრის მსყიდველობით უნარზე, მომსახურებისა და რეალიზაციის ქსელის ორგანიზაციაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა საჭიროებს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მიუხედავად განხორციელებული ეკონომიკური და აგრარული რეფორმებისა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი სახის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ერთიანი მოქნილი სისტემა. ვფიქრობთ უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში დღეს არსებული კრიზისის დაძლევას არის ის, რომ სწორად განხორციელდეს და ზუსტად შესრულდეს დარგში გატარებული რეფორმები, გეგმაზომიერად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

განვითარების ახალ გზაზე, ჩვენი ქვეყანა ერთგვარ “მოჯადოებულ” წრეში იმყოფება, – ინფლაციის და ფასების ზრდის გამო არ ვითარდება წარმოება, წარმოების განვითარების გარეშე ინფლაციის აღმოფხვრა შეუძლებელია. ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი საბანკო სისტემის განვითარებაა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თანდათან უფრო და უფრო ვითარდება.

აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურებას და დაფინანსებას ძირითადად სხვადასხვა ბანკები ეწევიან. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებულ საბანკო სისტემას, მრავალი წლის მანძილზე არ შეეძლება სექტორის საკრედიტო მომსახურების სრული დაკაფიულება, რაც დღის წესრიგში აყენებს საკრედიტო ვაკუუმის შევსებისათვის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისა და ახალი საფინანსო ინსტიტუტის ძიების აუცილებლობას. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ დონის

ქვეყნებში როგორიც საქართველოა, სექტორის დაფინანსების სტრატეგია კრედიტსა და საქონელს შორის პირდაპირ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკრედიტო რესურსების არსებობის პირობებში მათზე ხელი უფრო მომმარაგებელ ორგანიზაციებს და გადამამუშავებელ საწარმოებს მიუწვდებათ, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულნი არიან ფერმერებთან იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელნი მიწოდებული წარმოების საშუალების დირებულებას ანაზღაურებენ პროდუქციით, რომელზედაც ურთიერთშეთანხმებული ფასებია დაწესებული, ეს არის კრედიტის გაცემის და ამოდების ურთიერთობის უმარტივესი სქემა.

საკრედიტო კავშირები ხელს უწყობენ ეკონომიკურ გამოცოცხლებას იმ დანაზოგების გაერთიანებითა და ამოქმედებით, რომლებიც მანამდე ნაღდი ფულის სახით ან ნაკლებეფექტიანად შეიძლებოდა დახარჯულიყო. წარმოების ამოქმედება თავის მხრივ იწვევს სოფლის მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების ზრდას, რაც ასე აუცილებელია დღევანდელი საქართველისათვის.

საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად აუცილებელია შესაბამისი სადაზღვევო სისტემის შექმნა. ვფიქრობთ, მოგების ანგარიშზე ხელსაყრელი იქნებოდა საწარმოებში შექმნილიყო რისკის სპეციალური ფონდები, რომელთა დანიშნულება იქნება სამეწარმეო საქმიანობისაგან მიღებული ზარალისა და დანაკარგების ანაზღაურება გაკოტრების, ან ქონების კონფისკაციის თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმის პირველი წლების გამოცდილება, ძირეული ცვლილებები ქვეყნის თანამედროვე საზოგადოებასა და ეკონომიკაში, ასევე მიღწეული შედეგები გვიჩვენებს რეფორმის მიმდინარეობის სერიოზული

ანალიზისა და მათი კორექტირების გზების ძიების ქვეყნის საბაზო სისტემაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლისა და ადგილის შესახებ.

დღეისათვის საქართველოს აგრარულ სექტორს და  
განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას ყოველმხრივი  
სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება, რომლის ობიექტურ  
აუცილებლობას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან  
ყველაზე არსებითია შემდეგი:

- ბუნებრივ - კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რომებიც აგრარულ სექტორში საქონელმწარმოებელთა დაცვას და მათი საქმიანობის დაზვევას მოითხოვს;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფასებისა და შემოსავლების რყევის მაღალი დონე, რაც დამოკიდებულია როგორც ბუნებრივ ფაქტორებზე, ისე ბაზრის კონიუნქტურაზე;
- აგრარულ სექტორში ინვესტირების არამიმზიდველობა კაპიტალისა და კვლავწარმოებითი პროცესების ნელი ბრუნვის გამო;
- წარმოების სეზონურობა, სტიქიასთან დაკავშირებული მაღალი საწარმოო რისკი;
- სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის ფორმირების თავისებურებები და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობა.

საქართველოს ეკონომიკის გარდამავალი მდგომარეობის გამო მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ეკონომიკაზე არამარტო ირიბი, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევაში პირდაპირი ზემოქმედებაც, რომელიც გარკვეული ძალითა და სისწრაფით გამოირჩევა და საბიუჯეტო დანახარჯებს ნაკლებად საჭიროებს.

სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის სრულყოფაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება ქვეყანაში სასურსათო

პრობლემის გადაჭრა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელი წინამდღვრების მომზადება. მან ასევე, ხელი უნდა შეუწყოს დაუსაბუთებელი, თვითნებური გადაწყვეტილებებისა და მართვის სახელმწიფო ორგანოების უშუალოდ მატერიალურ ფასეულობათა წარმოების პროცესში პირდაპირი ჩარევის ლიკვიდაციას, წარმოების ისეთი სტრუქტურებისა და სისტემების შექმნისა და დანერგვის სტიმულირებას, რომლებიც კონკრეტულ პირობებში შეძლებენ უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობისა და მისი ეფექტიანობის ზრდა, ასევე იმავდროულად, მიწის, როგორც სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალების ნაყოფიერების ამაღლება.

აგრარული წარმოების კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად, აგრარული სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელმწიფო დამზადების მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისობის მისაღწევად აუცილებელია სამეცნიერო ბაზის განვითარება, რომელიც დაასაბუთებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიან სტრუქტურას, რის საფუძველზეც დადგინდება სახელმწიფოსათვის სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის მიწოდების რაციონალური ნორმები.

სახელმწიფო შესყიდვის სისტემა საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული. სადაც, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ფერმერებს, მეორე მხრივ კი, გადამამუშავებელ საწარმოებსა და მომსახურე ფირმებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება – კონტრაქტი ითვალისწინებს არა მარტო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მკაფიოდ გარკვეულ დეტალებს, არამედ მწარმოებლების უზრუნველყოფასაც საჭირო ფინანსური და მატერიალური საშუალებებით, გარანტირებული

მომსახურებით მაგ. სასუქებით, საწვავ-საცხები მასალებით, თესლით, კომბინირებული საკვებით და ა.შ.

საქართველოს აგრარული სექტორის მართვის სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია უახლოეს პერსპექტივაში შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და აგრარული სფეროს მართვის სრულყოფისა და განვითარების კომპლექსური პროგრამა.

სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ეკონომიკური მხარდაჭერა ესაჭიროება არა მარტო ასოციაციების, სახელმწიფო საწარმოების, კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფის ნაწილში, არამედ მატერიალური რესურსებით მომარაგებაში, შედავათიანი კრედიტებისა და სუბსიდიების მიცემაში და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ყველა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო პროტექციონიზმის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. სოფლის მეურნეობისათვის ეკონომიკური დახმარების ასეთი პრაქტიკა ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

2008 წელს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, სოფელს დაკლდა დაახლოებით 3 ათასი ტრაქტორი, ამდენივე სატვირთო ავტომანქანა, 200 ათასი ტონა მინერალური სასუქი, 800 ათასი ტონა ბენზინი და სხვა სათბობ – საწვავი, ვერ მიეწოდა მილიონობით კილოვატი ელექტროენერგია, 10 ათასი ცალი სხვადასხვა მანქანა, დამხმარე აღჭურვილობა და ა.შ. (იხ. ცხრილი-5, და ცხრილი 6) თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ, მიმდინარეობს ახალი და უახლესი ტექნიკის შემოყვანა სოფლებში, მაგრამ მათი სიმცირის გამო მათ მიერ გაწეული საქმიანობის ეფექტიანობა მინიმალურია.

2010 წლის იანვარში, იაპონური გრანტის დახმარებით,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ , კომპანია „ჯი-თი  
მოტორსს“ უმსხვილესი სამთავრობო შეკვეთა შეასრულებინა და

ცხრილი - 5\*

მეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება  
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

**ა – რომელიმე სახის ტრაქტორი ( ბორბლიანი, მუხლუხა, მინი )**

**ბ - ხელის ტრაქტორი**

**გ- რომელიმე სახის კომბაინი**

**დ – სატვირთო ავტომობილი**

**ე - სხვა ტიპის ავტომობილი**

მეურნეობათა რაოდენობა რომელთაც გამოიყენეს						მეურნეობათა პროცენტული წილი რომელთაც გამოიყენეს					
	ა	ბ	გ	დ	ე	ა	ბ	გ	დ	ე	
საქართველო სულ	420	14	216	262	50	95,9	3,2	49,3	59,8	11,4	
მცხეთა-მთიანეთი	14	-	8	8	-	100,0	-	57,1	57,1	-	
დუშეთის რაიონი	2	-	2	1	-	100,0	-	100,0	50,0	-	
მცხეთის რაიონი	12	-	6	7	-	100,0	-	50,0	58,3	-	

\*წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008წ.”

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკის ცნობილი  
მწარმოებლის „ნიუ-ჰოლანდის“ წარმოებული 122 ტრაქტორი, 25  
კომბაინი და 318 სხვადასხვა დასახელების სასოფლო-სამეურნეო  
მანქანა შეიძინა. ტექნიკის საერთო ღირებულება 7 მილიონ 800  
ცხრილი - 6\*

მეურნეობათა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა  
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

ა- რომელიმე სახის ტრაქტორი ( ბორბლიანი, მუხლუხა, მინი )

ბ- ხელის ტრაქტორი

გ - რომელიმე სახის კომბაინი

დ - სატვირთო ავტომობილი

ე - სხვა ტიპის ავტომობილი

საკუთრებაში არსებული ტექნიკის რაოდენობა						მფლობელი მეურნეობათა რაოდენობა					
	ა	ბ	გ	დ	ე		ა	ბ	გ	დ	ე
საქართველო სულ	357	2	61	175	86	107	2	41	84	64	
მცხეთა-მთიანეთი	32	-	5	7	-	10	-	4	6	-	
დუშეთის რაიონი	3	-	1	-	-	1	-	1	-	-	
მცხეთის რაიონი	29	-	4	7	-	9	-	3	6	-	

\*წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2008წელი”

ათასი ევროა.

ახალი ტექნიკის სამართავად გადამზადება 300-მა მექანიზატორმა გაიარა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა კომპანია „მექანიზატორი“, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ტექნიკით ადგილობრივ ფერმერებისთვის მომსახურების გაწევას და ამავდროულად რეგიონებში 2 000 ჰა მიწის დამუშავებას.

აღნიშნული ტექნიკა ძირითადად მარცვლეული კულტურების წარმოებას მოხმარდება, ზირითადად კი ხორბლის და ქერის წარმოებას, რადგან დღეს აღნიშნული კულტურების ადგილობრივი წარმოება 25% შეადგენს, ხოლო იმ შემთხვევაში როცა სრულად ათვისებული იქნება მიწის რესურსული და აღნიშნული ტექნიკის შესაძლებლობები, ხორბლის და ქერის ადგილობრივი წარმოება 50-60% მიაღწევს, რაც რა თმა უნდა სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

აღნიშნული ტექნიკის ფერმერებისთვის გადაცემა არ მოხდა, რადგან ძალიან ძვირადღირებულია, ამასთან ერთად მოითხოვს კვალიფიციურ მართვა-ექსპლუატაციას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ 1000-ზე მეტი დასახელების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შემოვიდა საზღვარგარეთიდან და გადაეცათ ფერმერებს, რამაც გამოიწვია ფასების მონოპოლია და ხელოვნური ზრდა აღნიშნული ტექნიკის მოხმარებაში, ამიტომ ახლად შემოტანილი ტექნიკა, რომელიც კომპანია „მექანიზატორს“ გადაეცა, დაარეგულირებს ფასებს და ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას.

ვეუნის მასშტაბით უკვე შეიქმნა 5 ოფისი და ისინი განთავსდა: შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ომპანია „მექანიზატორის“ აღნიშნული ოფისები უკვე მარტის თვიდან გაუწევენ დახმარებას დაინტერესებულ პირებს და ფერმერებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა აგრარულად მაღალგანვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის რეგულირებაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია სრულყოფილი სახის საბაზრო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოს ფუნქციებში უნდა შედიოდეს იმ საკითხების გადაჭრა, რომელთა რეგულირება ძირეულ რგოლებს არ ძალუდო. სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს იმ სფეროებისა და რეგიონების პირობები, რომელთაც თავისი სპეციფიკის გამო არ შესწევთ საბაზრო საფუძველზე ფუნქციონირების უნარი, განსაკუთრებით დღევანდელ პერიოდში. ასეთებია: სოციალური საბიუჯეტო სფეროები, აგრარული სექტორი, მთის რეგიონების განვითარება, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება და ა. შ.

## თავი – 2. ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების როლი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში

### 2-1. ფერმერული (ოჯახური) მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობას დიდი როლი აკისრია. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 25%-ს შეადგენს. უკანასკნელ პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელდა რთული ორგანიზაციულ-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სინთეზი აგრობიზნესის სახით. აგროსამრეწველო კომპლექსში გაერთიანდა საკუთრივ სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მწარმოებელი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი დარგები, შესაბამისი სავაჭრო რგოლები და ა.შ. აგრობიზნესის სისტემაში წამყვანი პოზიცია უკავიათ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვა დარგების კოოპერაციულ (ფერმერთა) გაერთიანებას.

ქვეყანაში მომხდარი ძირეული ცვლილებების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ დეკოლექტივიზაციის სტიქიურად დაწყებულმა მოვლენებმა, სოფლის მეურნეობაში მძიმე სიტუაცია ჩამოაყალიბა. დაინგრა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობანი, ჯანსაღი საბაზრო ძალები ნელა იკვლევს გზას. ასეთ სიტუაციაში აუცილებელი შეიქმნა საოჯახო, გლეხური და ფერმერული მეურნეობების ისეთ მმართველობით-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემაში ფუნქციონირება, რომელიც პირადი და სახელმწიფო ინტერესების დაცვის და რაც მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის კომპლექსურ

განვითარებას შეუწყობს ხელს. საოჯახო, გლეხურ და ფერმერულ მეურნეობების ბაზაზე ნებაყოფლობის პრინციპზე, კოოპერატივების, ფირმების ასოციაციების, საქციო საზოგადოებების შექმნა მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ სიცოცხლისუნარიანობას. 2007 წლის მონაცემებით ქვეყანაში ადრე არსებულ 1582 სოფლის მეურნეობის საწარმოდან ლიკვიდირებულია 353, რეორგანიზებული და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულია 1072 საწარმო (აქედან სააქციო საზოგადოება 67, შპს 276, კოოპერატივი 402 და სხვა ტიპის საწარმო 193) რეგისტრირებული ყველა სახეობის 689 საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 60,2%. ადრე არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით აღრიცხულია 90-მდე საწარმო. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია ოჯახური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა რიცხვი მიღიონს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ოჯახური და ფერმერული მეურნეობები მთელი რიგი შედავათებით სარგებლობენ. ამიტომა, რომ ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავიანთი კაპიტალის ნაწილს სოფლის მაურნეობაში სწორედ გარკვეული შედავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აპანდებენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახური და ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და ამის საფუძველზე საგადასახადო სისტემის დახვეწას ესაჭირება სერიოზული მიდგომა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ბევრი საწარმო არსებობას შეწყვეტს, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სოფლად მეწარმეობის განვითარებას.

სოფლად წარმოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ფორმებს დიდი დახმარება სჭირდებათ მეცნიერულ სიახლეთა დანერგვაში. რთული ამოცანაა გადასაწყვეტი – უნდა შეიქმნას მიწათმოქმედების ახალი სისტემა, რომელიც თანამედროვე ტექნიკას, ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას დაეყრდნობა. ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებს საჭიროებს. დღეს კი სოფლად ჩამოყალიბებულ არც ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას არამც თუ თავისუფალი სახსრები, არამედ საბრუნავი საშუალებებიც არ გააჩნია. დახმარებას მათ ვერც სახელმწიფო უწევს, ამიტომ იქმნება თითქმის გამოუვალი სიტუაცია. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლებში შეიქმნას საკრედიტო კავშირები, ამხანაგობები ან კოოპერატივები, რომლებიც კრედიტს გასცემენ მხოლოდ საწარმოო დანიშნულებით არა პროდუქციის შესასყიდად, არამედ თესლის, სარგავი მასალის, პირუტყვის შესაძენად და სხვა. მათი შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს ამხანაგობის (კოოპერატივის) ძირითადი კაპიტალი, გრძელვადიანი კრედიტი, მოსახლეობის შენატანი და სხვა. ასევე შესაძლებელია იგი რომელიმე კომერციულ (მაგ. ბანკი) ორგანიზაციულ სისტემაში როგორც პარტნიორი ფუნქციონირებდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს აგრარული სფეროს საბაზო ურთიერთობებში ძირითადი როლი ორ მთავარ ჯგუფზე – საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებზე მოდის. საოჯახო მეურნეობები ფუნქციონირებს ძირითადად ეკონომიკის სამომხმარებლო სფეროში, მასთან ერთად მას უფლება აქვს წარმოებული პროდუქცია გაყიდოს ბაზარზე. ოჯახური მეურნეობის მიერ რეალიზებული პროდუქციით მიღებული შემოსავალი, ძირითადად იხარჯება პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამით იზღუდება მისგან დამატებითი მოგების მიღება.

იმისათვის, რომ შრომით მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა დააკმაყოფილოს არა მარტო მწარმოებლის პირადი მოთხოვნები, არამედ დანაზოგები ჩავდოთ დამატებითი შემოსავლების მისაღებად, საჭიროა წარმოების გაფართოება და რესურსული უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ოჯახური და ფერმერული მეურნეობები მიწის შეზღუდულობის პირობებშიც გვაძლევს ამის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე ძნელი გასამიჯნია სად მთავრდება ოჯახური მეურნეობა და სად იწყება ბიზნესი.

ცხრილში-7 მოცემულია საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობების რაოდენობა სიდიდის მიხედვით პრივატიზაციის პირველი ეტაპის შემდგომ. ეს მონაცემები სიდიდისა და ფართობების შესახებ ეხება როგორც საკუთრებაში არსებულ, ისე იჯარით გაცემულ მიწებს. იმ დაშვებით, რომ ყველა ფერმერი გამოისყიდის მის მიერ იჯარით აღებულ მიწას, ეს ცხრილი შესაბამისად გამოხატავს ფერმერული მეურნეობების სიდიდესა და საერთო ფართობს პრივატიზაციის მეორე ეტაპის დასასრულისთვის, სანამ გაიყიდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები, რომელიც ამჟამად არ არის იჯარით გაცემული.

2007 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, დაახლოებით 656 ათასამდე კომერციული და მცირე ოჯახური მეურნეობა საქართველოში ამუშავებს დაახლოებით 953 ათას ჰექტარს, ანუ, ერთ მეურნეობაზე მოდის 1,5 ჰექტარი. (0,10 ჰექტარზე ნაკლები ფართობი არ არის მიჩნეული “მეურნეობად”, ეს ჩვეულებრივი საოჯახო ნაკვეთებია პატარა ბაღებით და ვერ ჩაითვლება თუნდაც მცირე ოჯახურ, ნატურალურ მეურნეობად.)

პრივატიზაციის დასაწყის პროცესში უნდა გაცემულიყო 1,25 ჰექტარი მიწა ერთ ოჯახზე, იმ დროისათვის, აღწერის მონაცემებით, დაახლოებით 500 ათასი ან ფერმერული მეურნეობების ფართობების თითქმის 70 პროცენტი შეადგენდა 1,0 ჰექტარზე ნაკლებს.

საქართველოს ფერმერული მეურნეობები:  
 ჯამური ფართობები და რაოდენობა სიდიდის მიხედვით  
 (2007წლის მდგომარეობით)

მეურნეობის სიდიდე (ჰა)	ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა (ათასი)	სულ ჯეპტარი**
<0.06	36,024	2,000
0.06-0.09	33,781	3,000
0.10-0.19	67,358	10,000
0.20-0.49	148,105	52,000
0.50-0.99	214,600	161,000
1.00-1.99	175,840	264,000
2.00-2.99	24,318	61,000
3.00-3.99	10,133	36,000
4.00-4.99	4,363	20,000
5.00-9.99	6,469	49,000
10.00-19.99	2,671	27,000
20.00-49.99	1,207	43,000
50.00-99.99	485	37,000
100-199.99	325	49,000
200-499.99	250	88,000
≥500.00	92	56,000
სულ ჯამში		726,021
		958,000

\*\* გამოთვლები ეფუძნება საშუალო მეურნეობას თითოეულ კატეგორიაში, გარდა მსხვილი კატეგორიისა, სადაც საშუალოდ მიჩნეულია 600 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობა

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწერი 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

აღნიშნული გამომდინარეობდა ამ პოლიტიკიდან, რომლის თანახმადაც მეურნეობაში დამოუკიდებლად ჩაბმული ოჯახები ექცევდა 1,25 ჰექტარი მიწის დისტრიბუციის პროგრამაში. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი გადაეცა 1,25 ჰექტარზე ნაკლები მიწა.

რაც შეეხება კომერციული მეურნეობების მიერ ნატურალური მეურნეობების განდევნა - ჩანაცვლებას, გასაგებია, რომ რეალურად, ნებისმიერი მეურნეობა, რაც არ უნდა მცირე იყოს იგი, ცდილობს გაყიდოს ან ბარტერში გაცვალოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის ნაწილი. ამდენად, ნებისმიერი მეურნეობა 2 ჰექტარზე ნაკლები მიწით ძალაუნებურად ნატურალურ მეურნეობაზეა ორიენტირებული. თუკი მეურნეობის ფართობი იზრდება და 2 ჰექტარს აჭარბებს, იგი უკვე ავტომატურად ბაზარზე ორიენტირებული ხდება. ამ უხეში საბაზისო წერტილის გამოყენებით, 4 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობა თავისი პროდუქციის ნახევარს ბაზარზე გაიტანს. რა თქმა უნდა, აღნიშნული ციფრი ცვალებადია მოსავალი კულტურის სახეობის მიხედვით. თუკი ამ ფართობზე უმთავრესი კულტურა ბოსტნეული, ხეხილი ან ვაზია, მაშინ 2 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე მეურნეობა აუცილებლად იქნება ბაზარზე ორიენტირებული. თუკი მეურნეობა მნიშვნელოვანწილად მარცვლეულ ან საფურავე კულტურების მოყვანას მისდევს, მაშინ მას შეუძლია 4 ჰექტარზე უფრო მეტად გაფართოვდეს, მაგრამ კვლავ ნატურალური მეურნეობის ხასიათს ატარებდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ოჯახის რიცხობრიობა, როცა საუბარია რამდენად დიდი ან მცირე უნდა იყოს მეურნეობა, რომ დააკმაყოფილოს ნატურალური მეურნეობის სტატუსის მოთხოვნები.

თუკი 4 ჰექტარს გამოვიყენებთ პირობით გამყოფ ერთეულად, მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოში არსებობს სულ 16 ათასამდე

ფერმერული მეურნეობა, რომლებსაც შეიძლება კომერციული მეურნეობა ეწოდოს. ეს ქვეყანაში არსებული მეურნეობების 2,5 პროცენტები ნაკლებს შეადგენს. აღნიშნული მეურნეობები ამუშავებენ და აწარმოებენ პროდუქციას სავარაუდოდ 369 ათას ჰექტარზე, რაც თითქმის მთლიანად ქვეყანაში დამუშავებული მიწების 40 პროცენტს შეადგენს. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული პროცენტული გამოსახულება შესაძლოა გაიზარდოს პრივატიზაციის მეორე ეტაპის დასასრულისათვის, რამდენადაც იჯარისგან თავისუფალი სახელმწიფო მიწები აღბათ ისევ მსხვილ ფერმერებს ჩაუვარდება ხელში, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით ტექნიკისა და კრედიტების ხელმისაწვდომობის მხრივ.

ცხრილში - 6 მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობების უმრავლესობის სამეურნეო ფართობების უმეტესობა, თუნდაც ძალიან მცირე ფართობები, არ არის თავმოყრილი ერთად. ისინი ერთმანეთისგან დაშორებულ - განცალკევებულ ნაკვეთებათ არის მიმობნეული. აღნიშნული ნაწილობრივ პრივატიზაციის პირველი ეტაპის შედეგია, რადგან მიწები მაშინ მისი ხარისხისა და მდებარეობის მიხედვით დარიგდა. ფერმერმა ვერ მიიღო თანაბრად კარგი ხარისხის მიწა, რომელიც ერთ ადგილას იქნებოდა თავმოყრილი, ხელმისაწვდომი იყო დანარჩენი დაბალი ან საშუალო ხარისხის მიწები ნაკლებად სასურველი მდებარეობით, ხოლო ოჯახს შეეძლო რამდენიმე ნაკვეთი მიეღო სხვადასხვა ხარისხის მიწით. რამდენადაც ხარისხი ნიადაგის, ფერდობის და დრენაჟის თავისებურებებზეა დამოკიდებული, ეს ნიშნავს, რომ ნაკვეთები ძალიან იშვიათად, თუკი საერთოდაც ასეთი რამ არსებობს ბუნებაში, ხვდებიან ერთმანეთის გვერდიგვერდ. ფრაგმენტაცია აუცილებლად იწვევს არაეფექტურობას, რაც გულისხმობს იმ დაკარგულ დროს, რაც ფერმერს სჭირდება

ერთმანეთისგან დაშორებულ ნაკვეთებს შორის სამოძრაოდ (რაც დღეისათვის შესაძლოა აღარ შეადგენს დიდ სიმნელეს ამ სექტორში არსებული დასაქმების უკიდურესი პრობლემის გამო) ან ტექნიკის გამოყენების ან წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

არის კიდევ მიწის ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც თან სდევს როგორც ძალიან მცირე ნაკვეთებს, ისე მათ ფრაგმენტირებულობას. გამოთვლები მოწმობს, რომ დაახლოებით 10 პროცენტი გამოუსადეგარია დამატებით საჭირო გზების ან ბილიკების არარსებობის გამო მილიონობით დანაწევრებულ სადისტრიბუციოდ განკუთვნილ მცირე ნაკვეთებს შორის მიმოსვლისთვის.

და ბოლოს, ფრაგმენტაცია წარმოშობს პრობლემასა და სირთულეებს კრედიტის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ნაკლებად მოიპოვებიან ფერმერზე სესხის გაცემის მსურველნი, თუნდაც მას მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნდეს. პრობლემა იმ ნაკვეთის სიმცირეში მდგომარეობს, რომელიც გირაოში უნდა ჩაიდოს. თუკი გამსესხებელს მოუწევს გირაოში ჩადებული მცირე ფართობის მქონე ნაკვეთის გაყიდვა, ძალიან ცოტა თუ მოიძებნება მისი ყიდვის მსურველი. ასეთი შესაძლოა აღმოჩნდეს ის ფერმერი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ამ მიწის ნაკვეთს, ან რომლის კუთვნილი ნაკვეთები ამ გასაყიდ ნაკვეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ უკანასკნელს არ აღმოაჩნდეს საჭირო თანხა ან არ სურდეს ნაკვეთის შეძენა. ამ შემთხვევაში, გამსესხებელი რჩება გირაოში ჩადებული მიწით ხელში, რომელსაც გერც ამჟავებს და გერც იბრუნებს მასში ჩადებულ სესხს. შესაბამისად, ფერმერებზე იშვიათად თუ გაიცემა სესხები, თუკი მათი მიწის ნაკვეთი მცირე ზომისაა. რეტროსპექტივაში შეიძლება პარალელების გავლება საქართველოში დამოუკიდებლობის

გამოცხადების დღიდან მიმდინარე მოვლენებსა და იმ მოვლენებს შორის, რომელიც ახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას, განსხვავება დროის ხანგრძლივობაში. აშშ ვითარდებოდა უმეტესწილად დამოუკიდებელი ფერმერული სისტემის ბაზაზე, რომლებსაც გვერდში ედგა მცირე მოვაჭრეები და კომერსანტები. ეს იყო უპირობო მოდელი, რომელსაც იყენებდნენ მთელი რიგი განვითარების სააგენტოები, როგორც პოსტ-საბჭოთა სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაციის ოპტიმალურ მოდელს.

გარკვეულწილად, აღნიშნული მიდგომა ზუსტად შეესატყვისება საქართველოს სიტუაციას. მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ნიადაგი მაღალნაყოფიერია და კლიმატიც ხელს უწყობს ბოსტნეულის, ხილის, თხილის და მარცვლეული კულტურების მოყვანას, რაც საარსებო საკვებს შეადგენს. მცირე ზომის სამეურნეო ნაკვეთების სტრუქტურა ვერ შეძლებს სოფლად მოსახლეობის სათანადოდ გამოკვებას, განსაკუთრებით უკრაინისა და რუსეთის სტეპების მსგავს რეგიონებში, სადაც ძირითადად ექსტენსიური კულტურების მოშენებას მისდევენ.

ამ მიდგომის პოლიტიკური შედეგები მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი სოფლის მეურნეობაში არსებული სახელმწიფოს პოლიტიკის (ან არარსებული პოლიტიკის) საფუძველსა და ლოგიკურ ჩარჩოს განსაზღვრავს. ამ მოდელის ოპტიმალურობა საქართველოსთვის არის ის, რომ იგი აკმაყოფილებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მასების ძირითად მოთხოვნას (შესაძლოა დაბალ დონეზე) სურსათზე და იმავდროულად, ამცირებს სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნებს დამატებით საკვებზე ან სამუშაო ადგილებზე, როგორც ეს ხდება ქალაქის დაუსაქმებელი მოსახლეობის შემთხვევაში. ეს არის სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემა, რომელიც სხვა საფრთხეების წინაშეც დგას თავისი არსებობის

შესანარჩუნებლად, და სათანადო ძალისხმევით ვერ ეკიდება ამ საკითხს და ვერც საჭირო სახსრებს გამოყოფს უმეტესწილად ნატურალური ხასიათის სოფლის სექტორის განვითარებისთვის.

საინტერესოა, რომ აშშ-ში არ შექმნილა სასოფლო-სამეურნეო (Land Grant University) უნივერსიტეტი და განათლების სისტემა მისი სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებიდან 80 წლის გასვლამდე. ამ ნაბიჯის გადასადგმელად მთავარი კატალიზატორის როლი შეასრულა საერთო უპრაიოფილებამ ნატურალური მეურნეობის პრაქტიკის გამო, რომლის შედეგადაც მიწა იფიტებოდა, რადგან არ ხდებოდა მის ნაყოფიერებაზე ზრუნვა, რაც ქვეყნის ნიადაგის ნაყოფიერების პრობლემას ქმნიდა. მიწის ნაყოფიერების დაღმასვლის ფენომენი საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდამდეც არსებობდა, თუმცა ჯერ არ მიუღწევია იმ კრიტიკული ზღვრისთვის, როდესაც სახელმწიფო ამ პრობლემის აღმოფხვრის აუცილებლობას მისი სტრატეგიული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა.

1920-იან და 1930-იან წლებში ამერიკული ფერმერული შინამეურნეობების სისტემის საერთო კრახმა მიიყვანა აშშ სახელმწიფო პირველი ეროვნული სტრატეგიული კომერციული ფერმერული მეურნეობების განვითარების პოლიტიკის ინიციატივასთან. ამ ძალისხმევის ქვაკუთხედს შეადგენდა კომპლექსური საერთო-ეროვნული ფერმერული კოოპერატივების საკრედიტო პროგრამის შემუშავება. სახელმწიფო სექტორში მომუშავე პერსონალით დაკომპლექტდა ეროვნული საკრედიტო ქსელი და მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები ხელმისაწვდომი გახდა მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთით სამეურნეო სექტორისათვის სესხების გაცემის სპეციფიური პრობლემების მოსაგვარებლად. ფერმერების მიერ თავიანთ მიწებზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შემუშავდა ნიადაგის რესურსების დაცვის ეროვნული პროგრამა.

წლების მანძილზე ამ პროგრამის ფინანსური დახმარებით მოხერხდა ნიადაგის მეავიანობის შემცირება და გამოფიტული ნაყოფიერების აღდგენა კირისა და შერჩეული სასუქების პირდაპირი სუბსიდირების მეშვეობით. ასევე მოხდა საველე დრენაჟის სისტემის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა. სოფლის ელექტრიფიკაციის პროგრამის მეშვეობით მოხერხდა სუბსიდირებული ელექტროენერგიის მიწოდება ფერმერებისათვის და სოფლებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო წყალსაცავი დამბების მშენებლობა, რამაც ფერმერული მეურნეობები იაფი სარწყავი წყლით მოამარაგა. სხვა ადგილებში ჩატარდა დრენაჟი დამბების, არხების და წყასსაქაჩი სადგურების მეშვეობით, რაც მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ემსახურებოდა.

ამ დონისძიებების მართებულობის აღიარება, ან მათი ნაწილობრივ განხორციელება დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოს. მართალია საქართველოს სამეურნეო სექტორს ჯერ არ მიუღწევია იმ დონისთვის, რაც აშშ-ში 1930-იან წლებში იყო, მაგრამ აქამდე არც სახელმწიფოს გამოუჩენია ინიციატივა კომპლექსური ზომების გასატარებლად ამ პრობლემების გადასაჭრელად. ამდენად, ვიდრე არ გაჩნდება რაიმე განსაკუთრებული პრობლემა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საქართველოში მცხოვრები მცირე ფერმერების მინიმალურ საარსებო წყაროს, ნაკლებად სავარაუდოა ველოდოთ სახელმწიფოს პროაქტიურ პოლიტიკას მცირე ნატურალური მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად.

ფერმერული საქმე მეწარმეობის განსაკუთრებული სახეობაა და ამას განაპირობებს მისი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ფერმერულ მეურნეობებში როგორც საკუთარი, ისე სასესხო კაპიტალი და აგრეთვე შემოსავლები იხარჯება არა მარტო პირად მოთხოვნაზე, არამედ გასაფართოებლადაც. მის ძირითად ამოცანად ისევ მოგების მიღება

რჩება.

საბაზო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი რესურსების გამოყენებელი ძალა ოჯახური, ფერმერული მეურნეობების და მათი საქმიანობის ეფექტზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც დარგის, ასევე ქვეყნის ეკონომიკაც.

ეროვნული მეურნეობის ფინანსურ ურთიერთობებში, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს საოჯახო მეურნეობების, ფერმერების, ფირმებისა და კორპორაციების ფინანსებს, რადგან ისინი ემსახურებიან საზოგადოებრივ წარმოებას, სადაც იქმნება მატერიალური და არამატერიალური დოკუმენტები და ქვეყნის ფინანსური დოკუმენტები.

საოჯახო (ფერმერული) მეურნეობები დამოუკიდებლად განკარგავენ სახსრების გამოყენებასა და დაზოგვას, ინვესტიციებს და ღებულობებს გადაწყვეტილებას რისკის მართვასთან დაკავშირებით, ისინი ასევე უნდა ცდილობდნენ შეამცირონ ფინანსური სიტუაციების გაურკვევლობის დონე, ხოლო გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში, გაზარდონ დასაშვები რისკების შესაძლებლობა.

ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში ფინანსური რესურსების ფორმირების ძირითად წყაროს პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები შეადგენს, რომლის ცალკეული ნაწილები განაწილების პროცესში ღებულობს ფულადი შემოსავლებისა და დაგროვების ფორმას, გარდა აღნიშნულისა ფინანსური რესურსების წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ ზედმეტი ქონების რეალიზაციიდან ამონაგები და ნასესხები საშუალებების წყაროები.

ოჯახური და ფერმერული მეურნეობების ფინანსური მართვის სისტემაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს რაციონალური

სასესხო პოლიტიკის გამოყენებას, აქტივების რაციონალურ სტრუქტურას, საკუთარი და ნასესხი საშუალებების თანაფარდობას და ა. შ.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა 763 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. (საქართველოს მთლიანი სასოფლო-სამეურნო სავარგული შეადგენს 3023,5 ათას ჰექტარს), მათ შორის სახნავი 463,3 ათასი ჰა (54,6%), მრავალწლიანი ნარგავები – 18,4 ათასი ჰა (68,5%), სათიბი – 41,9 ათასი ჰა (29,3%), საძოვარი – 83,6 ათასი ჰა (4,7%), საცხოვრებლებისა და სამეურნეო შენობების ეზოების ფართობები – 19,8 ათასი ჰა (2,6%). 2004 წლის მონაცემებით კერძო სექტორში იწარმოება ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 95%-ზე მეტი (იხ. ცხრილი 8, 9).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს არ გააჩნიათ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება და საჭირო ცოდნა, რაც რა თქმა უნდა აფერხებს პროდუქციის წარმოების ზრდას და ეკონომიკის განვითარებას. ფერმერთა ზემოთ აღნიშნული პრობლემების თანდათანობით გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის (IFAD)-ის საპილოტო რაიონებში (შუახევის, ამბროლაურის, ასპინძის და დუშეთის რაიონები) მოეწყო “ფერმერის სახლები”, (აგროსერვის ცენტრები), რომელთა ძირითადი მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი მაღალი მოსაგლიანობის მიღების ხელშეწყობა, რომელიც გამოისყიდის ინტენსიფიკაციისათვის გაწეულ ხარჯებს, უზრუნველყოფს ფერმერთა მოგებას. სამომავლოდ კარგი იქნებოდა “ფერმერის სახლების” ფუნქციონირება მთლიანად

ცხრილი-8\*

მემკვენარეობის პროდუქტების წარმოება საქართველოს საკუთრების  
უველა ფორმის მეურნეობაში (ათასი ტონა)

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
საშემოდგომო ხორბალი	297,5	193,9	220,1	185,8	190,1	69,7	74,9	80,3
სიმინდი	288,6	400,1	461,9	410,6	421,3	217,4	295,8	328,2
მარცვლოვან-პარკოსანი პულტურები – სულ	10,0	10,7	12,2	16,6	23,0	7,6	10,5	11,6
მზესუმზირა	41,8	21,2	25,5	22,3	22,3	12,3	16,1	15,1
სოია	1,4	1,9	3,7	2,2	10,7	3,7	2,8	2,3
კარტოფილი	422,2	415,3	425,2	419,5	432,2	168,7	229,2	193,4
ბოსტნეული	396,0	405,6	430,1	400,5	436,7	179,7	190,3	165,0
ბაღჩეული	83,9	125,1	125,0	109,5	119,6	37,8	73,5	52,8
ხილი	200,0	172,6	260,0	160,1	264,9	153,3	227,5	157,6
ციტრუსები	60,0	33,1	59,2	38,2	122,4	52,2	98,9	55,2
ყურძენი	150,0	90,0	200,0	180,0	250,3	162,5	227,3	175,8
ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი	23,0	24,0	25,5	20,0	22,8	6,6	7,5	5,4

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის  
პროდუქტების წარმოებაში (პროცენტობით)

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ხორბალი	91	91	85	89	86	81	86	86
სიმინდი	94	96	97	97	99	99	99	99
ლობიო	99	99	100	100	99	100	100	100
მზესუმზირა	97	93	90	94	97	91	98	93
სოია	99	96	100	64	100	100	100	100
კარტოფილი	88	88	99	97	97	78	100	100
ბოსტნეული	95	93	98	97	100	100	99	100
ბალჩეული	99	99,9	99	99,7	100	100	100	100
ხილი	99,8	99,9	98	99,5	97.4	99.5	98.8	99.5
ციტრუსები	99	100	100	100	100	99.7	100	99.5
ყურძენი	88	99,9	97	99	99.4	92.4	91.2	95.2
ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი	93	74	76	64	86.8	68.2	73.3	72.2

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

უზრუნველყო ფერმერულ კავშირებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვენ გვჭირდება ძლიერი ოჯახური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება არა მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ

ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, რაც  
სოფლად საბაზრო სტრუქტურების ფორმირება-განვითარების  
საფუძველი უნდა გახდეს.

## **2-2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თავისებურება და ოჯახური და ფერმერული მეურნეობებს შორის არსებული განსხვავების ანალიზი**

სოფლის მეურნეობა მატერიალური წარმოების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. აქ ხდება მოსახლეობისათვის სურსათისა და ეროვნული მეურნეობის მრავალი დარგისათვის ნედლეულის უდიდესი ნაწილის წარმოება. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მემცენარეობისა და მეცხოველეობის მრავალი სახის პროდუქცია აუცილებელი და თანაც შეუცვლელია ადამიანთა საზოგადოების არსებობის და შემდგომი განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობა განხილული ისტორიულ ასპექტში ყოველთვის იყო და არის ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საფუძველთა საფუძველი. ადამიანთა საზოგადოების განვითარების კვალობაზე მუდამ შეიმჩნეოდა მათი შრომითი საქმიანობის დიფერენციაციის პროცესი, ანუ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და სხვათა ცალკე დარგებად გამოყოფასა და ჩამოყალიბებაში.

თვით სოფლის მეურნეობას კი, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს, გააჩნია მრავალი განსაკუთრებული ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი თავისებურებანი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება მის სირთულესა და სიძნელეში მდგომარეობს. საზოგადოებრივი წარმოების ყველა სხვა სფეროსაგან განსხვავებით

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მატერიელურ-ტექნიკურ ბაზასა და სხვა საშუალებებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობით მონაწილეობს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი – ნიადაგი, მცენარე, პირუტყვი და ადამიანი. თითოეულ ამ ცოცხალ ორგანიზმს იმავე წარმოების პროცესში ერთდროულად, განუწყვეტლივ და უმაღლესი მოთხოვნილების დონეზე ესაჭიროება აუცილებელი, შეუცვლელი, თანაბარი მნიშვნელობის მქონე და პირდაპირმოქმედი ხუთი სასიცოცხლო ფაქტორი – სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროცესში მონაწილე ეს ოთხი ცოცხალი ორგანიზმი თავიანთი ხუთი სასისოცხლო ფაქტორით ერთმანეთთან განუწყვეტელ კორელაციურ კავშირში არიან. მეცნიერებამ დღემდე ვერ შეძლო განესაზღვრა ამ ცოცხალი ორგანიზმებისა და სასიცოცხლო ფაქტორების კორელაციური კავშირის ძირითადი არსი და მნიშვნელობა, მათი ურთიერთგავლენისა და ზემოქმედების ბუნება და ხასიათი. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესის რაციონალური ორგანიზაცია და მეცნიერული მართვა დღემდე ყველაზე თავისებური, რთული და ძნელად გადასაწყვეტ პრობლემად რჩება.

საოსფლო-სამეურნეო წარმოების შემდეგი თავისებურება ის არის, რომ აქ მიწა წარმოების ყველაზე მთავარი და შეუცვლელი ძირითადი საშუალებაა, რომელიც მასზე ყოველწლიურად განახლებული წარმოების პროცესის რაციონალური ორგანიზაციისა და მეცნიერული მართვის პირობებში კი არ ცვდება, არამედ ყოველმხრივ უმჯობესდება და უფრო ნაყოფიერი ხდება, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და ზოგიერთი სხვა დარგისათვის მიწა არის მათი წარმოების ჩამოყალიბებისა და ნორმალური ფუნქციონირების ბაზისი. სოფლის მეურნეობისათვის კი ის არის წარმოების განსაკუთრებული

ძირითადი საშუალება. ეს განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მიწა რიგ შემთხვევაში წარმოადგენს შრომის საგანს, სხვა შემთხვევაში კი შრომის საშუალებას, შრომის იარაღს. მიწა შრომის საგნად გვევლინება მაშინ, როცა ადამიანი მასზე მოქმედებს – ხნავს, ფარცხავს, თესავს და ა.შ. საჭირო პროდუქტების მისაღებად. მაგრამ, როცა ადამიანი მიწაზე ქმნის მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების ხელშემწყობ პირობებს – აწყობს სარწყავ და დამშრობ სისტემებს, აშენებს ქარსაფარ ზოლებს და ა.შ. პროდუქციის მისაღებად, მაშინ მიწა გვევლინება შრომის იარაღად, შრომის საშუალებად. ამ ორადი ბუნების გამო, მიწის როლი და მნიშვნელობა ნებისმიერი ქვეყნის და საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ამ წარმოებაში სამუშაო პერიოდის დროის თვალსაზრისით ყოველთვის არ ემთხვევა წარმოების პერიოდს. წარმოების პერიოდისა და სამუშაო დროის ასეთი დაუმთხვევლობა განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობას, რომლის გამოთანაბრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაკუთრებული თავისებურებაა ისიც, რომ კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი და თვით ეკონომიკური კანონები მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული კვლავწარმოების ბუნებრივ-ბიოლოგიურ პროცესთან და ბუნებრივ კანონებთან, რის გამოც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა ძირითადად ჯერ კიდევ არის დამოკიდებული ხელსაყრელ ბუნებრივ-ნიადაგურ და კლიმატურ პირობებზე.

და ბოლოს, საგარეუბნო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დიდი

ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ცენტრების ირგვლივ მდებარე განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მყოფი დაბალი, საშუალო და მაღალი ნაყოფიერების მიწები ამ ქალაქებიდან და ცენტრებიდან დაშორების პროპორციულად ქმნიან განსხვავებული და მზარდი დამატებითი შემოსავლების, ანუ დიფერენციალური რენტის მიღების პირობებს, რაც სავსებით სრულად და რეალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა ეს თავისებურება განსაკუთრებული ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს დღესაც მიწასთან ადამიანის დამოკიდებულებაზე, საერთოდ აგრარული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

აგრარული ურთიერთობები ძირითადად სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის პროდუქციის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ურთიერთობებია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს წარმოების ძირითად საშუალებებზე – განსაკუთრებით კი მიწაზე საკუთრების ფორმებს, მიწათსარგებლობის სახეებს, წარმოების ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შედეგად მიღებულ რენტულ შემოსავალს და მის განაწილებასთან აღმოცენებულ ურთიერთობებს.

დღევანდელ საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აგრარულ ურთიერთობათა ხასიათი ძირითადად განისაზღვრება მიწათსაკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ფორმებით, რომელიც ჩამოყალიბდა აგრარული რეფორმის განხორციელების პირველ ეტაპზე და რომლის განვითარება გაგრძელდება შემდგომ ეტაპზეც.

საქართველოში აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-

სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნას, ჩამოყალიბებას, ორგანიზაციას და მათ მეცნიერულ მართვას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატურ გეგმაში აღნიშნულია, რომ: “საპროგნოზო პერიოდი აგრარული რეფორმის გაგრძელების და მის საფუძველზე სოფლად მეურნეობრიობის თვისობრივად ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბების წლები იქნება” (1. 11-150).

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით კი, მეურნეობრიობის ახალი, სოციალურად და ეკონომიკურად ეფექტიანი ფორმების დამკვიდრება, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მიჩნეული, რომლის წარმატებით განხორციელებას სახელმწიფო ხელს უწყობს: “კანონშემოქმედებით, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკით, ორგანიზაციული ღონისძიებებით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით” (1. 1-17).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ამ ახალი ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპებია:

1. ნებაყოფლობის პრინციპი.
2. მიწის ნაკვეთის გამოყოფა.
3. საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, ტექნიკაზე, პირუტყვზე.
4. სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობა მიღებულ სამეურნეო შედეგებზე.
5. სრული დამოუკიდებლობა წარმოების სტრუქტურაზე, პროდუქციის გადამუშავებაზე.
6. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დახმარების გაწევა.

7. საწარმოთა უფლებების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოს მიერ  
მათი დაცვა.

8. დამოუკიდებელი ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ბანკში.

თანამედროვე ეტაპზე, არა მარტო პრაქტიკაში, არამედ აგრარულ-  
ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ  
განსაზღვრული ოჯახური, ფერმერული მეურნეობების, როგორც  
სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე  
მასობრივი ფორმების არსი. ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებს  
ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან, ან კიდევ ანცალკევებენ  
ერთმანეთისგან, მიიჩნევენ რა მათი ინდივიდუალურ, პირად, საკომლო,  
საადგილმამულო მეურნეობად, ოჯახურ ფერმად და ა. შ.

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ჩვენ ქვეყანაში აღნიშნული  
პრობლემის გადაწყვეტას ართულებს სრულყოფილი საკანონმდებლო  
ბაზის უქონლობა, პირველ რიგში კი “ოჯახური, ფერმერული  
მეურნეობების შესახებ” საქართველოს კანონის მიღების გაჭიანურება.  
“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ  
“საქართველოს კანონის პირველი თავის, მეოთხე მუხლის, პირველი  
პუნქტის თანახმად: “საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობად  
ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული  
საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი  
გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა  
ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო  
წარმოების საფუძველს” (1.4). ამ მუხლის მეორე პუნქტით  
საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობად მიიჩნევა მებაღეობის  
ამხანაგობათა სააგარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი  
შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს, ხოლო ამავე მუხლის  
მესამე პუნქტის თანახმად “საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა  
შეიძლება არსებობდეს საკომლო (ოჯახური, ფერმერული) მეურნეობის

და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით” (1.4). ასეთი დეფინიცია საკმაო გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულირებიდან გამომდინარე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს ოჯახურ-ფერმერულ, გლეხურ-ფერმერულ, თუ საადგილმამულო ფერმერულ მეურნეობებს ვუწოდებთ.

ჩვენც კანონის მიღებამდე ვიზიარებთ იმათ აზრს ვინც “ოჯახური მეურნეობის” და “ფერმერული მეურნეობის” ტერმინებს, როგორც სინონიმების გამოყენებას გაუმართებლად თვლის, რადგან ეს ცნებები თანამედროვე ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში აერთიანებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ტიპებს.

ისინი გამოყოფენ ოჯახური და ფერმერული მეურნეობების განმასხვავებელ ოთხ ძირითად ნიშანს:

1. ოჯახური მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ტრადიციული ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც ფერმერულ მეურნეობასთან შედარებით ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა.

ოჯახური მეურნეობის მფლობელები, როგორც წესი, სოფლის გლეხთა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, მაშინ როცა ფერმერული მეურნეობის მფლობელები შეიძლება ხშირად ქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

ასეთ შემთხვევაში სრულიად-შესაძლებელია ოჯახური და ფერმერული მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის განსხვავებული მიზნები ამოძრავებდეთ.

2. ოჯახური და ფერმერული მეურნეობების განმასხვავებელი ძირითადი ნიშანია წარმოების საქონლიანობის დონე. კერძოდ, ოჯახური მეურნეობის სამეურნეო საქმიანობა ორიენტირებულია მისი წევრების პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ე. ი. ოჯახურ მეურნეობებს აქვთ

სამომხმარებლო-ნაწილობრივ სასაქონლო მიმართულება, მაშინ როდესაც ფერმერული მეურნეობები ორიენტირებული არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აშშ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1980 განსაზღვრებით, ფერმერად იწოდება ის პირი, რომელიც ერთ წელიწადში აწარმოებს და გაყიდის არა უმცირეს 1.000 დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ეს ნიშნავს, რომ ფერმერი შეიძლება იყოს პირი, რომელიც კვირაში 40 საათს მუშაობს ოფისში, ან ფაბრიკა-ქარხანაში და თავისუფალი დროის ნაწილს უთმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანას, ან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენებას. აშშ-ში საქმიანობენ ე. წ. “სუპერ-ფერმათა” მფლობელები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ 1 მილიონ დოლარის, ან მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სასაქონლო პროდუქციას.

3. ოჯახური და ფერმერული მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამუშაო ძალის გამოყენების ხასიათით. ოჯახური მეურნეობა დაქირავებულ სამუშაო ძალას, როგორც წესი იყენებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ვიწრო წრის შესასრულებლად, დროებით, სეზონურად. ოჯახურ მეურნეობაში წარმოების ძირითად და მუდმივ მონაწილეებად გვევლინებიან მეურნეობის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კიდეც თჯახურ მეურნეობის წევრებს. ფერმერული მეურნეობა კი დაქირავებულ სამუშაო ძალას წარმოების პროცესში იყენებს უფრო მუდმივად. თანაც, ფერმერული მეურნეობის მფლობელს ხშირად მხოლოდ პოტენციურად უნარჩუნდება წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ფუნქცია. უფრო მეტიც, აშშ-ში ჩამოყალიბებულია ფერმერული მეურნეობის “დაუსწრებელი” მფლობელობის ინსტიტუტი. საქმე იმაშია, რომ ერთი თაობიდან მეორეზე ფერმერული მეურნეობების

მემკვიდრეობითი გადაცემისას, ხშირად ფერმერული მეურნეობის ახალ მფლობელს ცხოვრება უკვე დაკავშირებული აქვს სხვა პროფესიასთან, რომელიც საკმაოდ შორს დგას სასოფლო-სამეურნეო სფეროსთან. სდება ისეც, რომ ფერმერული მეურნეობის მემკვიდრე ცხოვრობს სხვა შტატში. ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს კალიფორნიასა თუ პენსილვანიაში და მოდვაწეობდეს სოფლის მეურნეობისაგან დაშორებულ სფეროში და იმავდროულად ფლობდეს ფერმერულ მეურნეობას, ან ფერმერულ მეურნეობათა ჯგუფსაც კი აიღაში, ან ილინოისში. ბუნებრივია ეს იწვევს საკუთრებისა და მართვის ფუნქციების გაყოფას. თავდაპირველად ეს წინააღმდეგობა წყდებოდა ფერმერული მეურნეობის იჯარით გადაცემის გზით მეზობელ ფერმერებზე. თუმცა დროთა განმავლობაში გამოჩნდნენ მენეჯერები, რომლებიც პროფესიონალურად ახორციელებენ ასეთი ფერმერული მეურნეობების მართვას და უზრუნველყოფების მის მაღალრენტაბერულობას. დღეს, ე. წ. “სიმინდის სარტყელში” (აიოვა, ილინოისი, ინდიანა, მისური, ოჰაიო) მიწების 12%-13% მუშავდება პროფესიონალი მენეჯერების დახმარებით. მაგალითად, ფერმერული მეურნეობების მენეჯმენტის ხაზით მომსახურეობას მისდევს 1946 წელს დაარსებული ფირმა “ფერც ფარმ მენეჯმენტი”. იგი ემსახურება დაახლოებით 1500 ფერმერულ მეურნეობაზე მეტს აიოვასა და ილინოისის შტატებში.

4. ოჯახური მეურნეობები, ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავდებიან სპეციალიზაციის დონით. ოჯახური მეურნეობები, ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავდებით უფრო ფართო პროფილიანები არიან, რადგან ძირითადი მიზანია მეურნეობის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერულ მეურნეობებს უხდებათ კომპლექსური მექანიზაციის უფრო სრულყოფილი საშუალებების

გამოყენება. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ ოჯახურ მეურნეობებთან შედარებით.

ამრიგად, ოჯახური მეურნეობა – ტრადიციული, კერძო, ინდივიდუალური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და კომლის, ოჯახის, ნათესაური კავშირის მქონე პირთა ჯგუფის ფარგლებშია წარმოდგენილი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას ძირითადად საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არ იყენებს დაქირავებულ სამუშაო ძალას მუდმივად და მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ფერმერული მეურნეობა – კერძო, ინდივიდუალური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და წარმოდგენილია ცალკეული მოქალაქეებით, ოჯახით ან პიროვნებათა ჯგუფით, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას და რეალიზაციას, იყენებენ დაქირავებულ სამუშაო ძალას მუდმივად, არის დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელი და ორიენტირებულია ბაზარზე, მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მიუხედავად, მთელ რიგ მნიშვნელოვან პარამეტრებში მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, ოჯახური და ფერმერული მეურნეობები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, კერძოდ მისი აგრარული სექტორის თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები არიან.

ოჯახური, ფერმერული ფორმირების წყაროა: მეურნეობის წევრების ფულადი და მატერიალური სახსრები; პროდუქციის რეალიზაციიდან, მომსახურეობიდან და შრომითი საქმიანობის სხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები; ფასიანი ქაღალდებიდან

კრედიტები; საწარმოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების შეწირულობები; საქველმოქმედო შენატანები; სხვა წყაროები, რომელსაც არ კრძალავს კანონმდებლობა.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ოჯახური, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება ხდება “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე.

ჩვენი აზრით, ოჯახური, ფერმერული მეურნეობების პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის აუცილებელია “ოჯახური, ფერმერული მეურნეობების შესახებ” საქართველოს კანონის სასწრაფოდ მიღება. ამ შემთხვევაში ოჯახური, ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია-ფუნციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა გადაწყდება.

ფერმერული მეურნეობა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, და კერძოდ, მისი აგრარული სექტორის თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი და თავისუფალი მეწარმეობის ფორმაა იურიდიული პირის უფლებით, რომელიც ცალკეული მოქალაქის, ოჯახის თუ მოქალაქეთა ჯგუფის მიერ კერძო საკუთრებაში მყოფი ან იჯარით აღებული მიწისა და სხვა ქონების საფუძველზე, მეურნეობის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მოგების მიღების მიზნით აწარმოებს, გადაამუშავებს და ყიდის სოფლის მეურნეობის პროდუქციას. ფერმერული მეურნეობის ამ ზოგად განმარტებაში, საქართველოში მისი განვითარების საწყის სტადიასთან მისადაგებით, შეიძლება ის კორექტივი შევიტანოთ, რომ გარდამავალ პერიოდში ასეთი მეურნეობის უპირველესი მიზანი იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. რა თქმა უნდა, ცალკეულ მეურნეობაში არც მოგების მიღება (და საკმაოდ მნიშვნელოვანი მოგებისა) იქნება გამორიცხული, მაგრამ მასობრივად

ეს მოხდება გარკვეული ეტაპის გადალახვის შედეგად, როცა მატერიალურ - ტექნიკური თუ სხვა ასპექტით ასე თუ ისე მომძლავრდებიან ისინი.

მსხვილ ან საშუალო ფერმერად გახდომამდე აუცილებელია ბაზრის ისეთი სექტორის მონახვა, სადაც ფერმერის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა იქნება. ასევე ფერმერმა უნდა განსაზღვროს საწარმოო დანახარჯების დონე და გაიანგარიშოს არსებული ფასების პირობებში შეუძლია მიიღოს მოგება თუ არა, გაარკვიოს როგორ იცვლებოდა ფასები ბაზარზე და როგორია ტენდენციები წლიური რყევების ჩათვლით: როდის იზრდება და მცირდება ფასები, გაიგოს, როგორ ზემოქმედებს ფასების დონეზე სუბსიდიები, ვინ და რა ოდენობით იხდის ამ სუბსიდიებს, და შეუძლია თუ არა მას მიიღოს იგი მომავალში.

## 2.3 ფერმერთა (ოჯახური მეურნეობების) კოოპერირება და მეტი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის კონკრეტული გზების ანალიზი

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესი უდავოდ პროგრესული მოვლენაა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა მიწის მესაკუთრე გლეხთა და ფერმერთა ფენა, რაც აუცილებელი პირობაა აგრარულ სექტორში საბაზო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისა, მაგრამ დადებითთან ერთად, ამ პროცესმა უარყოფითი შედეგებიც მოგვცა, რომელთა შორისაც პირველ რიგში უნდა დასახელდეს საქონელმწარმოებელთა დაქუცმაცება, წვრილი და სუსტი საადგილმამულო პარცელაცია და ფრაგმენტაცია.

ახლადწარმოქმნილი წვრილი საადგილმამულო მეურნეობების რიცხვი მილიონს აჭარბებს. შედარებისათვის მოვიყვანთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდის დაახლოებით 1 (0.5) ფერმერული მეურნეობა, გერმანიაში – 3 (3.3), ნიდერლანდებში – 6 (5.7), ევროგაერთიანების ქვეყნებშიც – 6 (5.7), ხოლო საქართველოში კი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე მოდის 100 (100.4) მეურნეობა.

საადგილმამულო მეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალო სიდიდე დაახლოებით 0.77 ჰექტარია. ეს მცირე ზომის სავარგულებიც თავის მხრივ დაქუცმაცებულია 4 მილიონამდე ნაკვეთად, რომელთა საშუალო სიდიდე დაახლოებით 0.19 ჰექტარია.

შედარებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერული მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო

სავარგულების საშუალო სიდიდე – 190.2 ჰექტარია. გერმანიისთვის ეს მაჩვენებელი – 30.3 ჰექტარია, ნიდერლანდებისათვის – 17.7 ჰექტარი, ევროგაერთიანების ქვეყნებისთვის კი – მხოლოდ 1.5 ჰექტარი.

ნიდერლანდებში ყოველ 100 ჰექტარზე მოდის 18 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით მოსარგებლე 2.6 ფერმერული მეურნეობა, ხოლო საქართველოში კი – მხოლოდ 0.3.

სავარგულების პარცელაცია და ფრაგმენტაცია უარყოფითად მოქმედებს ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების წარმოების ეფექტიანობაზე, ვინაიდან იზრდება აგრატექნიკური სამუშაოების ხარჯები, რაც იწვევს წარმოებული პროდუქციის თვითდირებულების ზრდას.

დაქუცმაცებულობასთან ერთად, ქვეყნის ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს პირუტყვისა და ფრინველის სულადობის დაბალი მაჩვენებლებიც.

წვრილმა საადგილმამულო მეურნეობებმა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ეკონომიკური კრიზისის წლებში შეასრულეს თავისი როლი, განვითარების თვალსაზრისით ისინი არაპერსპექტიულნი არიან. ამდენად დღის წესრიგში დგება წვრილისაადგილმამულო მეურნეობების კომერციალიზაციისა და მათი შედარებით მსხვილ ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებად ტრანსფორმაციის საკითხები. ამ მეურნეობებმა ორიენტაცია უნდა აიღონ ძირითადად სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე.

როგორ შეიძლება დაიძლიოს ქვეყნის ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობების განვითარებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ხელისშემსლელი ფაქტორები, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რესურსების – მიწისა და პირუტყვის დაქსაქსულობა წვრილ საადგილმამულო მეურნეობებში?

ჩვენის აზრით, ამ პრობლემის დასაძლევად საწყის ეტაპზე ყველაზე სწორი მიმართულებაა წვრილი საადგილმამულო მეურნეობების ტრანსფორმირება შედარებით მსხვილ ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებად ამ მეურნეობების გაერთიანების, კოოპერირებისა და ინტეგრირების გზით.

როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ფერმერული მეურნეობების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რაც უფრო მსხვილია ფერმერული მეურნეობა, და მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულით სარგებლობს იგი, მით უფრო მომგებიანი და ეფექტური მისი საქმიანობა.

მსხვილი სასაქონლო წარმოების უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერული მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზრდასთან ერთად იზრდება მათი შემოსავლებიც.

ის ტენდენცია, რომ რაც უფრო მეტია სავარგულების ფართობი, მით უფრო მეტია შემოსავლებიც, კარგად იქნა გათვალისწინებული აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც დეკოლექტივიზაციის მიმდინარეობისას ეფექტიანად იქნა გამოყენებული კოლმეურნე გლეხთა კოოპერირების თანამედროვე მეთოდები. რეფორმირების პროცესში აღმოსავლეთ გერმანიის კოლექტიური მეურნეობები კი არ დაიშალნენ და დაქუცმაცდნენ წვრილ და სუსტ მეურნეობებად, არამედ გარდაიქმნენ გლეხთა და ფერმერთა თანამედროვე კოოპერატივებად და გაერთიანებებად. დღეს ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ფერმერული მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალო სიდიდე 250 ჰექტარია.

რომ არა ნაჩეარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებები, იყო შესაძლებლობა, კოლექტიურად მეურნე გლეხთა გაერთიანებები კოოპერაციის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით

საქართველოშიც შეგვენარჩუნებინა. ეს არ იქნებოდა კოლმეურნეობების ყოფილი ფორმით შენარჩუნება, ეს იქნებოდა კოლმეურნეობების გარდაქმნა გლეხთა თანამედროვე კოოპერატივებად.

დღესაც კიდევ მიმდინარეობს სერიოზული დავა, საჭირო იყო თუ არა კოლმეურნეობების თავიანთი სახით შენარჩუნება. ოჯახური მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რუსი მკვლევარი ა. ჩაიანოვი აღნიშნავდა, რომ, კოოპერაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს მასში გაერთიანებული წევრების თვითშემოქმედება წარმოადგენს, ამიტომ კოოპერატივები უნდა განვიხილოთ, როგორც სიცოცხლისუნარიანი საწარმოო ეკონომიკური სისტემები. კოოპერაციის ძირითად დანიშნულებას კი მისი დამაარსებლების შემოსავლების ზრდა წარმოადგენს და არა პირიქით. კოლმეურნეობები კი თავის დროზე შეიქმნენ კოოპერაციის ძირითადი პრინციპების გაუთვალისწინებლად, გლეხების ნების წინააღმდეგ და ძალდატანებით. მათი დანიშნულება უფრო სახელმწიფოს შემოსავლების ზრდა იყო და არა გლეხებისა. ამიტომ კოლმეურნეობების თავიანთი სახით შენარჩუნება საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა კოოპერაციის შენებას. და თუ კოლმეურნეობების შენარჩუნებაზეა საუბარი, ისინი, კოოპერაციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, უნდა გარდაქმნილიყვნენ ფერმერთა (გლეხთა) თანამედროვე კოოპერატივებად.

ჩაიანოვი ოჯახურ მეურნეობას განიხილავდა როგორც სოფლად პირველად საწარმოო უჯრედს, რომელიც სხვადასხვა ფორმის კოოპერაციის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ოპტიმალური ზომის მეურნეობად. ამასთან, მისი აზრით, კოოპერატივების შექმნისა და მისი საქმიანობის განსაზღვრის უპირველესი მიზანია კოოპერაციის წევრთა ინტერესები – მიიღონ

მაქსიმალური შემოსავლები და არა თავად კოოპერაციული საწარმოს მაქსიმალური მოგების მიღება. ამდენად, კოოპერატივების ჩამოყალიბებას გარკვეული სოციალური დატვირთვაც ენიჭება, რომელმაც უნდა აამაღლოს კომლთა და ოჯახთა შემოსავლები და დასძლიოს სოფლად სიღარიბის დონე.

დღეს, როგორც ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალური ფონისა და სიღარიბის ფონის გათვალისწინებით, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების განვითარების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად მათი კოოპერირება გვესახება.

ა. ჩაიანოვი ვარაუდობდა, რომ სოფლად კოოპერირების პროცესი პირველ რიგში განვითარდებოდა იმ მიმართულებით, სადაც მას ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდებოდა. საწყის ეტაპზე მას ასეთ სფეროებად ფინანსური და სავაჭრომ ხოლო შემდგგ კი – რეალიზაცია და გადამუშავება ესახებოდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დასკვნით ეტაპად ის სამანქანო, სანაშენო, მეთესლეობის, მელიორაციულ, დაზღვევის და სხვა სახის კოოპერაციის ჩამოყალიბებას მიიჩნევდა.

საბაზო	ეკონომიკის	პირობებში	საქართველოში
მრავალფეროვანი	ფერმერული	მეურნეობებისა	და მათი
გაერთიანებების	ჩამოყალიბება	იქნება	მოსალოდნელი. ეს
განპირობებული	იქნება ქვეყანაში არსებული ბუნებრივ-კლიმატური,		
ეკონომიკური,	საფინანსო-საკრედიტო, წარმოების სპეციალიზაციისა და		
კონცენტრაციის,	მექანიზაციის დონისა და სხვა ფაქტორებით.		

ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების გაერთიანება და გამსხვილება უნდა წარიმართოს კოოპერირების თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მათი კოოპერატივებად, კორპორაციებად, ერთობლივ

საწარმოებად, სააქციო საზოგადოებებად და სხვა მომსახურე საწარმოებად.

ამ მიმართულებით ქვეყანაში უკვე დაიწყო სხვადასხვა ინტერესებისა და სპეციალიზაციის მიხედვით ფერმერთა კოოპერატივების და გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესი. უკვე შეიქმნა თხუთმეტამდე ასეთი ორგანიზაცია, როგორებიცაა:

“საქართველოს მემამულეთა კავშირი”, “საქართველოს ფერმერთა გაერთიანება”, “საქართველოს ადგილმდებრნეთა ასოციაცია”, “საქართველოს მევანეხეთა და მეღვინეთა კავშირი”, “საქართველოს ხორბლის მწარმოებელთა კავშირი”, “საქართველოს მწარმოებელთა კავშირი”, ასოციაცია “სოია”, ხორბლის, სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეულის თესლის მწარმოებელთა კოოპერატივები, წყალმომხმარებელთა ასოციაცია და სხვა, რომელთა რიგებშიც გაერთიანებულია დაახლოებით 20 ათასამდე ფერმერული მეურნეობა, მაგრამ უმეტესობა ოჯახური (ფერმერული) მეურნეობისა მაინც დაქსაქსულნი და არაორგანიზებულნი არიან.

წვრილი ოჯახური მეურნეობების, და ფერმერთა კოოპერირების ერთ-ერთ პროგრესულ ფორმას სასოფლო-საკრედიტო კავშირი წარმოადგენს, რომლის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი რამდენიმე წელია, რაც მსოფლიო ბანკის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და ევროგაერთიანების მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოში.

სასოფლო-საკრედიტო კავშირი ოჯახური მეურნეობების ერთგვარი ურთიერთდახმარების სალაროა, რომელიც იქმნება ნებაყოფლობით, კავშირის წევრ ფერმერთა ფულადი დანაზოგების დაგროვებისა და შენახვის საფუძველზე. საკუთარი წევრებისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ხელმისაწვდომი კრედიტის გაცემის მიზნით. მისი უპირველესი ამოცანაა არა მოგების მიღება,

როგორც ეს ბანკების შემთხვევაშია, არამედ კავშირის წევრთა შემოსავლების გაზრდა და მათი ინტერესების დაცვა.

სასოფლო-საკრედიტო კავშირის წევრები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, თუ ვისზე გასცენ კრედიტი, ამდენად, ბანკის კლიენტებისაგან განსხვავებით, თავად იღებენ რისკს გადაწყვეტილების მიღებისას და თავადვე ადგენენ საპროცენტო განაკვეთს. ამიტომაც ისინი ყოველთვის ცდილობენ მინიმუმადმე შეამცირონ რისკი და მკაცრად აკონტროლებს ყოველი მსესხლების გადახდისუანრიანობას და ანაბრების დაცვის გარანტიებს.

გარანტად, როგორც წესი, შეიძლება იყოს საპაიო შენატანი ან დაგირავებული ქონება. იმ საკრედიტო კავშირებს, რომელთაც აქვთ მყარი გარანტიები, საკრედიტო ფონდების გასაზრდელად შეუძლიათ გამოიყენონ ბანკის სესხები.

საკრედიტო კავშირის წევრები თავიანთ საერთო კრებაზე ყოველი წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით ირჩევენ დირექტორთა საბჭოს, საკრედიტო, საგარანტიო კომიტეტებს. საკრედიტო კავშირის თითოეულ წევრს, მიუხედავად ანაბრის ოდენობისა, აქვს ხმის უფლება. კავშირის ყოველდღიურ საქმიანობას ეძლევა დირექტორთა საბჭოს დანიშნული მენეჯერი.

საკრედიტო კავშირში დაგროვილი კაპიტალის 20% ყოველთვის წარმოადგენს სარეზერვო თანხას და დანარჩენი 80% – კი განკუთვნილია, როგორც საკრედიტო რესურსი.

1999 წლის 1 იანვარისათვის მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 რეგიონში შექმნილი იყო 109 სასოფლო-საკრედიტო კავშირი საერთო კაპიტალი 580 ათასი ლარი, რომელთა წევრთა საერთო რაოდენობა 7 ათასი კაცი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ

დროისათვის ამ სასოფლო-საკრედიტო კავშირის წევრთა მიერ მხოლოდ პროცენტის სახით დაბრუნებული იყო 39000 ლარი.

ევროგაერთიანების TAKIS-ის RARP-ის პროექტის ფარგლებში ამავე პერიოდისათვის ჩამოყალიბებულ იქნა 7 საკრედიტო კავშირი საქართველოს 6 რეგიონში – კახეთის (სიღნაღის), სამეგრელოს (ხობი), გურიის (ლანჩხუთი), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ნინოწმინდა), იმერეთის (ვანი), და აჭარის (ქობულეთი) რეგიონებში.

მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სასოფლო-საკრედიტო კავშირების ფორმირების სპეციფიკურობა საქართველოში იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორგანიზაციები გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების საშუალებით ხელს უწყობენ ამ კავშირების ჩამოყალიბებასა და მომდლავრებას. გრანტები ძირითადად მიმართულია კავშირების ორგანიზაციულ-ტექნიკური მოწყობისათვის, ხოლო კრედიტები კი ემატება საკრედიტო კავშირების წევრთა საპაიო კაპიტალის პროპორციით 1:1. სულ ამ ორგანიზაციებს მიერ 1999 წლის 1 იანვრისათვის გამოყოფილ იქნა 186 ათასი ლარის ოდენობის გრანტი და 325 ათასი ლარის ოდენობის კრედიტი.

სასოფლო-საკრედიტო კავშირების ფორმირების პროცესი, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს:

- ოჯახური მეურნეობებისა და ფერმერთა კავშირების ფორმირების პროცესს;
- ქვეყნის აგრარული სექტორის საფინანსო-საკრედიტო მომსახურების სფეროს განვითარებას და ამ სისტემის ადგილობრივი, რაიონული და რეგიონული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს;

- გლეხთა და ფერმერთა თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზებას და ეფექტიან დაბანდებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;
- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას;
- ინტეგრირებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო შესაბამის საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან.

განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასურველი იქნებოდა, თუ კავშირის წევრების ანაბრები და სესხები დაცული იქნება დაზღვევის ფონდების მიერ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების და კრედიტების დაზღვევის სისტემის ფორმირება ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება საბაზო ეკონომიკის პირობებში. მართალია, ქვეყანაში ყალიბდება სადაზღვევო ურთიერთობები და გამოჩნდა პირველი სადაზღვევო კომპანიებიც, მაგრამ ისინი თავს არიდებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაზღვევას, როგორც ყველაზე უფრო რისკიან საქმიანობას.

ოჯახური მეურნეობების გამსხვილებისა და კოოპერირების პროცესის განვითარებას ხელს შეუწყობს მიწის ცივილური ბაზრის ფორმირებაც, რომელიც ჯერჯერობით ჩამოყალიბების ეტაპზეა. მიწის ბაზარი საშუალებას მისცემს წარმატებულ გლეხებს და ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესყიდვის გზით გაამსხვილონ თავიანთი მეურნეობები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მსხვილი სასაქონლო წარმოების განვითარებას და ამავე დროს აამაღლებს მიწის გამოყენების ეფექტიანობას და მის ეკონომიკურ ნაყოფიერებას.

ქვეყნის აგრარულ სექტორში რეფორმების გატარებით უკვე ჩამოყალიბდა მიწის ბაზრის ფორმებისა და შემდგომი ფუნქციონირების წინაპირობები. მტკიცე საფუძველია შექმნილი

იმისათვის, რომ მიწის განვითარდეს და წარიმართოს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აუცილებელი დაცვით, საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაფართოებით.

გლეხების, როგორც მიწის მესაკუთრეების უფლებები დასაზუსტებელია. საჭიროა მათვის შესაბამისი სტატუსის დაკანონება, რათა მათ საშუალება მიეცეთ მიწის ნაკვეთების კანონიერი ყიდვა-გაყიდვისა, ან ბანკებთან საკრედიტო ურთიერთობისას მიწის გირაოდ გამოყენების. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია საბაზრო ურთიერთიბების შემდგომი გაღრმავება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით 2015 წლამდე საქართველოს აგრარული სექტორის დაფინანსების სავარაუდო წყაროებია (იხ. ცხრილი-10)

ცხრილი - 10\*

### დაფინანსების სავარაუდო წყაროები

(მილიონი მუდმივი აშშ დოლარი)

წელი	სოფ. მეურნეობის სამინისტრო	FAO	EU/SIDA	USDA/USAID	ადგილობრივი მმართველობა	სულ
2006	0.0	0.3	0.5	0.8	0.0	1.6
2007	0.2	0.0	7.3	1.5	0.0	9.0
2008	0.7	0.0	6.0	4.8	0.0	11.5
2009	0.7	0.1	6.0	2.0	0.0	8.8
2010	0.8	0.0	6.0	3.5	0.0	10.3
2011	0.8	0.0	5.0	2.0	2.5	10.3
2012	0.8	0.1	2.5	2.0	5.0	10.4
2013	0.9	0.0	0.0	2.0	7.5	10.4

2014	0.9	0.0	0.0	0.0	7.5	8.4
2015	0.9	0.0	0.5	0.0	7.5	8.9
სულ	6.7	0.5	33.8	18.6	30.0	89.6

\*წყარო: საქართველოს სოფ. მეურნეობის სამინისტრო. ”საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015წ/წ.“ ობილისი 2006წ. ცხრილიდან ჩანს, რომ დაწყებული 2011 წლიდან, ადგილობრივმა მმართველობამ ეტაპობრივად უნდა გადაიბაროს პასუხისმგებლობა ექსტენციის მომსახურების ფუნქციაზე, თუმცა სამისოდ ჯერ ამ სისტემის ფასეულობას და სარგებლობაში უნდა დარწმუნდეს. 2013 წლისათვის სისტემის დაფინანსება სრულიად გადავა ადგილობრივ ბიუჯეტებზე, გარდა სპეციალიზებული ექსპერტული დახმარებისა და კვალიფიკაციის პროგრამისა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ დარჩება. ასევე ნაგულისხმევია, რომ 2013 წლიდან მოყოლებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სრულიად დააფინანსებს და ზედამხედველობას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და განათლების სისტემებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა სამინისტროს 2006 წლის მონაცემებით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმობისათვის ვარგისი მიწის მთლიანი ფართობის ასათვისებლად და მართვისა და წარმოების საშუალებების უტილიზაციის მაღალი დონის მისარწევად ყოველწლიურად საჭირო იქნება დაახლოებით 1.8 მილიარდი ლარის ინვესტირება საშუალო კაპიტალში, დაახლოებით 110 მილიონი ლარის მოზიდვა მანქანებისა და ვენახის განახლებისათვის. მთლიანობაში ეს 2 მილიარდ ლარს აღემატება.



**თავი - 3 . მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული  
სექტორის ეკონიმიკური ეფექტიანობის ამაღლების  
უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები**

**3-1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის სრულყოფის  
გზები მცხეთა-მთიანეთის მხარის მაგალითზე**

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ უარყო გეგმიანი ეკონომიკა და საბაზო ეკონომიკის კურსი აირჩია, არსებითად გაიზარდა ეროვნული ეკონომიკის მასშტაბები, გართულდა მისი სტრუქტურა, უფრო მჭიდრო გახდა დარგთა და საწარმოთა კავშირურთიერთობა. ყოველივე ეს ზრდის აგრარულ სექტორში საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენების ინტერესს. აღნიშნულ პირობებში კერძო საკუთრებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და წარმოადგენს ეროვნული ენერგიის მძლავრ მექანიზმს. იქიდან გამომდინარე, რომ საკუთრება კერძო გახდა, გაიზარდა მისი მფლობელის ფინანსურ-ეკონომიკური ინტერესებიც, რაც უზრუნველყოფს აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებას და ათვისებას. საბჭოთა კერიოდში კი ეს პოტენციალი არ იყო სრულად გამოყენებული. ეკონომიკა არ იძლეოდა ბევრი სასურველი და შესაძლებელი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. საკმარისად არ იყო განვითარებული არც ეკონომიკური ურთიერთობები. აგრარულ სექტორში განსაკუთრებით ცუდად იყო გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შესაძლებლობები.

საბაზრო ეკონომიკის სრულყოფილად ფუნქციონირებისა და სასურსათო პოტენციალის ამოქმედებისათვის აუცილებელია განვითარების სწორი მიმართულება მივცეთ საწარმოო პოტენციალს – მიწას, კაპიტალს, შრომას, და სამეწარმეო უნარს. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში აგრარული რეფორმის არასწორი კურსის შედეგად წარმოების ზემოთ დასახელებული ფაქტორები ვერ იქნა სწორად შეფასებული და ამოქმედებული რამაც გამოიწვია მეტად არასახარბიელო შედეგები.

დღეს-დღეისობით საქართველოს აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოების შემცირება, შრომის ნაყოფიერების დონის დაცემასთან ერთად, განპირობებულია ნედლეულის მიუწოდებლობით, მის სფეროებს შორის დაუბალანსებლობით, არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენებლობით და სხვა ფაქტორებით. მიწის, კაპიტალის, შრომის და სამეწარმეო უნარის გამოყენების ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის 2-ჯერ და მეტად არის გაუარესებული.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა იყოს ტექნოლოგიურად, ორგანიზაციულად და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული დარგების ერთობლიობა, აუცილებელია მან უზრუნველყოს :

- სოფლის მეურნეობის ნედლეულითა და მისი გადამუშავებით მიღებული საერთო პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით;
- სოფლის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა;
- ეფექტიანი კვლავწარმოების პირობების შექმნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ამ ფუნქციათაგან სრულყოფილად ვერც ერთს ასრულებს, ეს კი ჩვენში ქმნის სასურსათო პროდუქტების დიდ დანაკარგებს და მის მწვავე დეფიციტს.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოდ საერთო ხასიათის შემდეგი დასკვნები: ქვეყნის აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელი იყო შიდა კომპლექსური ეკონომიკური კავშირების მაღალი ინტენსიურობა, რომლის აღდგენა და გაძლიერება შემდგომისათვის შექმნის ხელსაყრელ პირობებს დარგთაშორისი კომპლექსის და შიდადარგობრივ პროდუქტობრივი კომპლექსების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. ამასთან, კომპლექსწარმომქმნელ სფეროებსა და დარგებს შორის საწარმოო ეკონომიკური კავშირების გაფართოება მიჩნეულ უნდა იქნას ეკონომიკის გამტკიცების ერთ-ერთ მიმართულებად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ეს ცვლილებები მის ყველა დარგს და სტრუქტურას შეეხო. ამ მხრივ აღსანიშნავია მიწათმფლობელობის სტრუქტურა. კერძოდ: თუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას მოსახლეობის პირად სარგებლობაში (და არა კერძო საკუთრებაში) მყოფი მიწა მთელი სასოფლო- სამეურნეო მიწის მხოლოდ 7 %-ს შეადგენდა, 2003 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ( სათიბ-საძოვრების ჩათვლით) 25%-ი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 30%-ი სახელმწიფოს მიერ კერძო პირზე იჯარით გაცემული; დღეისათვის ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა სტრუქტურას: თუ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესი წილი შედარებით მცირე რაოდენობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა, რეფორმების შემდეგ მწარმოებელთა ეს კატეგორია საერთოდ გაქრა და წარმოების ძირითადმა მასამ (90 პროცენტზე მეტა) ოჯახური (უპირატესად წვრილი) მეურნეობისაკენ გადაინაცვლა.

თითქმის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა წარმოების სტრუქტურაში: ტრადიციული ბაზრების დაკარგვის გამო ხილის წარმოება 2-ჯერ შემცირდა, ყურძნის 3-ჯერ, ციტრუსების 8-ჯერ, ჩიის 20-ჯერ. შესაბამისად შეიცვალა მიწათსარგებლობის სტრუქტურაც-მასობრივი ხასიათი მიიღო მრავალწლიანი ნარგავების გაჩეხვამ, ერთწლიანი კულტურების სასარგებლოდ, აგრეთვე საძოვრების გადახვნამ.

შემდეგ შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა სარწმუნო ბაზა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ საორიენტაციო მონაცემები, რომელიც გახდებოდა საფუძველი სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. მიმდინარე შერჩევითი სასოფლო-სამეურნეო კვლევების საშუალებით ასეთი მონაცემების მიღება შეუძლებელია, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტთა სარწმუნო და თანადროული რეესტრის არარსებობა სათუოს ხდის თვით შერჩევითი კვლევების შედეგების საიმედოობას.

თუ შევადარებო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს 2000-2008 წლებისათვის, იგი შემდეგნაირია: ხორბლის ნაოესი ფართობები 2000 წელს შეადგენდა 105,2ათას ჰა.-ს, 2008 წლისათვის ამ მაჩვენებელმა საგრძნობლად იკლო – 48,6ათ.ჸა.; სიმინდის ნაოესი ფართობი 2000 წელს 219,6 ათ. ჸა. 2008 წელს - 146,2ათ.ჸა. მზესუმზირა – 2000წ.-65,7ათ.ჸა; 2008წ. – 29,5ათ.ჸა.; კარტოფილი – 2000წ.-37,3ათ. ჸა.; 2008წ. – 24,0ათ.ჸა.; ბოსტნეული- 2000წ. – 46,1ათ.ჸა.; 2008წ. – 27,3ათ.ჸა.; ხილი – 2000წ.- 43,0ათ.ჸა.; 2008წ. - 44,6ათ.ჸა.; ყურძნი – 2000წ. -50,6ათ. ჸა.; 2008წ. -49,1ათ. ჸა.; ციტრუსი – 2000წ. 8,9ათ.ჸა.; 2008წ. -9,6ათ.ჸა.;

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ნათესი ფართობების სიდიდეზე დაიკლო 2008 წლისათვის, მხოლოდ უმნიშვნელოდ არის გაზრდილი რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის, რაც არც თუ სახარბიელოა.

სტატისტიკის დეპარტამენტის 2008წლის მონაცემებით, საქართველოში სულ 796 ათასი სასოფლო მეურნეობაა (ყველა სახის), აქედან 34 006 მცხეთა – მთიანეთის რეგიონში, სადაც მნიშვნელოვანი წილი – 99,8% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს – 0,1%. ყაზბეგის, თიანეთისა და ახალგორის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საერთოდ არ არის განვითარებული და მათ სოფლის მეურნეობის სტრუქტურას მთლიანად ოჯახური მეურნეობები განსაზღვრავენ. რაც შეეხება დუშეთის და მცხეთის რაიონებს აქაც უდიდესი წილი ოჯახურ მეურნეობებს ეკუთვნის და სუსტად არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა ტიპის მეურნეობები. (იხ. ცხრილი – 11)

როგორც უკვე აღვნიშნეთ მცხეთა-მთიანეთის მხარისათვის დამახასიათებელია მეურნეობების სხვადასხვა ტიპების არსებობა. მათგან ჭარბობს შინამეურნეობები, თუმცა განვითარების გარკვეულ საფეხურზე იმყოფება და დღითი-დღე ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიც. მცხეთა-მთიანეთის მხარეში მეურნეობები პროდუქტს აწარმოებენ ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის (34 006 მეურნეობიდან საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტს აწარმოებს 31 787 მეურნეობა, ანუ მეურნეობების – 93,5%), აღნიშნული მხარის 33 940 შინამეურნეობიდან საკუთარი მოხმარებისათვის სოფლის-მეურნეობის პროდუქტს აწარმოებს 31 769 მეურნე, ანუ- 93,6%, ხოლო რეგიონის 32 სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტს აწარმოებს 5 საწარმო ე.ი. – 15,6%;

რეალიზაციისათვის 14 საწარმო ქ.ი. – 43,8%; და სხვა მიზნისათვის 13 საწარმო ქ.ი 40,6%. (იბ. ცხრილი 12, 13, 14)

მცხეთა-მთიანეთის მხარის მეურნეობათა სრული რაოდენობა და

**სტრუქტურა მეურნეობის ტიპის მიხედვით**

**ა** - ყველა მეურნეობა

**ბ** - ოჯახური მეურნეობები

**გ** - სასოფლო-სამეურნეო საწარმოები

**დ** - სხვა ტიპის მეურნეობები

მეურნეობათა რაოდენობა					სტრუქტურა %-ით			
მათ შორის					მათ შორის			
	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ
საქართველო სულ	729542	728247	820	475	100	99,8	0,1	0,1
მცხეთა - მთიანეთი	34006	33940	32	34	100	99,8	0,1	0,1
ახალგორი	2 235	2 234	—	1	100	100	—	0,0
დუშეთი	9 423	9 403	4	16	100	99,8	0,0	0,2
თიანეთი	4 382	4 382	—	—	100	100,0	—	—
მცხეთა	15 918	15 874	28	16	100	99,7	0,2	0,1
ყაზბეგი	2 048	2 047	—	1	100	100,0	—	0,0

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

მცხეთა-მთიანეთის მხარის მეურნეობათა კლასიფიკაცია წარმოების

მიზნის მიხედვით ( ყველა ტიპის მეურნეობა)

- ა - ყველა მეურნეობა
- ბ - რომელიც აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის
- გ - რომელიც აწარმოებს ძირითადად რეალიზაციისათვის
- დ - არ არის მითითებული

მეურნეობათა რაოდენობა					სტრუქტურა %			
	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ
მცხეთა - მთიანეთი	34006	31787	1909	310	100	93,5	5,6	0,9
ახალგორი	2 235	2 201	19	15	100	98,5	0,9	0,7
დუშეთი	9 423	8 980	402	41	100	95,3	4,3	0,4
თიანეთი	4 382	4 297	84	—	100	98,1	1,6	—
მცხეთა	15918	14667	998	253	100	92,1	6,3	1,6
ყაზბეგი	2 048	1641	406	1	100	80,1	19,8	0,0

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, ობილისი 2009წ., -322გვ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყაზბეგის, თიანეთის და ახალგორის რაიონებში მეტად სუსტად არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ამ რაიონებში ძირითადად განვითარებულია შინამეურნეობები და წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითვნილია საკუთარი მოხმარებისათვის.

**მცხეთა-მთიანეთის მხარის შინამეურნეობათა კლასიფიკაცია**  
**წარმოების მიზნის მიხედვით**

ა- ყველა მეურნეობა

ბ - რომელიც აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის

გ- რომელიც აწარმოებს ძირითადად რეალიზაციისათვის

დ- არ არის მითითებული

მეურნეობათა რაოდენობა					სტრუქტურა %			
	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ
მცხეთა - მთიანეთი	33940	31768	1890	282	100	93,6	5,6	0,8
ახალგორი	2234	2 201	19	14	100	98,5	0,9	0,6
დუშეთი	9 403	8971	400	32	100	95,4	4,3	0,3
თიანეთი	4 382	4 298	87	—	100	98,1	1,9	—
მცხეთა	15874	14657	981	236	100	92,3	6,2	1,5
ყაზბეგი	2047	1 641	406	—	100	80,2	19,8	—

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწერი 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, მათ შორის: დარგის დაფინანსებაზე, კლიმატურ პირობებზე, ნიადაგის

მცხეთა-მთიანეთის მხარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა

კლასიფიკაცია წარმოების მიზნის მიხედვით

ა- ყველა მეურნეობა

ბ - რომელიც აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის

გ- რომელიც აწარმოებს ძირითადად რეალიზაციისათვის

დ- არ არის მითითებული

მეურნეობათა რაოდენობა					სტრუქტურა %			
	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ
საქართველო სულ	820	131	486	203	100	16,0	59,3	24,8
მცხეთა – მთიანეთი სულ	32	5	14	13	100	15,6	43,8	40,6
დუმეთი	4	1	2	1	100	25,0	50,0	25,0
მცხეთა	28	4	12	12	100	14,3	42,9	42,9

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

ნაყოფიერებაზე, სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირებაზე, დარგში დასაქმებულთა კვალიფიციურობაზე და ა.შ.

დღეს აღნიშნული რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოება დიდ დახმარებას საჭიროებს. იმდენად მოშლილია სისტემა, რომ ფერმერები

საკუთარი სახსრებით გედარ ახერხებენ მომგებიანი წარმოების განვითარებას. აუცილებელია დამატებითი სახსრების და ფინანსების გამოძებნა, ასევე კარგი იქნებოდა სახელმწიფოს გამოეხატა გარკვეული თანადგომა სუბსიდიების ან კრედიტების გამოყოფის გზით, რაც ფერმერებისათვის გარკვეული სტიმული იქნებოდა შემდგომში კონკურენტუნარიანი, რენტაბელური სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარებისათვის.

მცხეთა-მთიანეთის მხარე მთა-გორიანი რეგიონია და აქ ძირითადად განვითარებულია მეცხოველეობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდისათვის მემცენარეობის განვითარების გარკვეული პერსპექტივები შეიმჩნევა. 2004 წლიდან 2008 წლამდე აღნიშნულ რეგიონში მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოება თითქმის 7-ჯერ გაიზარდა (5,1 ათ. ტ.- 35,5 ათ.ტ.), კარტოფილის 10,7 ათ. ტ.-დან 16,5 ათ.ტ.-მდე, ხილის წარმოება 2004 წელთან შედარებით 2008 წელს 4,6 ათ.ტ. -ით შემცირდა, ასევე ყურძნის წარმოებაც. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას იგი 2004 წელთან შედარებით 2008 წელს 73,8%-ით გაიზარდა (იხ. ცხრილი 15 ).

უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გარკვეული წინსვლის ტენდენციები მეცხოველეობაში ნამდვილად შეიმჩნევა. კერძოდ: - 2004 წლის ბოლოსათვის სულ საქართველოში 1177,9 ათას სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლიდნენ, 2008 წლის ბოლოსათვის კი ამ მაჩვენებელმა 1045,5 ათას სულს მიაღწია, მცხეთა - მთიანეთის რეგიონში კი საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 60,0-დან 61,3 ათას სულამდე გაიზარდა. ბოლო მონაცემებით 2008 წლის ბოლოსათვის ფურის და ფურკამეჩის სულადობა საქართველოში 560,6 ათასი სული იყო, მათ შორის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 45,8, ლორის სულადობა საქართველოში სულ 86,4 ათასი სული იყო, მ. ჭ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 6,4 ათასი სული, ცხვრისა და თხის

ცხრილი - 15\*

მცხეთა-მთიანეთის მხარეში მემკენარეობის პროდუქტების წარმოება  
(ყველა კატეგორიის მეურნეობაში, ათასი ტონა.)

	2004	2005	2006	2007	2008
მარცვლოვანი და მარცვ-პარკო-სანი კულტურების წარმოება					
საქართველო სულ	420,5	713,6	672,2	754,1	779,3
მცხეთა-მთიანეთი	5,1	36,3	35,8	32,1	35,5
კარტოფილის წარმოება					
საქართველო სულ	419,5	432,2	168,7	229,2	193,2
მცხეთა-მთიანეთი	10,7	19,0	20,0	13,7	16,5
ბოსტნეულის წარმოება					
საქართველო სულ	419,5	432,2	168,7	430,1	400,5
მცხეთა-მთიანეთი	11,1	18,8	19,5	20,9	19,3
ხილის წარმოება					
საქართველო სულ	160,2	264,9	153,3	227,5	157,6
მცხეთა-მთიანეთი	12,7	10,2	3,0	12,8	8,1
ყურძნის წარმოება					
საქართველო სულ	180,0	250,3	162,5	227,3	175,8
მცხეთა-მთიანეთი	8,4	6,0	3,4	10,5	8,5

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ

სულადობა საქართველოში სულ 603,6 ათასი სული იყო, მცხეთა – მთიანეთის რეგიონში ამ მაჩვენებელმა 58,0 ათასი სული შეადგინა.

რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ასეთი სურათია: (იხ. ცხრილი – 16).

როგორც მონაცემებიდანაც ჩანს, ხორცის წარმოება მცხეთა – მთიანეთის რეგიონში 2008 წლისათვის წინა წელებთან შედარებით, შემცირებულია, ისევე როგორც მთელ საქართველოში, შედარებით იზრდება რძის წარმოება, 2004 წლისათვის თუ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 34,6 ათ.ტ. რძეს აწარმოებდნენ, ეს მაჩვენებელი 2008 წლისათვის 23,4%-ით გაიზარდა, ანალოგიური მდგომარეობაა კვერცხის წარმოებაშიც როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საკვლევ რეგიონში.

მცხეთა-მთიანეთის მხარის სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია მემცნარეობის პარალელურად განვითარდეს მეცხოველეობის ყველა დარგი (რის საშუალებასაც მოგვცემს რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები), გაიზარდოს მათი სულადობა და მკვეთრად ამაღლდეს პროდუქტიულობა. დარგის ოპტიმიზაცია მიღწეული იქნება მაშინ, როცა მოხდება რეგიონში აღნიშნული დარგის სრულყოფა, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, იმპორტირებული, ხშირად უხარისხო პროდუქციის მკვეთრი შემცირება. ამ პრობლემების ადვილად გადაჭრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯიშთ-საშენი საქმიანობის ერთ დროს კარგად აწყობილი სისტემის სწრაფი აღდგენა-ფუნქციონირება. ასევე აუცილებელია მეცხოველეობის დარგის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის მემცნარეობის შესაბამისი დარგების განვითარება-აღორძინება. ქართველ მეცნიერთა გამოთვლებით, ქვეყანას საკუთარი რესურსებით შეუძლია მეცხოველეობის ყველა სახის საკვების 95,0% -ით უზრუნველყოფა,

მცხეთა-მთიანეთის მხარეში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება

(ყველა კატეგორიის მეურნეობაში.)

	2004	2005	2006	2007	2008
ხორცის წარმოება (ათასი ტონა)					
საქართველო სულ	104,1	104,7	78,9	69,4	53,7
მცხეთა-მთიანეთი	4,5	3,9	2,1	1,9	1,3
რძის წარმოება (ათასი ტონა)					
საქართველო სულ	749,7	755,7	606,0	624,7	694,6
მცხეთა-მთიანეთი	34,6	38,2	40,5	41,1	42,7
კვერცხის წარმოება (მილიონი ცალი)					
საქართველო სულ	496,6	504,6	249,2	438,1	437,5
მცხეთა-მთიანეთი	15,7	21,4	21,1	23,9	17,2

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ., -322გვ.

რაც რათქმაუნდა მეტად დადებითად აისახებოდა როგორც მემცენარეობის ასევე მეცხოველეობის განვითარებაზე.

ასევე კარგი იქნებოდა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვა, რადგან დღეს ყველა მეწარმე უნდა ცდილობდეს დანერგოს სრულყოფილი მანქანა -იარაღები და წარმოების უახლესი ტექნოლოგიები, რათა ადგილი დაიმკვიდროს

სამომხმარებლო ბაზარზე და აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წარმოების პროცესის განხორციელება უნდა მოხდეს ინტენსიური გზით და აქცენტი აღებული იქნას ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, რომელიც ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს არამომგებიანი ფუნქციონირება გარდაუვალია.

მცხეთა-მთიანეთის მხარის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ფერმერის, მეწარმის მმართველობის შესაძლებლობა და ისეთი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროცესის წარმატებულ ფუნქციონირებას, მაღალ შედეგებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს როგორც მთელი საქართველოს ასევე მცხეთა-მთიანეთის მხარის სოფლის მეურნეობა განვითარების არც თუ ისეთ სახარბიელო საფეხურზე იმყოფება, კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელია მრავალი ღონისძიების გატარება: წარმოების კოპერირება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის რეალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია და განვითარება, ოჯახური გადამამუშავებელი წარმოების აღორძინება, ტრადიციული დარგების განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მომსახურების სფეროს სწრაფი ტემპი გაუმჯობესება, ახლებური ტექნოლოგიების დანერგვა, სახელმწიფო თანადგომა და სხვა.

## **3-2. მცხეთა მთიანეთის რეგიონში საადგილმამულო რეფორმის მიმდინარეობა და შედეგები**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი როგორც მიმდინარეობს. ქვეყანაში მიმდინარე ცვალებადმა პოლიტიკურმა პროცესებმა დააყოვნეს წვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შესაბამისი რადიკალურ ღონისძიებათა გატარება.

მხოლოდ 1996 წლის 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი “სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ”. კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემა სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა ფერმერულ მეურნეობათა მასიურ დაფუძნებისა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებით უყურადღებოდ დარჩა გლეხის ცნობიერების შეცვლის საკითხი. უმეტეს შემთხვევაში მიწაზე კერძო საკუთრებამ სწორი, შესაბამისი აღქმა ვერ ჰპოვა მეურნეობაში და საქმე თვითდინებით წავიდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს, ეკონომიკური გაგებით საქართველოს სოფლის მეურნეობას არ ჰყავს ფერმერი – ამ ცნების სრული გაგებით, ვინაიდან იგი არ არის მეურნე რომელიც ქმნის სასაქონლო პროდუქციას.

2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო – სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ”, რომელიც უფლებას აძლევს მოქალაქეს პირდაპირი გზით გამოისყიდოს მიწა სახელმწიფოსგან, თუ იგი მას იჯარით ჰქონდა აღებული. ასეთი მიწები საქართველოში სტატისტიკური სამართველოს 2004 წლის აღწერით შეადგენს 295,9 ათას ჰექტარს. 2008 წლის მონაცემებით საქართველოში სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი შეადგენდა 914 ათ. ჰა.-ს., მათ შორის საკუთარი – 717 ათ. ჰა.-ს; კერძო პირისაგან

იჯარით აღებული – 6 ათ. ჰა.-ს, ხოლო სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული 191 ათ. ჰა.-ს.

თუ გადავხედავთ მსოფლიო გამოცდილებას და შევუსაბამებო ჩვენი ქვეყნის ტრადიციებსა და მისწრაფებებს, კლიმატურ პირობებსა და აგროეკონომიკურ მონაცემებს, გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ფერმერული გაერთიანებების – კოოპერატივების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს კოოპერატივების ჩამოყალიბებას თემთა, სოფლების ან მცირე რეგიონის მასშტაბით. ბუნებრივია შემდგომში მათი გაერთიანებით მივიღებთ დიდი ზომის და შესაძლებლობის კოოპერატივებს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწას, როგორც ძირითადი რესურსის გონივრულ გამოყენებას, რაც სრულყოფილ აგროტექნიკურ მომსახურებასთან ერთად გულისხმობს დარგთა ოპტიმალური განლაგების ამოცანის გადაწყვეტასაც. მემცნარეობის დარგების განვითარებას უნდა შეეთანაწყოს მეცხოველეობის დარგების განვითარება და შეიქმნას ატმოსფერო რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით იქნება მომგებიანი.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, 2008 წელს, საქართველოში სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო – სამეურნეო საგარეულების გამოყენება ასეთია: სავარგული, სულ – 838 ათ. ჰა.; მათ შორის: სახნავი დაუმუშავებელი – 130 ათ. ჰა.: სახნავი დამუშავებული – 329 ათ. ჰა.: სათიბები და სამოვრები – 264 ათ. ჰა. მრავალწლოვანი ნარგავები – 115 ათ. ჰა.:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების “ საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის შესახებ” და შემდგომში

მიღებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე მცხეთა – მთიანეთის რეგიონის მოსახლეობას 2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ 72,7 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, მათ შორის 54,8 ათ. ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული ანუ მთელი სავარგულის 18,8%, აქედან: სახნავი - 25,9 ათ. ჰა. ანუ მთელი სახნავის 67,4 %, მრავალწლიანი ნარგავი – 6,9 ათ. ჰა. ანუ 9,2 %, სათიბი – 10,4 ათასი ჰა., ანუ 71,7 % და საძოვარი 10,2 ათ. ჰა., ანუ 7,4 %. იხ. (ცხრილი – 17)

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს აღნიშნული რეგიონის რაიონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზაციის მაჩვენებელი 10.1 % -დან 50.9 % -მდე მერყეობს, რაც გაპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოდენობით, მისი სტრუქტურით და მოსახლეობის სიმჭიდროვით. სახნავი მიწების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 100.0 პროცენტიდან (ყაზბეგის რაიონი), 33,3 (ახალგორი) პროცენტამდე მერყეობს. სათიბების მხრივ პრივატიზაციის პროცენტი მერყეობს 100.0 პროცენტიდან (ყაზბეგის რაიონი) 25.0 პროცენტამდე (მცხეთის რაიონი). საძოვრების 13.4 პროცენტიდან (მცხეთის რაიონი) 1.1 პროცენტამდე (დუშეთის რაიონი), მრავალწლიანი ნარგავების მიხედვით კი, 100.0 პროცენტიდან (დუშეთის და თიანეთის რაიონები) 50.0 პროცენტამდე (ახალგორის რაიონი).

“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ” კანონის მიღების შემდეგ განვლილ პერიოდში მხარეში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იჯარით გაიცა 32.0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული ანუ მთელი სავარგულების 11.0 პროცენტი. (იხ. ცხრილი -18)

რეგიონში შემავალი რაიონების მიხედვით, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი მერყეობს 2.9

**მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების  
საკუთრებაში გადაცემა ( ათასი ჰა.)**

სასოფლო-სამეურნეო სავარგული	სულ მხარეში	ახალგორი	დუშეთი	თიანეთი	მცხეთა	ყაზბეგი
სასოფლო-სამეურნეო სავარგული სულ	291,1	41.6	136.9	35.5	29.1	48.0
მ.შ. პრივატიზებული	54.8	4.2	15.6	9.4	14.8	10.8
ხვედრითი წილი, %	18.8	10.1	11.4	26.5	50.9	22.5
სახნავი სულ	38.4	4.2	10.2	9.5	13.5	1.0
მ.შ. პრივატიზებული	25.9	1.4	8.3	6.8	8.4	1.0
ხვედრითი წილი, %	67.4	33.3	81.4	71.6	62.2	100.0
მრავალწლიანი ნარგავი	7.5	0.2	1.6	0.6	5.1	-
მ.შ. პრივატიზებული	6.9	0.1	1.6	0.6	4.6	-
ხვედრითი წილი, %	92.0	50.0	100.0	100.	90.2	-
სათიბი სულ	14.5	2.8	6.3	0.7	0.4	4.3
მ.შ. პრივატიზებული	10.4	1.2	4.3	0.5	0.1	4.3
ხვედრითი წილი, %	71.7	42.9	68.3	71.4	25.0	100.0
საძოვარი სულ	229.3	34.3	118.8	24.2	9.7	42.3
მ.შ. პრივატიზებული	10.2	1.4	1.3	1.1	1.3	5.1
ხვედრითი წილი, %	4.4	4.1	1.1	4.5	13.4	12.1

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2004”, ობილისი 2004წ.

პროცენტიდან (ყაზბეგის რაოონი), 45.7 პროცენტამდე (მცხეთის რაოონი).

მცხეთა - მთიანეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების  
იჯარით გაცემა ( ათასი ჰა.)

სასოფლო-სამეურნეო სავარგული	სულ მხარეში	ახალგორი	დუშეთი	თიანეთი	მცხეთა	ყაზბეგი
სასოფლო-სამეურნეო სავარგული სულ	291,1	41.6	136.9	35.5	29.1	48.0
მ.შ. გაც.იჯარით	32.0	4.7	8.4	4.2	13.3	1.4
ხვედრითი წილი, %	11.0	11.3	6.1	11.8	45.7	2.9
სახნავი სულ	38.4	4.2	10.2	9.5	13.5	1.0
მ.შ. გაც.იჯარით	7.5	0.5	1.6	0.5	4.9	-
ხვედრითი წილი, %	19.5	11.9	15.7	5.3	36.3	-
მრავალწლიანი ნარგავი	7.5	0.2	1.6	0.6	5.1	-
მ.შ. გაც.იჯარით	0.6	0.1	-	-	0.5	-
ხვედრითი წილი, %	8.0	50.0	-	-	9.8	-
სათიბი სულ	14.5	2.8	6.3	0.7	0.4	4.3
მ.შ. გაც.იჯარით	0.4	0.2	-	-	0.2	-
ხვედრითი წილი, %	2.8	7.1	-	-	50.0	-
საძოვარი სულ	229.3	34.3	118.8	24.2	9.7	42.3
მ.შ. გაც.იჯარით	23.5	3.9	6.8	3.7	7.7	1.4
ხვედრითი წილი, %	10.2	11.4	5.7	15.3	79.4	3.3

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2004”, თბილისი 2004წ.

რაც შეეხება სოციალური სფეროების მიხედვით იჯარით

გაცემული მიწები შემდეგნაირად ნაწილდება: ფიზიკური პირების 0.9 ათას კომლზე 27.0 ათასი ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ ერთ კომლზე საშუალოდ 30 ჰა., 0.2 ათას იურიდიულ პირზე გაცემულია 5.0 ათასი ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ საშუალოდ ერთ იურიდიულ პირზე 25 ჰა, რაც რა თქმა უნდა ფერმერული მეურნეობის განვითარების საშუალებებს იძლევა. (იხ.  
ცხრილი – 19)

ცხრილი – 19\*

### სასოფლო-სამეურნეო სავარგულების იჯარით გადაცემა სოციალური სფეროების მიხედვით

	სულ მხარე- ზე	ახალგო- რი	დუშეთი	თიანეთი	მცხოვა	ყაზბეგი
სასოფლო-სამეურნეო სავარგული გადაცემულია იჯარით სულ	32.0	4.7	8.4	4.2	13.3	1.4
მ.შ. ფიზიკურ პირებზე	კომლი	0.9	-	0.1	0.2	0.6
	ფართობი	27.0	4.1	7.4	3.9	10.2
კოფილ კოლ.წევრების და მეურნეობების მუშებზე	კომლი	0.9	-	0.1	0.2	0.6
	ფართობი	27.0	4.1	7.4	3.9	10.2
იურიდიულ პირებზე	კომლი	0.2	0.1	-	-	0.1
	ფართობი	5.0	0.6	1.0	0.3	0.1

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2004”, თბილისი 2004წ.

ამრიგად მიწის რეფორმის გატარების შედეგად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქალაქეთა საკუთრებაში და იჯარით გაცემულია 86,8 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მთელი სავარგულების 29,8 პროცენტი. რეგიონის რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მცხეთის რაიონში (96,6%), ხოლო ყველაზე დაბალი დუშეთის რაიონში (17,5%). სახნავი მიწები მხარეში საკუთრებაში და იჯარით გაცემულია 33,4 ათ.ჸ. ანუ მთელი სახნავი მიწების 97,0 %. ყაზბეგის რაიონში, სადაც სახნავი მიწები ძალიან მცირეა (1,0 ათ.ჸ.) პრივატიზებულია მთლიანად.

დუშეთის რაიონში საკუთრებაში და იჯარით გადაცემულია სახნავი მიწების 91,0 %, მცხეთის რაიონში – 98,5, თიანეთის რაიონში – 76,8, ახალგორის რაიონში – 44,4 პროცენტი. სახნავი მიწების საკუთრებაში და იჯარით გაცემის ასეთი მაღალი პროცენტი ძირითადად განპირობებულია მთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში სახნავი მიწების და საერთოდ ინტენსიური სავარგულების სიმცირით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის მიმდინარეობის შედეგად 2004 წლის მდგომარეობით საკუთრებაში და იჯარით გაცემის შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 204,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ რეგიონის სავარგულების 70,2 %. აღნიშნული მაჩვენებელი რაიონის მიხედვით მერყეობს 82,5 პროცენტიდან (დუშეთის რაიონი) 3,4 პროცენტამდე (მცხეთის რაიონი). სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მხარეში სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 5,0 ათასი ჰექტარი სახნავი, ანუ 13,0 პროცენტი. მრავალწლიანი ნარგავები მთლიანად გაცემულია საკუთრებაში და იჯარით, სათიბები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 3,7 ათასი ჰექტარი, ანუ 25,5

პროცენტი, ხოლო საძოვარი 195,6 ათასი ჰექტარი ანუ 85,3 პროცენტი.  
(იხ. ცხრილი – 20)

ცხრილი –20\*

მცხეთა - მთიანეთის რეგიონში საკუთრებაში და იჯარით გაცემის  
შემდეგ დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო საგარეულები ( ათასი ჰა.)

სასოფლო-სამეურნეო საგარეულები	სულ მხარეში	ახალგორი	დუშეთი	თიანეთი	მცხეთა	ყაზბეგი
სასოფლო-სამეურნეო საგარეულები სულ	291.1	41.6	136.9	35.5	29.1	48.0
გ.შ. გაუცემელი	204.3	32.7	113.0	21.8	1.0	35.8
ხვედრითი წილი, %	70.2	78.6	82.5	61.4	3.4	74.6
სახნავი სულ	38.4	4.2	10.2	9.5	13.5	1.0
გ.შ. გაუცემელი	5.0	2.3	0.3	2.2	0.2	-
ხვედრითი წილი, %	13.0	54.8	2.9	23.2	1.5	-
მრავალწლიანი ნარგავი	7.5	0.2	1.6	0.6	5.1	-
გ.შ. გაუცემელი	-	-	-	-	-	-
ხვედრითი წილი, %	-	-	-	-	-	-
სათიბი სულ	14.5	2.8	6.3	0.7	0.4	4.3
გ.შ. გაუცემელი	3.7	1.4	2.0	0.2	0.1	-
ხვედრითი წილი, %	25.5	50.0	3.7	28.6	25.0	-
საძოვარი სულ	229.3	34.3	118.8	24.2	9.7	42.3
გ.შ. გაუცემელი	195.6	29.0	110.7	19.4	0.7	35.8
ხვედრითი წილი, %	85.3	84.5	93.2	80.2	7.2	84.6

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს  
სტატისტიკური წელიწდეული 2004”, ობილისი 2004წ.

მიწის რეფორმის შედეგად კერძო საკუთრებაში აღმოჩნდა 4 მლნ-ზე მეტი ნაკვეთი ისე, რომ თითოეული ნაკვეთის საშუალო ზომა არ აღემატება 0,2 ჰექტარს, რის შედეგადაც პრაქტიკულად ჩამოყალიბდა რენტაბელური სასაქონლო მეურნეობის არსებობისათვის არსებითად ხელის შემშლელი პირობები. მიწათსარგებლობის ამგვარი მდგომარეობის კონსერვაცია ხანგრძლივი დროით მიუღებელია. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საქონლიანობის დონის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება კოოპერირების ფართოდ განვითარებას. ფიზიკური და იურიდიული პირები შეიძლება გაერთიანდნენ რამდენიმე კოოპერატივში. კოოპერაცია, სხვადასხვა ტიპის კავშირებისა და ასოციაციების შექმნა უზრუნველყოფს შინაგანი სტიმულირებით და ინტერესთა ერთიანობით განმტკიცებული აგრარული სექტორის ინტეგრაციის, მეცნიერებისა და განათლების დაკავშირებას წარმოებასთან. ასევე მნიშვნელოვანია მიწის ბაზრის ფორმირება, რომლის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საკადასტრო აღწერისა და რეგისტრაციის სამუშაოების სწორად და მაღალპროფესიონალურად განხორციელება წარმოადგენს.

მიწის ბაზრის სახელმწიფო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მსხვილი სასაქონლო მეურნობების უპირატესი განვითარება. მიმდინარე ეტაპზე და მომავალშიც მუდმივი პრიორიტეტი იქნება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის, სერვისის სფეროს, საბიოუმო ვაჭრობის და სახელმწიფო შესყიდვის განვითარება, ასევე მარკეტინგული და საინფორმაციო მომსახურება.

### **3-3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგრარული სექტორის სიტუაციური ანალიზი**

დღეს, ისევე როგორც სხვა დარგები, ქვეყნის სოფლის მეურნეობა დახმარებას საჭიროებს. მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იმკოფება მცხეთა-მთიანეთის აგრარული სექტორიც.

უმძიმესი ვითარებაა შექმნილი მემცნარეობაში. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში შექმნილმა სირთულეებმა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწვავე დეფიციტმა და სხვა უამრავმა პრობლემამ დარგში ურთულესი ფინანსური პრობლემა შექმნა.

ბოსტნეულის წარმოება ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. მათზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია ზამთრის თვეებში და მათზე ფასები განუსაზღვრელად იზრდება. მოსახლეობის ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულიდან ჩვენს მიერ საკვლევ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იწარმოება აუცილებელის 30%. მოთხოვნილების შესავსებად აუცილებელი ხდება მათი შესყიდვა რეგიონის და ქვეყნის გარეთ, - ძირითადად თურქეთში, რაც იწვევს სამომხმარებლო ბაზრის დაბალი ხარისხის, ზოგჯერ საკვებად უვარგისი პროდუქტებით გაჯერებას.

ბოსტნეულის დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზეზია მისი კულტივირება შეუფერებელ ნაკვეთებსა და ნიადაგზე. არ ხდება მათი ნორმალური დამუშავება და განოყიერება, დაბალია მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ფონი, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ რეგიონის თითქმის ყველა სოფელში შეიძლება ამა თუ იმ ბოსტნეულის დიდი რაოდენობით წარმოება.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კარტოფილის წარმოებაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ორგანიზაციების (ქა, მადი, და სხვა) მიერ განხორციელებულ პროგრამებს კარტოფილის

მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიებისა და ახალი, უხვმოსავლიანი დაავადებაგამძლე სათესლე მასალის შემოტანა, დანერგვა, გავრცელებაში.

მცხეთა-მთიანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მაღალხვედრითი წილი უჭირავს მეცხოველეობას. ადსანიშნავია, რომ ეს დარგი მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგას, - საერთოდ მოშლილია სანაშენე მეურნეობა, განუვითარებელი და მოუწყობელია მეცხოველეობის საკვები ბაზა, მოშლილია ზოოვეტერინალური სამსახური, რეგიონში არ არსებობს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რის გამოც პროდუქცია კარგავს კონკურენტუნარიანობას და ხასიათდება მაღალი თვითღირებულებით.

საკვლევი რეგიონის სოფლებში ფერმერთა და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება სელექცია – მეთესლეობის სრულყოფილი და მაღალმოსავლიანი, ექსტრემალური პირობებისადმი გამძლე ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლის, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ენერგეტიკული საშუალებების შეძენაში. ადსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს რაიმე საინფორმაციო სამსახური, სადაც ფერმერები და მოსახლეობა მიიღებდა ამომწურავინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალმწარმოებლურ ტექნოლოგიებზე, მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშებზე, მათ პროდუქტიულობაზე, ასევე ცხოველთა და მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მეთოდებზე.

ფერმერთა ზემოთ აღნიშნული პრობლემების თანდათანობით გადაჭრის მიზნით საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების IFD –ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის საპილოტე (შუახევის, ამბოლაურის, ასპინძის და დუშეთის) რაიონებში მოეწყო "ფერმერის სახლები,, (აგროსერვისცენტრები), რომელთა ძირითადი მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი მაღალი

მოსავლის მიღების ხელშეწყობა, რომელიც გამოისყიდიდა ინტენსიფიკაციისათვის გაწეულ ხარჯებს, უზრუნველყოფდა ფერმერთა მოგებას, ისინი თავად გაასაღებდნენ პროდუქციას არა ნედლეულის, არამედ პროდუქციის სახით.

სწორედ ასეთი „ფერმერის სახლი“ შეიქმნა დუმეთის რაიონში 2004 წელს. აღნიშნული „ფერმერის სახლი“ წარმოადგენდა აგრარულ სფეროში ფუნქციონირებად ორგანიზაციას, რომელიც უწევდა საინფორმაციო-საკონსულტაციო და კომერციულ მომსახურებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით, გადამუშავებით და მარკეტინგით დაინტერესებულ სამართლებრივ სუბიექტებს წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, მათი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და სტაბილურობის საკითხებზე. „ფერმერის სახლის“ საქმიანობა მიმართული იყო აგრარული სექტორის მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ, გადამამუშავებელ და მარკეტინგის სუბიექტებზე საინფორმაციო-საკონსულტაციო და კომერციული მომსახურების გზით მათი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის ადგილებზე დაგეგმვის, მართვის და მასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში ხელშეწყობისათვის და ა.შ.

მისი ძირითადი მიზნები და განხორციელებული საქმიანობა იყო :

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი სუბიექტების ფუნქციონირების ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება საინფორმაციო-საკონსულტაციო და კომერციული მომსახურების გაწევით.
2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი სუბიექტების კონსულტირება წარმოების ორგანიზაციისა და

რეორგანიზაციის, მართვის, ეკონიმიკურ, ფინანსურ,  
საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის, კანონმდებლობის,  
საინვაციო ტექნოლოგიების ათვისების, პროდუქციის  
გადამუშავებისა და რეალიზაციის, ნიადაგის ნაყოფიერების  
ამაღლების, მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური  
პოტენციალის საკითხებზე.

3. საინფორმაციო მხარდაჭერა აგრარულ რეფორმებზე,  
სოციალური პროგრამების განხორციელება სოფლად.
4. დახმარების გაწევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის  
მწარმოებელ სუბიექტებზე სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში,  
ბიზნეს გეგმების შედგენაში, ინოვაციების და ინვესტიციების  
მოზიდვაში.
5. მიწის, შრომითი და მატერიალური რესურსების მონაცემთა  
შეკრება და ანალიზი.
6. პერიოდული სასწავლო სემინარების ჩატარება სოფლის  
მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ და გადამამუშავებელ  
სუბიექტებთან.
7. „ფერმერის სახლი“ ორგანიზაციის უკეთებდა და  
მონაწილეობდა საინვაციო ფონდების შექმნასა და  
გამოყენებაში.

უნდა აღინიშნოს რომ, მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი იყო  
„ფერმერის სახლის“ მიერ გაწეული დახმარებებით და აქტიურად  
თანამშრომლობდა მათთან, თუმცა რათქმაუნდა ბევრი იყო  
ხარვეზებიც.

აღნიშნულმა „ფერმერის სახლმა“ მნიშვნელოვანი დახმარება  
გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას, თუმცა პროგრამის ვადის  
ამოწურვის თანავე ფუნქციონირება შეწყვიტა, რაც რა თქმა უნდა  
არასასიამოვნო ფაქტია. კარგი იქნებოდა თუ მზგავსი ტიპის

სერვისცენტრი დახმარებას გაუწევდა ადგილობრივ მოსახლეობას როგორც ფინანსურდ – მოკლევადიანი კრედიტების სახით, ასევე ინფორმაციულად სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ კრედიტების ნაკლებად ხელმისაწვდომობა ფერმერული შემოსავლების ზრდის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. მთიან რეგიონებში კრედიტებზე მოთხოვნა იცვლება 50-500 აშშ დოლარის ოდენობის მოკლევადიანი სესხებზე, საკვლევი ტერიტორიის (მცხეთა-მთიანეთი) საკრედიტო მოთხოვნის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძალზედ დიდი მოთხოვნაა მოკლე და საშუალო ვადიან სესხებზე.

ამის გათვალისწინებით სასურველია ისეთი საკრედიტო მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადოდ ხელმისაწვდომ კრედიტებს ინვესტიციებისთვის და ამასთან დაიცავს ფინანსურ კეთილგონიერებას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი სტაბილური საკრედიტო ინსტიტუტების შექმნას. კარგი იქნებოდა შექმნილიყო სოფლის საკრედიტო კავშირების, როგორც სტაბილური საანაბრო და საკრედიტო დაწესებულებების ქსელი.

## **თავი – 4 . საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ- ეკონომიკური პრობლემები და მათი დაძლევის გზები**

### **4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, რაც ერთი მხრივ იმის ბრალიცაა, რომ სექტორს სრული პოტენციალით ამოქმედებისათვის და ხელისშემსლელი პრობლემების აღმოფხვრისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა. უახლოეს წარსულშიც კი როცა მთავრობის შემოსავლები და დონორთა დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მთავრობის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი თანხები, სექტორის მოთხოვნის გათვალისწინებით, კვლავ მინიმალურ დონეზე რჩებოდა. დღემდე ამ სექტორში გატარებული დონისძიებები უფრო მეტად მთავრობის ხარჯებისა და ჩარევის მინიმიზაციისკენ იყო მიმართული, ვიდრე მისი პროდუქციულობის ზრდაზე. სხვა დონისძიებები, საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის მსგავსად, მხოლოდ ნაწილობრივაა დასრულებული, ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს. სხვა ინიციატივები, მართალია, პროდუქტიულობის ზრდაზეა ორიენტირებული, მაგრამ იმდენად მცირე მასშტაბის, ან ექსპერიმენტული ხასიათისაა, რომ მათი დადებითი ეფექტები მინიმალურია.

სამწუხაროდ, მოსალოდნელი არ არის, რომ სექტორის მდგომარეობა უახლოეს მომავალში არსებითად გაუმჯობესდება. ამჟამად სოფლის მეურნეობის უმთავრესი ამოცანაა საშუალო და

გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდის მისაღწევად აუცილებელი საფუძვლების მომზადება. შესაბამისად, მომავალ ათწლეულში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორის რეალური წლიური ზრდის პროგნოზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2006-2009	5-7%
2010-2012	10-12%
2013-2015	13-15%
სულ ათ წელიწადში	30-37%

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, "საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015წ/წ." ობილისი 2006წ.

საბოლოოდ, სოფლის მეურნეობის რეალური წლიური 3 პროცენტიანი ზრდის უზრუნველყოფა, ან მთელ სტრატეგიული პერიოდში 1/3-ით გაზრდის მიზანი, ერთგვარი ამბიციურობის მიუხედავად, სავსებით რეალურია. სტრატეგიის განხორციელების პირველი 3-5 წლის განმავლობაში მიღწეული წლიური რეალური ზრდის ტემპი შესაძლოა 1 პროცენტს არ აღემატებოდეს, რადგანაც ამ პერიოდში ძირითადად წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების ხელშემწყობი ღონისძიებები უნდა გატარდეს. რა თქმა უნდა, იქიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ამინდზე, დაავადებებზე, ბაზრებზე და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, ყოველწლიურად მოსალოდნელია დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლიდან როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გადახრები.

საქართველოს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ისედაც ნეგატიური ბალანსი 2004-2008 წლებში მკვეთრად გაუარესდა. დღეისათვის საქონლის იმპორტი დაახლოებით ორჯერ აჭარბებს

ექსპორტს. ეს დისბალანსი 2004-2008 წლებში მ.შ.კ.-ს 10 პროცენტს შეადგენდა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორი საგარეო სავაჭრო ბალანსის მიხედვით სხვა სექტორებისაგან არ განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლიდან სურსათისა და აგრარული პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვნად იზრდება, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2004-2008 წლებში სურსათისა და სოფლის მეურნეობის იმპორტის მთელმა მოცულობამ ექსპორტს დაახლოებით 75 პროცენტით გადააჭარბა. თუ ამ სექტორისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებსაც გავითვალისწინებთ (მაგ.: შხამ-ქიმიკატები, თესლი, მოწყობილობა, ტარა, შესაფუთი მასალა), ამ სექტორის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი სარკისებურად ასახავს ეკონომიკის სავაჭრო ბალანსის პასიურ სალდოს. მართალია ვითვალისწინებთ იმას, რომ აგრარული პროდუქტების ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ მონაცემებში შეიძლება ვერ აისახოს (მაგ., რუსეთში ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის გავლით გასული პროდუქცია), ბალანსის უარყოფითი სალდო მაინც შემაშფოთებელია და ეს მაშინ, როცა ქვეყანას აგრარული პროდუქციის გაცილებით უფრო დიდი მოცულობით წარმოების საკმაო პოტენციალი აქვს.

ექსპორტის ზრდის მეშვეობით სავაჭრო სალდოს დასაბალანსებლად მთავრობას ჯერაც არ დაუსახავს რაიმე სპეციფიკური ამოცანა, ამ დისბალანსის აღმოფხვრის სურვილის გამოცხადების გარდა. თუმცა ამ სტრატეგიით ზომების განხორციელებისა და მისი შედეგების შეფასების მიზნით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში გარკვეული ღონისძიებები გატარდა. საშუალოვადიან პერიოდში ექსპორტის ზრდის პოტენციალი, ენერგეტიკის გარდა, გადაზიდვებს, და შედარებით ნაკლებად,

ტურიზმის, სურსათისა და სოფლის მეურნეობას (მაგ., ღვინო, ვაშლის წვენის გადამუშავება) გააჩნიათ. სამწუხაოოდ, ეროვნული პრიორიტეტების განსაზღვრისა და ბიუჯეტის თანხების განაწილების დროს ამ ფაქტს ხშირად უგულვებელყოფენ.

მართალია, სასურველია აღმოიფხვრას ამ სექტორში არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, მაგრამ მოკლე ვადაში ეს ალბათ შეუძლებელია (თუმცა, ღვინის მრეწველობაში დამატებული ლირებულების ზრდის შესაძლებლობის გამო, სავარაუდოა სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის წარმოებაზე სწრაფი ტემპით ზრდა, თუ ბაზრების წარმატებულ დივერსიფიკაციასა და რუსეთის ემბარგოს საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტას ვივარაუდებთ). მართალია ბოლო წლებში მიმდინარე მიგრაციის გამო, ძნელი დასადგენია, თუ როგორი ტემპით იზრდება საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადში გარკვეული სტაბილურობა აშკარად შეინიშნება. აქედან გამომდინარე, მომავალ ათწლეულში შეიძლება კვლავ განახლდეს მოსახლეობის მატების პროცესი. თუ მოსახლეობის რიცხვი წელიწადში 1-2%-ით გაიზრდება, მომავალ 3-5 წელიწადში ეს მეტი მოსახლეობა ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული მთელ ნამეტ პროდუქციას მოიხმარს.

და ბოლოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის ინვესტიციების მოზიდვაა აუცილებელი. ამ ინვესტიციის უმეტესობა იმპორტირებული იქნება, რაც ყოველთვის არ დაფინანსდება დონორების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, ან დაიფარება პირდაპირი უცხოური ინვისტიციებით, ეს, თავის მხრივ, დაბალანსებს საგარეო ვაჭრობის პასიურ სალდოს საგადამხდელო ბალანსს.

ამდენად, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში შესაძლოა საქართველომ გარკვეულწილად ანომალიური სავაჭრო

ბალანსი მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლება შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს, ვიდრე მოსახლეობის მატება, სექტორის საერთო სავაჭრო ბალანსი მოკლე ხანში რეალურად გაუარესდება.

ყველა ამ ფაქტორის ფონზე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ექსპორტისა და საერთო სავაჭრო ბალანსის რეალური მიზნები ასე გამოიყურება: (იხ. ცხრილი-21)

### ცხრილი-21\*

წლები	ექსპორტი	სავაჭრო ბალანსი
2006-2009	8-10%	(8-10%)
2010-2012	12-155	10-15%
2013-2015	21-24%	40-50%
სულ ათ წელიწადში	46-57%	45-55%

\*წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, "საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015წ/წ. " ობილისი 2006წ.

მთელი პერიოდის განმავლობაში ზომიერი ზრდის შემთხვევაში, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ექსპორტის რეალური დირებულება წელიწადში საშუალოდ 5 პროცენტით, ან მთლიან პერიოდზე გადაანგარიშებით, 50 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ზრდის ტემპი, სავარაუდოდ, სტრატეგიის განხორციელების ბოლო პერიოდში გაიზრდება. მართალია ბოლო წლებში მიღებული ცვლილებები ექსპორტისა და სავაჭრო ბალანსის სფეროებში საკმაოდ მსგავსია, მაგრამ განსხვავდება ამ ცვლილებებამდე მიმდინარე პროცესები. სავაჭრო ბალანსი უფრო სამომხმარებლო იმპორტის ფუნქციაა თუმცა, მთელი პერიოდის განმავლობაში ნავარაუდევი საგარეო

სავაჭრო ბალანსის 50 პროცენტიანი გაუმჯობესება ბალანსს გააწონასწორებს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვა ფაქტორები, რომელსაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ ეს პროგნოზირებული მაჩვენებლები. პირველი, ყველაზე მწვავე სადღეისო პრობლემა ქართულ ხილზე, ბოსტნეულზე, ღვინოზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და მინერალურ წყლებზე რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოა. ეს პრობლემები შედარებით ახლო მომავალშიც რომ გადაწყდეს დადებითად, ემბარგოთი მიღებული უარყოფითი შედეგები ტვირთად კიდევ დიდხანს გაჰყვება ეკონომიკას და შეზღუდვას კონტრაგენტების სურვილს გაზარდონ წარმოება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ რუსეთისთვის იქნებოდა განკუთვნილი. თუ ასე მოხდება, მაშინ ექსპორტის ზრდა (ისევე როგორც მთელი სოფლის მეურნეობის ზრდა) ბევრად უფრო ნელი იქნება და ბაზრების დივერსიფიკაციას გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება იმასთან შედარებით, რასაც რუსეთის უკვე მეტ-ნაკლებად ათვისებულ ბაზრებზე მეტი პროდუქციის გატანას დასჭირდებოდა.

ტარიფების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების შემცირებისა და ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად. მართალია, ბოლო 8 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მონაცემები არცთუ ისე საიმედოა, უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებული მონაცემები მიგვანიშნებს, რომ იზრდება იმ საქონლის ჯგუფების პერსპექტივები, რომელთა წარმოება შესაძლებელია საქართველოში.

მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ მარცვლოვნებისა და ზეთოვანი კულტურების ნედლეული და მზა პროდუქცია წარმოადგენს იმპორტის ერთადერთ მსხვილ კატეგორიას (100-200 მილიონი დოლარი), ანუ მთლიანი მოცულობის დაახლოებით 60%-ს შემდეგ მოდის

## პირველადი სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

სავაჭრო ბალანსი: 1998-2008წ/წ.

(მილიონი აშშ დოლარი)

წელი	მარცვლოვნები, ზეთოვანი კულტურები	ხორცი**	ცხიმი და ზეთი	რძე	ხილი და ბოსტნეული	თვეგზი	პლანირები	სულ
1998	(70.9)	(13.2)	(13.0)	(8.6)	7.7	(2.7)	3.5	(97.2)
1999	(35.9)	(16.0)	(4.2)	(5.2)	8.9	(1.0)	5.6	(47.8)
2000	(56.5)	(12.4)	(6.1)	(3.9)	5.0	(1.2)	2.3	(72.8)
2001	(43.6)	(14.7)	(9.4)	(3.1)	10.3	(0.8)	2.4	(68.9)
2002	(31.9)	(15.6)	(8.0)	(2.3)	7.9	(1.2)	1.4	(49.7)
2003	(38.0)	(17.0)	(10.1)	(4.2)	9.5	(1.7)	2.2	(59.3)
2004	(123.2)	(22.8)	(22.9)	(13.4)	16.7	(4.1)	4.4	(165.3)
2008	(97.7)	(20.6)	(32.3)	(19.9)	69.1	(8.1)	4.3	(105.2)

\*\* მოიცავს უმ, გადამუშავებულ და შეფუთულ ხორცს.

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ. - 322გვ.

შენიშვნა: ხილი, ბოსტნეული და კვერცხი განიხილება მხოლოდ ექსპორტის კუთხით და არა ნეტო სავაჭრო ბალანსის კუთხით, რადგან მათი ექსპორტირება უფრო დიდი მოცულობით მიმდინარეობს, ვიდრე იმპორტირება; თანაც, როგორც წესი, კვერცხის რე-ექსპორტი არ ხდება.

საქონელი, ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, რომელთა ღირებულება დაახლოებით 40-50 მილიონ აშშ დოლარს უდრის, ანუ დაახლოებით იმპორტის 30%-ს ხილი და ბოსტნეული შედარებით მცირე პროპორციითაა გამოხატული, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათი ექსპორტი გარკვეულად აწონასწორებს

სხვა საქონლის იმპორტით გამოწვეულ დისბალანს. ცხადია, ეს გახლავთ პროდუქციის ის კატეგორია, რომლის ნედლი და გადამუშავებული ფორმა ექსპორტის ზრდის დიდი პოტენციალით ხასიათდება. თევზი და კვერცხი, რომელსაც ვერანაირად ვერ ჩავთვლით უმნიშვნელო კატეგორიად, უმცირესია ამ ძირითად კატეგორიებს შორის.

ვანაალიზებო რა იმპორტსა და ექსპორტს, გვექმნება თვითუზრუნველყოფის დონის შეფასების შესაძლებლობა. თუმცა, თვითუზრუნველყოფის დონის გააზრება და შეფასება მოცულობითი მონაცემების საშუალებით უფრო მარტივი იქნება. ცხრილი- 23 გვიჩვენებს თვითუზრუნველყოფის დონეს, როდესაც მხედველობაში მიიღება წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და შიდა მოხმარება. რამდენადაც ზუსტი არ უნდა იყოს ეს მონაცემები, მათი დამუშავება მაინც გარკვეული სიფრთხილით უნდა წარიმართოს. ასე მაგალითად, შესაძლოა, მონაცემების მიხედვით ქვეყანას ბოსტნეულით თვითუზრუნველყოფის პოტენციალი აქვს, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი არაფერს ამბობს ბოსტნეულის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის შესახებ. იმპორტის შესაძლო მიზეზი გახლავთ ის, რომ ასეთი ბოსტნეული არ იწარმოება საქართველოში (ან ჯერ კიდევ არ იწარმოება), ან ადგილობრივისგან ხარისხით განსხვავდება; და ბოლოს, ეს ცხრილი არაფერს გვეუბნება ქვეყნის სასურსათო დეფიციტის შესახებ – ანუ მოსახლეობა უზრუნველყოფილი რომ ყოფილიყო რეკომენდებული რაოდენობის (ან მეტი) პროდუქტით, ცხრილი მაინც ვერაფერს გვამცნობდა ქვეყნის ამგვარ პირობებში თვითუზრუნველყოფის ხარისხის შესახებ. მიუხედავად ამისი, ცხრილი გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას შემდეგი სექტორების შესახებ: ა. სასაქონლო ჯგუფები, რომლებითაც ქვეყანა ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს საკუთარ თავს; ბ. სასაქონლო ჯგუფები, რომელთა

წარმოებაშიც თანდათან მიიღწევა თვითუზრუნველყოფა; გ. სასაქონლო ჯგუფები, რომლებითაც ქვეყანა თვითუზრუნველყოფილია (კარტოფილი და ცხვრის ხორცი).

ცხრილი - 23\*

საქართველოს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ზოგიერთი  
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჭრილში  
1996-2008 წწ  
(%; საშუალო სამი წელიწადი)

	1996-1998	1999-2001	2002-2004	2005-2008
საქონელი	18.7	21.7	22.3	22
ხორბალი	100.0	100.0	100.0	100
სიმინდი	46.0	44.7	49.7	51
მარცვლოვნები	15.7	22.3	18.7	17
მცენარეული ზეთი	105.0	106.0	106.0	104
კარტოფილი	100.3	100.0	98.7	97
სხვა ბოსტნეული	115.0	118.3	151.3	138
ყურძენი	95.1	94.6	87.1	86.6
ღორის ხორცი/საქონლის ხორცი	95.6	95.5	88.5	86.8
ცხვრის/თხის ხორცი	100.0	100.0	100.0	100
რძე	64.0	68.7	71.3	73
ფრინველი	33.7	42.3	41.7	46
კვერცხი	63.0	58.0	65.0	69

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწადები 2009”, თბილისი 2009წ. - 322გვ.

ღოგორც ზემოთადნიშნულ ცხრილშია ნაჩვენები, საქართველოს

თვითუზუნველყოფის მხრივ ყველაზე სერიოზული პრობლემები და ყველაზე ნაკლები პროგრესი მარცვლოვნებსა და ზეთოვან კულტურებში აქვს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ისეთი კულტურებია, რომელთა მოყვანა მიწის ექსტენსიურ დამუშავებას მოითხოვს და მშპ-ში თითოეულ ჰექტარზე მიღებული მოსავლის მიხედვით სხვა კულტურებთან შედარებით მცირე წვლილი შეაქვს და კერ უწევს კონკურენციას სხვა ქვეყნებში მოწეულ მსგავს კულტურებს.

იმისათვის, რომ უკეთესად აღიქვათ სოფლის მეურნეობის სექტორში სავაჭრო მოძრაობის შედეგი, ყურადღების გამახვილება ორ დამატებით ფაქტორზეა აუცილებელი: 1) საზღვრების ფიზიკური კონტროლი და 2) სხვა ქვეყნები, რომლებიც საქართველოში დემპინგური ფასით (საწარმოო დანახარჯზე დაბალი ღირებულებით) ყიდიან საქონელს. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა საზღვარზე არაოფიციალურად მოძრაობდა, განსაკუთრებით თურქეთისა და სომხეთის საზღვარზე. გარდა ამისა, საქართველოში შემოდიოდა თურქული საქონელი, რომელიც ლეგალურად, ან არალეგალურად და თვითლირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდებოდა. თურქეთში წარმოიქმნა პროდუქციის სიჭარბე, რომლის უტილიზაციის საშუალება ტრადციულ ბაზარს არ გააჩნდა. იმისათვის, რომ თურქ მწარმოებელს საწარმოო ხარჯი დაეფარა (ანუ მოსავალსა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული და ზედნადები ხარჯები), მათ პროდუქტი სხვა ქვეყნებში იმაზე უფრო იაფად შეიტანეს, ვიდრე საკმარისი იყო სრული საწარმოო ხარჯების დასაფარად.

თუ იმპორტით საქართველოში შემოსული პროდუქტი იწარმოება, ან შესაძლოა, იწარმოებოდეს მაშინ მისი კონტრაბანდული გზით ან დემპინგურ ფასად შემოტანა უსამართლოა და ნებატიურად

ზემოქმედებს შიდა ფასებზე, რაც თავის მხრივ, ამცირებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო შემოსავლებს, გარდა ამისა, აქრობს პროდუქტის ამჟამინდელ ან პოტენციურად რენტაბელურ დონეზე წარმოების ყოველგვარ სურვილს. თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენცია, ამას კარგად უჩვენებს 2005 წლის ხახვის მოსავლის მიღების სეზონი მარნეულსა და ბოლნისში. ადრეულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უფრო თავისუფლად გადადგილდებოდა საზღვარზე, წითელ ხიდზე, რომელიც სომხეთთან გვაკავშირებს. როდესაც საზღვარზე გადაადგილება შეიზღუდა, ადგილობრივად წარმოებული ხახვის მოცულობა და ფასი გაორმაგდა. გამოდის, რომ კონტრაბანდა ამცირებდა ხახვის ქართველი მწარმოებლების შემოსავლებს, სანამ წარმოება მოგებას ნახავდა გაზრდილი ფასებით, რამაც საბოლოოდ შექმნა უარყოფითი პირობები წარმოების გაფართოებისათვის.

## **4-2. აგრარული სექტორის კრედიტზე მოთხოვნის სიდიდე და მისი ანალიზი**

ქვეყნის დონორებისა და თვით სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ადამიანების უმეტესობა ჯერაც ვერ აცნობიერებს კაპიტალზე მოთხოვნის მთელ სიმწვავეს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეუნრნეო წარმოების არსებული, პოტენციურზე მნიშვნელოვნად დაბალი დონის შესანარჩუნებლადაც კი, აუცილებელია სამუშაო კაპიტალში ყოველწლიური 600 მილიონი ლარის, ხოლო მუდმივ კაპიტალში – მომდევნო 3-10 წლის განმავლობაში 110 მილიონი ლარის მოცულობის ინვესტიციების განხორციელება. სამუშაო განახლება მეტნაკლებად ფერმერთა შემოსავლების რეინვესტირებითა და უცხოეთში, ან ქალაქში მცხოვრები ნათესავების გზავნილებითა და ფულადი დანაზოგებით ფინანსდება. თუმცა, მეურნეობების აღჭურვილობის შესაცვლელად და ნათესების/ნარგავების განსაახლებლად აუცილებელი გრძელვადიანი კაპიტალის უდიდესი ნაწილი კვლავაც ხელმიუწვდომელია. ადსანიშნავია, რომ ამ მიახლოებით გამოთვლებში არ იგულისხმება მეცხოველეობის, მეოვეზეობისა და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობის (დაფასოება, გადამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება) დასაფინანსებლად საჭირო სამუშაო და მუდმივი კაპიტალი.

სამუშაო კაპიტალი სადღეისოდ არსებული დეფიციტით განპირობებული პრობლემების სიმწვავე კიდევ უფრო გაიზარდება, თუ ფულადი სახსრების იმ მთლიან მოცულობას გავითვალისწინებთ, რაც საქართველოს აგრარული პოტენციალის სრული ათვისებისათვის გახდება საჭირო. უპირველის ყოვლისა, აუცილებელია იმის გააზრება, რომ დღეისათვის ქართველი ფერმერები მართვისა და წარმოების

საშუალებების უტილიზაციის დონეზე თავისი პოტენციალის მხრივ 30-40 პროცენტს იყენებენ. სადღეისოდ წარმოებაში ჩართულ მიწის ნაკვეთებზე მომუშავე ქართველი ფერმერების მართვის გამოცდილება და წარმოების საშუალებების გამოყენების დაბალი დონის საშუალომდე ასამაღლებლად საჭირო გახდება სამუშაო კაპიტალში წლიური 245 მილიონი ლარის, ხოლო აღჭურვილობის შესაძენად აუცილებებლი 11 მილიონი ლარის სასესხო კაპიტალის ყოველწლიური დაბანდება. მართვის გამოცდილებისა და წარმოების საშუალებების გამოყენების ოპტიმალური, ანუ მაღალი დონის მისაღწევად სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად ყოველწლიურად 530 მილიონი ლარის მოზიდვა გახდება აუცილებელი. გარდა ამისა, აუცილებელი გახდება ყოველწლიურად დამატებითი 22 მილიონი ლარის საშუალოვადიანი სესხების მოზიდვა მანქანებისა და აღჭურვილობის შესაძენად. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დასაფინანსებლად კიდევ ათობით მილიონი ლარი/დოლარი გახდება საჭირო.

ზემოთ მოყვანილ გაანგარიშებებში წარმოებაში სადღეისოდ ჩართული საგარეულების პროდუქტიულობის ზრდისათვის აუცილებელი კაპიტალური მოთხოვნაა ასახული. მიწის პრივატიზაციის ამჟამად მიმდინარე ბოლო რაუნდის დასრულებისას მთავრობა ფერმერებს დამატებით იმ 165 ათას პექტარს გადასცემს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის იჯარით, ან კერძო საკუთრებაში გაცემული. მართვისა და წარმოების საშუალებათა უტილიზაციის არსებული დაბალ დონეზე ამ მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩასართავად საჭირო იქნება სამუშაო კაპიტალში დამატებით 150 მილიონი ლარის ინვესტირება. მართვისა და წარმოების საშუალებათა უტილიზაციის საშუალო, ან მაღალი დონის მისაღწევად საჭირო კაპიტალი კი შესაბამისად 190 მილიონ ლარს და 270 მილიონ ლარს

შეადგენს. ამ ფართობების დამუშავებისათვის ახალი მანქანების და აღჭურვილობების შესასყიდად შესაძლოა დამატებით 120-180 მილიონი ლარი გახდეს საჭირო. ამ 165 ათასი პექტარის მხოლოდ მეოთხედზე ახალი ხეხილის ბადებისა და ვენახების გაშენებას კი, სავარაუდოდ, დაახლოებით 550 მილიონი ლარი დასჭირდება.

ამასთან, არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უკვე კერძო საკუთრებაში, ან იჯარით გაცემული დაახლოებით 300 ათასი პექტარი საერთოდ არ მუშავდება. მართალია, ზოგ შემთხვევაში ეს გარემოება ნაკვეთებზე კულტურათა მორიგეობის ნორმალური პროცესითა და სტატისტკური უზუსტობებითაა გამოწვეული, მაგრამ შესაძლოა ამ ნაკვეთების უქმად ყოფნის სხვა მიზეზებიც არსებობდეს, მათ შორის, ამ მიწაზე ფერმერული საქმიანობის განსახორცილებლად საჭირო კაპიტალის ნაკლებობა. ამ გამოთვლებში ნაგულისხმები არ არის ამჟამად დაუმუშავებელი მიწების პოტენციალის ასამოქმედებლად საჭირო კაპიტალი. როგორც უკვე აღინიშნა, კაპიტალზე მოთხოვნის სიდიდის აქ მოყვანილი რომელიმე გაანგარიშება არ შეიცავს არც მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობას, არც მეცხოველებისა და თევზჭერისათვის საჭირო კაპიტალს.

საბოლოო ჯამში, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწის მთლიანი ფართობის ასათვისებლად და მართვისა და წარმოების საშუალებების უტილიზაციის მაღალი დონის მისაღწევად ყოველწლიურად საჭირო იქნება დაალოებით 1.8 მილიარდი ლარის ინვესტირება, სამუშაო კაპიტალში, დაახლოებით 110 მილიონი ლარის მოზიდვა მანქანებისა და აღჭურვილობის შესაცვლელად და დაახლოებით 100 მილიონი ლარის დაბანდება დაბერებული, ნაკლებმოსავლიანი ხეხილისა და ვენახის განსაახლებლად. მთლიანობაში ეს 2 მილიარდ ლარს აღემატება, ანუ 1.35 მილიარდი ლარით მეტია იმაზე, რაც სოფლის მეურნეობისათვის

დღესდღეობითაა ხელმისაწვდომი.\* ამაში არ შედის იმ ფერმერთა მოთხოვნა კაპიტალზე, რომელთაც თავიანთი მიწის ნაკვეთების ფართობის გაზრდა, ან იჯარით აღებული მიწის ფართობების პირად საკუთრებაში დამკვიდრება აქვთ განზრახული.

რა თქმა უნდა, ათ წელიწადში საქართველო ვერ შეძლებს მთელი თავისი აგრარული პოტენციალის ათვისებას. ამას ალბათ 30-40 წელი დასჭირდება. თუმცა, თუ ქვეყანა წარმოების მართვისა და წარმოების საშუალებების გამოყენების დაბალი დონიდან საშუალო დონეზე გადავა და დამუშავებული მიწის ფართობს 25 პროცენტით გაზრდის, მთელს სექტორს ყოველწლიურად დამატებით 630 მილიონი ლარის სახსრები დასჭირდება, რასაც მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობისათვის საჭირო ინვესტიციებიც უნდა დაემატოს. გარდა ამისა, თავიდანვე აუცილებელი გახდება მნიშვნელოვანი თანხების ინვესტირება ამორტიზებული მანქანებისა და აღჭურვილობის გასამართად (რემონტი) და ხეხილისა და ვენახების ფართობების გასაზრდელად.

აგრარულ სექტორში წარმოების ანგარიშები 2003-2008 წლებში ასეთია (იხ.ცხრილი-24)

მონაცემებს თუ გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ 2008 წლის წარმოების ანგარიშში საბაზისო ფასებიც (139.8 მლნ.ლარით) და შუალედური მოხმარებაც (88.9 მლნ. ლარით) გაზრდილია, ასევე გაზრდილია დამატებითი ღირებულების მაჩვენებელიც (50.9 მლნ. ლარით)

საქართველოში, აგრარული სექტორის დაკრედიტება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკი გასცემს აგროსესხებს გარკვეული პირობებით. (იხ.ცხრილი-25)

ცხრილი-24\*

სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობის და  
თევზჭერის წარმოების ანგარიშები 2003-2008 წლებში

(მიმდინარე ფასებში; მლნ. ლარი)

წარმოების ანგარიში	რესურსები	გამოყენება	გამოყენება
	გამოშვება საბაზისო ფასებში	შუალედური მოხმარება	დამატებული ღირებულება
2003 წელი	2483.4	830.4	1653.0
2004 წელი	2419.9	809.2	1610.7
2005 წელი	2585.4	869.0	1716.4
2006 წელი	2341.7	797.3	1544.3
2007 წელი	2 390.2	827.4	1 562.7
2008 წელი	2 623.2	919.3	1 703.9

\* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, “საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2009”, თბილისი 2009წ. - 322გვ.

“საქართველოს ბანკი” გასცემს ორი სახის აგროსესხს, ეს არის: -  
 1. აგროექსპრეს სესხი და 2. სტანდარტული აგროსესხი. აღნიშნული  
 ბანკიდან ნებისმიერი კრედიტის გამოტანისას, საჭიროა კლიენტს  
 პქრნდეს კარგი საკრედიტო ისტორია. აგროექსპრეს სესხი გაიცემა  
 ლარში – 350ლარიდან 12 000 ლარამდე; ძირითადად 18 თვით, წლიური  
 საპროცენტო განაკვეთი ასეთია, 6000 ლარზე ნაკლები-32%; 6 000  
 ლარზე მეტი-28%.

## ცხრილი-25\*

ბანკის დასახელება	სახელმო თანხა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	სახელმო ვადა	უზრუნველყოფა
საქართველოს ბანკი	350ლ.-12000ლ.	28%-32%	18 თვემდე	გირაოთი უზრუნველყოფა
	1000ლ.- 150000\$(ექვივა ლენტი ლარში)	18%-28%	24-60 თვე	გირაოთი უზრუნველყოფა
პროკრედიტ ბანკი	100ლ.- 100 000\$(ექვივა ლენტი ლარში	19%-21%	24თვე-15წელი	24თვემდე-გირაოს გარეშე; 24თვე და მეტი-გირაოთი უზრუნველყოფა
ბანკი კონსტანტა	100ლ-1000ლ	15%-18%	12თვე	გირაოს გარეშე

სტანდარტული აგროსესხი გაიცემა ძირითადად მსხვილ  
ფერმერებზე აგრობიზნესის ნებისმიერი საქმიანობის  
დასაფინანსებლად: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, შინაური  
ფრინველის, სათესლე მასალის, შხამქიმიკატების, მინერალური  
სასუქის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სახნავ-სათესი მიწის  
ნაკვეთების, ფერმის შენობის ან სხვა კომერციული უძრავი ქონების  
შესაძენად. ასევე – იჯარით აღებული მიწის გამოსასყიდად,  
მოსავლის ასაღებად, ბალის ვენახის ან პლანტაციის გასაშენებლად,  
საობურის მოსაწყობად, ფერმის მშენებლობა რემონტისათვის,  
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-მოწყობილობების გასარემონტებლად და  
სხვა. კრედიტი გაიცემა 1000 ლარიდან 150 000 აშშ. დოლარის  
ექვივალენტ ლარებში. სესხი უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს

კლიენტის ნებისმიერი საკუთრებით: უძრავ-მოძრავი ქონებით, ასევე ძვირფასეულობით, ძირითადი და საბრუნავი აქტივებით, საოჯახო ნივთებით, ტექნიკით, დეპოზიტებით. სევე აუცილებელია თავდები, რომელსაც ენდობა ბანკი. სტანდარტული აგროსესხი გაიცემა 24 თვიდან 60 თვემდე. საპროცენტო განაკვეთი კი ასეთია: 1000 ლარიდან 10 000 ლარამდე- 28%; 10 000 ლარიდან 50 000 ლარამდე - 22%; 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე 20%; 100 000 ლარს ზემოთ - 18%.

“პროკრედიტ ბანკი” გასცემს აგრო კრედიტს ყველაზე, ვისაც აქვს მოქმედი მეურნეობა ან გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყებას. აგროკრედიტის პირობები – თანხა: 100 ლარიდან – 12 000 ლარამდე.

50 აშშ დოლარიდან – 8 000 აშშ  
დოლარამდე.

ვადა: 24 თვემდე

უზრუნველყოფა: გირაოს გარეშე

გადახდის პირობები:

ყოველთვიური თანაბარი შენატანები;  
შეღავათიანი გრაფიკი ;  
სეზონური გრაფიკი ;  
ინდივიდუალური გრაფიკი ;  
საკრედიტო ხაზი ;  
ოვერდაფტი.

საპროცენტო განაკვეთი ასეთია : ლარში- წლიური 19%, აშშ დოლარში – წლიური 21%

“ბანკი კონსტანტა” სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე ფერმერებზე გასცემს ეგრეთწოდებულ “მინი” სესხს შემდეგი პირობებით :

თანხა: 100 ლარიდან – 1 000 ლარამდე.

60 აშშ დოლარიდან – 600 აშშ დოლარამდე.

ვადა: 12 თვემდე

უზრუნველყოფა: გირაოს გარეშე.

საპროცენტო განაკვეთი: წლიური- 15 -18%

აღნიშნულ ბანკში სასურველი სესხის ასაღებად საჭიროა: ბიზნესის წარმოების მინიმუმ სამთვიანი გამოცდილება.

თუ წინა პარაგრაფში განხილული მართვის დონის გაუმჯობესებასა და დამუშავებული ფართობების ზრდას ვივარაუდებთ, მომდევნო ათ წელიწადში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორს (მოსავლის ადების საქმიანობის ჩათვლით) მთლიანობაში დაახლოებით 900 მილიონი ლარი დასჭირდება. ეს არ მოიცავს ირიგაციისა და სხვა ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად აუცილებელ სახსრებს.

როგორც უკვე აღინიშნა, დღესდღეობით სურსათის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში არსებული მართვისა და საწარმოო საშუალებების უტილიზაციის დაბალი დონის პირობებში სექტორი მეტ-ნაკლებად იკმაყოფილებს მოთხოვნას სამუშაო კაპიტალზე.

თუმცა, მოთხოვნა მანქანებისა და მოწყობილობების გასაუმჯობესებლად, ან სიცოცხლისუუნარო ხეხილის ბაღებისა და სანერგეების გასაფართოებლად, ან შესაცვლელად საჭირო გრძელვადიანი კაპიტალურ სახსრებზე კვლავაც დაუკმაყოფილებელი რჩება.

დღეისათვის არსებული გაანგარიშებით, კომერციული საბანკო სექტორი სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის 30 მილიონ

ლარზე ნაკლებ დაფინანსებას უზრუნველყოფს. სავარაუდოდ, ამ თანხების უმეტესობა შედარებით უსაფრთხო და იოლად დასაფინანსებელ დვინის წარმოებაში მიემართება. ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ კომერციულ ბანკში მხოლოდ 186 ფერმერს აქვს სესხი აღებული. ამ სესხების საერთო მოცულობა 1 მილიონ ლარზე ნაკლებს შეადგენს. კომერციული საბანკო სისტემის სურვილს ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გაზარდოს აგრარული სესხების მოცულობა, წინ მრავალი დაბრკოლება ედობება. ფერმერული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების სისტემების არარსებობა, შესაძლოა, ამ მდგომარეობის განმსაზღვრებლ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. (შენიშვნა: 2005 წელს AgVantage-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, შესაძლოა დღეისათვის ამ სექტორში 67 მილიონი ლარის რაოდენობის სესხი იყოს გაცემული.

ამჟამად ქვეყანაში აგრარული სექტორისათვის კიდევ ორი ახალი, მნიშვნელოვანი საკრედიტო ინიციატივა მუშავდება, რომელთა ფარგლებშიც დაახლოებით 100 მილიონი ლარის დაფინანსება გამოიყოფა. მსოფლიო ბანკი/IFAD/JICA-ის სოფლის განვითარების პროექტი კომერციული ბანკების საშუალებით დაახლოებით 25 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებას გამოყოფს. MCG დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებას უზრუნველყოფს. (თუმცა თეორიულად ეს 30 მილიონი ხელმისაწვდომია სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროსათვის, ამ თანხების დაახლოებით ორი მესამედი შესაძლოა ტურიზმისათვის გამოიყენონ. იმის გამო, რომ ტურიზმი სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო უსაფრთხო და გასაგებ სფეროს წარმოადგენს, შესაძლოა, სოფლის მეურნეობა მხოლოდ ამ გარანტირებული თანხების მესამედს დასჯერდეს, იმ შემთხვევაში თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სექტორის განვითარებაში ჩართული სხვა უწყებები განსაკუთრებულ კონცენტრაციას არ

მოახდენენ ქმედითუნარიანი და მომგებიანი პროექტების გამოვლენასა და მართვაზე).

მიუხედავათ იმისა, რომ ეს ორი პროექტი მეტად მნიშვნელოვანია, რეალურად, ისინი უფრო ხელსაყრელია მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციებისათვის, ვიდრე აგარარული წარმოებისათვის, გარდა მსხვილი ფერმებისა. ეს გარემოება ნაწილობრივ დაკავშირებულია ფინანსური პაკეტის (MCG-ის) მინიმალურ ზომასთან, ნაწილობრივ კი იმ საპროცენტო განაკვეთებთან, რომლებიც დაწესდება რისკის, გირაოს მოთხოვნათა, ფულის დირებულებისა და ადმინისტრაციული ხარჯების პრობლემების გათვალისწინებით (მსოფლიო ბანკი). მიუხედავად ამისა, თუნდაც ეს ფული მხოლოდ მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობაში იქნას მიმართული, მეპატრონეთა კაპიტალთან და პოტენციურ უცხოურ ინვისტიციებთან ერთად, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორის ამ კონკრეტული სფეროს კაპიტალური მოთხოვნის დიდი ნაწილი მომდევნო ათ წელიწადში მაინც დაკმაყოფილდება.

ერთი გამონაკლისი, სადაც საუკუნის გამოწვევის პროექტის კაპიტალურ დაფინანსებას მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია, მრავალწლიან კულტურებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებაა. ეს ყველაფერი გრძელვადიან ინვისტიციებს განეკუთვნება, რომლებიც უახლოეს წლებში ფულის ნაკადებს ვერ მოიტანს. გარდა ამისა, საწარმოო სესხებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში იქნება აქტივი, რომლის ამოღება ან გასხვისება სავსებით შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. ასეთი დაფინანსების გზაზე არსებული უმთავრესი პრობლემა ამ ინვესტიციის მასშტაბია. რა თქმა უნდა, საუკუნის გამოწვევის პროექტი 1-2 ჰექტარს ვერ დააფინანსებს. ამგვარად, ეს პროგრამა ფოკუსირებული უნდა იყოს მსხვილ ფერმებზე, ან შესაბამისი კანონმდებლობის მეშვეობით შექმნილ ფერმერთა

გაერთიანებებზე.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა უკვე ხსენებულ მსოფლიო ბანკის პროექტთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ პროექტის ადმინისტრაციას ურთიერთობის დამყარება მხოლოდ პირველი კატეგორიის ბანკებთან, ანუ უმსხვილეს, ყველაზე გამოცდილ, საუკეთესო ფინანსური მახასიათებლებისა და ყველაზე დიდი წმინდა აქტივების მქონე ბანკებთან სურს. თუმცა, ქვემოთმოყვანილი რამდენიმე მიზეზით ასეთ ბანკებს მსოფლიო ბანკის თანხების ადმინისტრირების ნაკლები ინტერესი აქვთ, ან სულაც არ სურთ პროექტში მონაწილეობის მიღება და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსებაში უფრო აქტიურად ჩართვა. იმ დროს, როცა ეს პირველი კატეგორიის ბანკებს ეხება, მეორე კატეგორიის ბანკები საკმაოდ დაინტერესებულნი არიან პროგრამაში მონაწილეობით. სადღეისოდ, მსოფლიო ბანკი უფრო მცირე, ნაკლები ავტორიტეტის მქონე საბანკო ინსტიტუტებთან არ თანამშრომლობს. თუ ეს ასე გაგრძელდება, ფართოდ რეკლამირებული სოფლის განვითარების პროექტი სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად სასარგებლო დარჩება.

და ბოლოს, მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოდის წინადადებით აშენდეს სასაკლაოები, რომლებიც შემდეგ კერძო სექტორზე გაიყიდება. ეს პროგრამა, რომელიც ხორბლის მონეტიზაციით მიღებული თანხებით დაფინანსდება, ამ მიზნით 1-2 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. არსებობს კიდევ აშშ-ს მიერ დაფინანსებული მცირემასშტაბიანი პროგრამა, რომელიც სექტორის სესხების ნაწილის გარანტიას უზრუნველყოფს. ამ ინიციატივის ფარგლებში სესხების გარანტიებისათვის 3 მილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა. თუმცა, ცალკეულ სკეპტიკოსთა აზრით, ბანკები არც ამ გარანტიების პირობებში გარისკავენ სესხების გაცემის ზრდას,

რადგანაც გარანტია სესხის მხოლოდ ნახევარს დაფარავს. ამდენად, ძალაში რჩება მრავალი ფაქტორი, რომელთა გამოც აგრარული სესხების გაცემა ბანკებისათვის კვლავაც არ არის მიმზიდველი. მიუხედავათ ამისა, ამ ღონისძიებამ შესაძლოა გაზარდოს სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი კომერციული ბანკების სასესხო პაკეტის ლიკვიდურობა, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ამ ბანკებმა სხვა მიზეზებით (რომლებიც ამ პროგრამას კონკრეტულად არ უკავშირდება) აშშ-ს გულის მოგება მოისურვონ.

დღესდღეობით, სახელმწიფოსგან მიწების შესყიდვის გარდა, კრედიტის ერთადერთი ტიპი, რომელიც რეალურად ფერმერთათვის ხელმისაწვდომია, მცირე მოცულობის ის თანხებია, რომლებიც ინდივიდუალურ დონორულ პროექტებთან, მთავრობის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) და აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული ახალი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის პროგრამასა და ოესლის გამრავლების პროექტთან (რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ხორბლის მონეტიზაციის შედეგად მიღებული სახსრებით) არის დაკავშირებული. მთლიანობაში ამან შეიძლება შეადგინოს 25 მილიონი ლარი. გარდა ამისა, კრედიტის სანაცვლოდ, ფერმერებისათვის ან ფერმერთა ჯგუფისათვის შეიძლება MCG-ს ინიციატივით, USAID/AgVantage-ისა და მრავალი სხვა დონორული პროექტით გათვალისწინებული გრანტული დაფინანსება გახდეს ხელმისაწვდომი. ამ დაფინანსების მოცულობა შესაძლოა უკვე ხსენებულ საკრედიტო რესურსების მოცულობას გაუტოლდეს. მიუხედავათ იმისა, რომ ფერმერებს ამ თანხებზე უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი, ვიდრე MCG-სა და მსოფლიო ბანკის სხვა საპროექტო დაფინანსებაზე, რეალურად, გრანტები აქაც უფრო ხშირად დაფასოება-შენახვის, გასაღებისა და გადამამუშავებელ საქმიანობაზე,

და არა უშუალოდ პროდუქციის წარმოებაზე გაიცემა.

საქართველოში მოქმედი ერთადერთი მსხვილი პროგრამა, რომელიც ფერმებს აფინანსებს, დაკავშირებულია მიწის პრივატიზაციის მეორე და ბოლო რაუნდთან, თუმცა ის არ უზრუნველყოფს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის დაფინანსებას. ამ პროგრამის ფარგლებში კერძო საკუთრებში 464 000 ჰექტარი გადავა. მთელ ამ პროცესს მთავრობა სარგებლის დარიცხვის გარეშე დააფინანსებს. პროგრამის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში მიწის დირებულების დაფარვის შემთხვევაში მყიდველები მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. მართალია, მთავრობის შეფასება ჯერ ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ არ იქნება უსაფუძვლო ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა დაფინანსების (ან ფასდაკლების) მოცულობამ 150 მილიონ ლარს გადააჭარბოს. მართალია, პრივატიზაციის შემოსავლები ჩვეულებრივ ნაერთ ბიუჯეტში გაიბნევა, იდეალურ შემთხვევაში ეს თანხები უნდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ან უშუალოდ ფერმერული მეურნეობების დასაფინანსებლად უნდა გამოიყოს, ვინაიდან პრივატიზაციის ამონაგები სწორედ ფერმერებიდან შემოვა. მიუხედავათ იმისა, რომ ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკრედიტო პროგრამაა, თუ ეს კაპიტალი აგრარული სესხების სახით სოფლის მეურნეობის სექტორს უკან არ დაუბრუნდა (რისი წინაპირობაც არ ჩანს), ეს პროგრამა წინამდებარე ნაწილში განხილული დაფინანსების დეფიციტს ვერ შეავსებს (გარდა იმისა, რომ ფერმერებს შეუქმნის გირაოს დამატებით პოტენციურ წყაროს დაფინანსების მოსაპოვებლად). აგრარული სესხის მცირე ნაწილი კონსოლიდატორებიდანაც (დამფასოებლებიდან, გადამამუშავებლებიდან, მოვაჭრებიდან) შემოდის. თუმცა, ამ უკანასკნელთ საშუალება არ ეძლევათ მნიშვნელოვნად გაზარდონ მათ ხელთ

არსებული ფინანსური საშუალებები, რასაც მრავალი იგივე ფაქტორი აბრკოლებს, რომელიც მთლიანად სექტორში კრედიტის უფრო მეტი მოცულობით მოზიდვას უშლის ხელს.

საბოლოოდ, მიწის დაფინანსების გარდა, ყველა არსებული პროგრამა (MCG, მსოფლიო ბანკი, USDA, სხვა დონორები) მეპატრონეთა კუთვნილ კაპიტალთან ერთად მომდევნო 10 წელიწადში სექტორის მოთხოვნათა დაახლოებით 30 პროცენტზე ნაკლებს დაკმაყოფილებს. იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ამ პროგრამათა და კომერციული საბანკო სექტორის უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობის უზრუნველყოფა, სავარაუდოდ, კაპიტალზე მოთხოვნის 30-35 პროცენტის დაკმაყოფილება გახდება შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, უპირველესი ამოცანაა იმ ახალი ფინანსური წყაროებისა და მიღგომების მოძიება, რაც ერთგვარად შეავსებდა ფინანსური სახსრების დეფიციტს.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების გაუმჯობესების გზაზე არსებული ყველა დაბრკოლება მრავალრიცხოვანი კვლევებითაა დაფიქსირებული. ამდენად, ამ საკითხების დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით. ეს პრობლემები შეიძლება დაჯგუფდეს სამი ძირითადი სფეროს მიხედვით, როგორებიცაა საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემო, ფინანსური ინსტიტუტები, და ფერმერული მეურნეობები:

ა) საპროცენტო სარგებლის დაფარვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და უიმედო სესხების ამოღების პროცედურების ეფექტიანობა დაბალია და ისინი ფინანსურ ინსტიტუტებს სოფლის მეურნეობის ბიზნესის დაფინანსებაში უშლიან ხელს. ფინანსური ინსტიტუტების სესხების გაცემით დასაინტერესებლად აუცილებელია, რათა ისინი დარწმუნდნენ, რომ გირაოდ დატოვებული ნებისმიერი ქონება მსესხლების გაკოტრების შემთხვევაში, შეიძლება დიდი

დანაკარგების გარეშე იყოს საკუთრებაში აღებული, ან გაყიდული ბაზარზე მისი რეალური ღირებულების შესაბამისად. გირაოს გადაფორმება დროულად უნდა ხორციელდებოდეს, რათა ამ აქტივის შემდგომი ამორტიზაცია იქნას თავიდან აცილებული. ასეთი დარწმუნებისა და შესაბამისი კანონების არსებობის გარეშე გამსესხებული დაუცველია გირაოში აღებული ქონების ღირებულების გათვალისწინებათაც კი. გარანტირებული იპოთეკის კანონის მიღება საჭიროა მოძრავი ქონების უფასტიანი რეესტრი და გაკოტრებული მსესხებლების საკანონმდებლო პროცესი ზემოთხსენებულ საკონონმდებლო გარემოს თანმიმდევრულ, დროულ და უკორუფციონულ შედეგების უნდა ახერხებდეს.

ბ) სესხის გაცემა ინვესტირებაა, ხოლო ინვესტიციათა განხორციელება რისკისა და ამონაგების შეფარდების საფუძველზე ხორციელდება, სადღეისოდ, სასოფლო-სამეურნეო სესხები გამოდევნილია სხვა სექტორების დაფინასებით, რადგანაც იქ ან არ არსებობს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული რისკები, ან უკეთაა გააზრებული. უკვე აღნიშნულ დაბრკოლებებთან ერთად, ფინანსური სექტორის შემაფერხებულ ფაქტორებად შემდეგი პრობლემები განიხილება:

- ბანკებს არ გააჩნიათ საკმარისი გრძელვადიანი ლიკვიდურობა ხანგრძლივი 3-10 წლიანი სესხების გასაცემად;
- ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტება სპეციალიზებულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, რაც საქართველოს ბანკებს ნაკლებად აქვთ;
- ქართველ ფერმერებს აკლიათ ფინანსური მართვის უნარ-ჩვევები, უჭირთ საბუღალტრო და ფინასური ანგარიშებისა და ბიუჯეტის შედგენა. ბანკები კი სესხებს მხოლოდ ამ სისტემების შეფასების საფუძველზე იძლევიან;

- ქვეყანაში არსებული რისკები ზრდიან ბანკების ფულის დირებულებას. ამას ემატება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფინანსური ანგარიშების ნაკლებობა და სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი მაღალი რისკები კიდევ უფრო ზრდიან გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთს;
- სოფლის მეურნეობის სექტორი კონკურენციას ვერ უწევს უფრო მცირე რისკის მქონე სხვა სექტორებს;
- საკრედიტო ბიუროს არარსებობა აბრკოლებს გამსესხებელს შეაფასოს მსესხებლის საფინანსო ისტორია;
- მართალია, შესაძლოა, ლიზინგმა გრძელვადიანი დაკრედიტების ქმედითი ალტერნატივა შექმნას, მისი გავრცელება იზღუდება არსებული კანონმდებლობის კონფლიქტით სამოქალაქო კოდექსთან და საგადასახოდო კოდექსში ლიზინგის არასათანადო ასახვა.

გ) მართალია, ქართული ფერმების უმეტესობა ცვლის, ან ყიდის წარმოებული პროდუქციის გარკვეულ ნაწილს, ნატურალური მეურნეობებისა და კომერციული ფერმების მიჯნა ალბათ 4 ჰექტარის ფართობია. დროთა განმავლობაში გაცილებით უფრო იოლია მსხვილი ფერმერების დაფინანსება, ვიდრე მცირე გლეხური მეურნეობებისა. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მხოლოდ 16 ათას ფერმერს აქვს 4 ჰექტარი და მეტი მიწა, რაც მოელი მეურნეობების 3 პროცენტს შეადგენს. ამგვარად, ბანკები, მთავრობა, დონორული პროექტები და კონსოლიდატორები მძიმე პრობლემებს აწყდებიან დანარჩენი ფერმერების დაფინანსების პროგრამების შედგენის პროცესში. ეს პრობლემები მოიცავს შემდეგს:

- მცირე ფერმებს მცირე სესხები ესაჭიროებათ. თუმცა, რამდენიმე ათასის, ათეული თუ ასეული ათასის სესხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლოა მსგავსი იყოს;

- ფერმერთა უმეტესობა ფრაგმენტულ მეურნეობებს ფლობს, ამ ნაკვეთების სიმცირის მიუხედავად. გარდა ამისა, ასეთ ფართობებს საკუთრების მკაფიოდ განსაზღვრული უფლება და დადგენილი საზღვრები არ გააჩნიათ;
- ნაკვეთის ფართობის სიდიდის მიუხედავათ, მიწის დამუშავება უკავშირდება ამინდის, ბაზრების ცვლადებადობის და მავნებლების გამრავლების პრობლემებს. ამავე დროს არ არსებობს ასეთი რისკებისაგან დაზღვევის სისტემა;
- ფერმერთა უმრავლესობისათვის ირიგაციის სისტემაზე ხელმიუწვდომლობით მცირდება არა მხოლოდ მოსავლიანობა (და აქედან გამომდინარე, შემოსავლებიც), არამედ ქრება ნალექების სიმცირით გამოწვეული რისკებისაგან დაზღვევის შესაძლებლობაც;
- თვით სექტორში არსებობს ნდობის დეფიციტი, რაც ფერმერების და კონსოლიდატორების მიერ საკონტრაქტო ურთიერთობების დაუცველობაში აისახება, ეს კი თავის მხრივ, აბსურდულს ხდის გამსესხებელთა რისკის შემცირების სადაზღვევო სისტემას;
- ინფორმაციის შეგროვებაში არსებული გამოცდილებისა და უნარების არარსებობა, ვინაიდან წარსულში ფერმერებს ასეთი ტიპის ინფორმაციის შენახვა არ უწევდათ დაფინანსების მისაღებად. ფერმერების დიდ ნაწილს ამჟამადაც არ შეუძლია სასესხო ინფორმაციის მიწოდება;
- არსებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა მოსავლიანობისა და მომგებიანობის დონის მნიშვნელოვან სიმცირეს განაპირობებს რეგიონულ სტანდარტებთან შედარებით.
- გაურკვევლობას იწვევს გაზრდილი დაფინანსებით მიღებული შესაძლო ჭარბი მოსავლის გასაღებასთან დაკავშირებული პრობლემები;

- ფერმერული კოოპერატივების და ასოციაციების არარსებობა იმგვარი ფორმით, სიხშირითა და ფუნქციებით, რაც ჩამოთვლილი პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ფონზე ძნელია კომერციული საბანკო სექტორის დადანაშაულება სურსათისა და სოფლის მეურნეობების სექტორზე სესხების გაცემით არასაკმარის დაინტერესებაში. არსებული ლიკვიდურობისა და კაპიტალზე მაღალი მოთხოვნის პირობებში საქართველოს ბანკები იღებენ რაციონალურ, თავისუფალი ბაზრის შესატყვის გადაწყვეტილებებს და ეძებენ უფრო მიმზიდველ, საკუთრების იურიდიული უფლების მკაფიოდ განსაზღვრული გირაოს პოტენციალის მქონე მსესხებლებს ეკონომიკის ყველა სფეროში. მთავრობის ამოცანაა გამოძებნოს გზები ამ ბარიერების გადასალახად სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების დაჩქარების მიზნით, ბაზარზე რაიმე არასასურველი შეშფოთების შეტანის, ან მზარდი საბანკო სექტორის განვითარების შეფერხების გარეშე.

მთავრობა და დონორები ზოგადად ეწინააღმდეგებიან ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების იდეას. ეს მოსაზრება მრავალი მიზეზითაა გამართლებული. მათ არ სურთ შექმნან მექანიზმი, რომელიც უსამართლო კონკურენციას გაუწევს განვითარების პროცესში მყოფ კომერციულ საბანკო სექტორს, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფეროა. მთავრობასა და დონორებს ასევე არ სურთ კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირების საბაზრო მექანიზმებში ჩარევა, რაც კაპიტალის ოპტიმალურად, ყველაზე მომგებიან პროექტებში დაბანდებას გულისხმობს. ამას კი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების თავისუფალი ფორმირება უზრუნველყოფს. ამ ლოგიკით, კაპიტალს ის ფირმები მიიღებენ, რომლებსაც საპროცენტო მომსახურების დაფარვა

შეეძლებათ, და არა ისინი, ვისაც საკმარისი კაპიტალი არ გააჩნია და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის დაფარვა არ შეუძლია. გარდა ამისა, დონორებსა და მთავრობას არ სურთ შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელშიც მხოლოდ სუბსიდირებული ბიზნესი იქნება სიცოცხლისუნარიანი, მით უმეტეს, რომ ეს სუბსიდირება შეუძლებელია გაგრძელდეს დროის საშუალო, ან ხანგრძლივ პერიოდში. სამთავრობო, თუ დონორების პოზიციის გასამყარებლად არსებობს კიდევ რიგი მოსაზრებებისა, მაგრამ ზემოთ განხილული არგუმენტები სავსებით ცხადად ასახავენ მათი (მაგალითად, მსოფლიო ბანკი/IFAD/JICA-ს სოფლის განვითარების ახალი პროექტი) პოლიტიკისა და პროგრამების საქმიანობის ლოგიკას.

აღნიშნული მიდგომა სავსებით დასაბუთებული და გამართლებულია მრავალი მიზეზის გამო. თუმცა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინებაც ასევე აუცილებელია საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. პირველი, ქართველ ფერმერებს გლობალურ ბაზრებზე უწევთ კონკურენცია. ამდენად, ისინი კონკურენციას უწევენ ევროპელ, ამერიკელ და სხვა ქვეყნის ფერმერებს, რომელთა მიერ მოზიდული კაპიტალი ქართველი ფერმერების მიერ მოზიდულ კაპიტალზე ბევრად იაფია. მაგალითად, თუ ერთწლიანი კულტურების საწარმოებლად აღებული სესხებისათვის საქართველოში ფერმერი წლიურ 30 პროცენტს იხდის, ხოლო დასავლეთში მხოლოდ 5-10 პროცენტს, ქართველი ფერმერების ფულადი ინვესტიცია 20-25 პროცენტით უფრო ძვირია, ვიდრე მათი უცხოელი კონკურენტებისა. აქ გათვალისწინებული არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოში გამოყენებული წარმოების საშუალებები უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე უცხოელი კონკურენტებისა, რადგან მათი უმეტესობა იმპორტირებულია და საბოლოო დირებულების გასაანგარიშებლად აუცილებელია ტრანსპორტირების ხარჯების

დამატება. გარდა ამისა, ქართველი ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის მცირე მოცულობა ნედლეულისა და წარმოების საშუალებების ფასდაკლებით შეძენის შესაძლებლობას არ იძლევა, რაც უცხოელი კონკურენტებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია.

მეორე, მთავრობისა და დონორთა მიერ გატარებული პოლიტიკა სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური დახმარების სფეროში მეტად არათანმიმდევრულია. ერთის მხრივ, მთავრობა და დონორები აცხადებენ, რომ საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების წინააღმდეგი არიან, და ამავე დროს აფინანსებენ ყოველგვარი საპროცენტო განაკვეთიდან თავისუფალი სასესხო პროგრამებს. მაგალითად, ასეთ პროგრამებს განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის შეძენის, თესლის გამრავლების, სასაკლაოებისა და მიწის განაწილების პროგრამები. ამასთან, კომერციული საწარმოებისათვის გამიზნული ცალკეული საგრანტო პროგრამებით გათვალისწინებული არ არის არა თუ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის დაფარვა, არამედ საერთოდ თანხის დაბრუნებაც კი. გაუგებარია, თუ რატომ ქმნის აღნიშნული პრაქტიკა ბაზარზე უფრო ნაკლებ შეშფოთებას, ვიდრე სუბსიდირებული პროგრამები. ამ პროგრამების მიხედვით გამოდის, რომ სახელმწიფო ბევრად უფრო შორს არის წასული ბიზნესის სუბსიდირების მიმართულებით, ვიდრე სასურველი იქნებოდა.

მესამე, მსოფლიო ბანკის სოფლის განვითარების ახალი პროგრამით, მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო და დონორები უარს ამბობენ სასოფლო-სამეურნეო სექტორის სუბსიდირებაზე, ისინი არ ეწინააღმდეგებიან ცენტრალური ბიუჯეტის სწორედ ამ პროგრამის მიერ სუბსიდერებას. სესხის შედავათიანი პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფო მნიშვნელოვნად უფრო “იაფ”, ან სულაც “უფასო ფულს” იღებს, რომელსაც შემდეგ ბანკებს

გადაასესხებს შემდეგი პირობებით: LIBOR დამატებული სარგებელი, ან LIBOR დამატებული ინფლაციის დონე და სარგებელი, რაც ბანკების მოზიდული კაპიტალის ღირებულებას 6-11 პროცენტის ფარგლებამდე ზრდის. ბანკები, თავის მხრივ, ამ ხარჯებს სოფლის მეურნეობის სექტორს აკისრებენ. რამდენადაც სახელმწიფოს მიერ სესხად აღებულ თანხასა და საპროცენტო განაკვეთთან ერთად დაბრუნებულ თანხას შორის 5-10 პროცენტიანი სხვაობა რჩება, გამოდის, რომ სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორი თავად ახორციელებს ცენტრალური მთავრობის 5-10 პროცენტიან სუბსიდერებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზია სახელმწიფოს სურვილი თავი დაიზღვიოს ზედმეტი რისკისაგან, რადგან ეს თანხები საბოლოოდ მსოფლიო ბანკსა და მის პარტნიორებს სწორედ სახელმწიფომ უნდა დაუბრუნოს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს რისკი გაცილებით უმნიშვნელოა იმ სარგებელთან შედარებით, რასაც სახელმწიფო კომერციული ბანკებისაგან გადასესხების სანაცლოდ ითხოვს. სასურველია სახელმწიფოს მიერ მიღებული ეს თავისუფალი სახსრები შემდგომში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორისათვის თუნდაც სხვა საკრედიტო პროდუქტების შესაქმნელად გახდეს ხელმისაწვდომი. სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვის შემთხვევაში, ალბათ ნაკლებსავარაუდოა, რომ სახელმწიფომ უარი თქვას ამ თანხების თავის ნაერთ ბიუჯეტში დაბრუნებაზე.

დასკვნისათვის უნდა ითქვას, რომ არავინ ამტკიცებს იმას, თითქოს სასოფლო-სამეურნეო სექტორი სესხების სარგებლის გადახდისაგან უნდა გათავისუფლდეს, ან აბსურდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით ისარგებლოს, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს რაღაც შუალედური მიღგომის გამონახვა ხშირად გაუმართლებლად მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და უპროცენტო სასესხო პროგრამებსა და გრანტებს შორის, რომლებიც

მართლაც იწვევენ ბაზარზე შეშფოთებას და ეკონომიკისთვისაც მცირე სარგებლობა მოაქვთ. საკითხისადმი უფრო შემოქმედებითად მიღომით, აღნიშნული სხვადასხვა პროგრამის გაერთიანებით და კერძო საბანკო სექტორთან თანამშრომლობით შესაძლოა 8-10 პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთის მქონე საკრედიტო მექანიზმები გახდეს ხელმისაწვდომი. ეს ბევრად უფრო კონკურენტუნარიანს გახდის ქართველ ფერმერს იმ უცხოელ ფერმერებთან შედარებით, ვისაც მოზიდულ სესხებზე 18-36 პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთის დაბრუნება არ უხდება. აგრეთვე, ეს ღონისძიება სოფლის მეურნეობის სექტორში და მთლიანად ეკონომიკაში კაპიტალის საბაზო პრინციპების მიხედვით დაბანდებასაც შეუწყობს ხელს. საქართველოში ახლაც არიან მსესხებლები, რომლებსაც წმინდა კაპიტალის სიდიდისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, შეუძლიათ 10-12 პროცენტიანი სესხების აღება. ჩვენი ძალისხმევა სწორედ იქითვენ უნდა მივმართოთ, რომ სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორსაც მიეცეს ამის საშუალება.

## დასკვნები და წინადადებები:

1. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენციის აქტიურ ფორმებს. ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს ყველა მწარმოებლისათვის, მაგრამ გაიმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ყველაზე უკეთესად დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას.

საბაზრო მექანიზმის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულადაა მოცული ეკონომიკა საბაზრო ურთიერ- თობებით. შერეული ეკონომიკის პირობებშიც კი დომინირებული მდგომარეობა საბაზრო ურთიერთობებს უნდა ეკაოთ. საკონკურენ- ციო ბრძოლაში უნდა მონაწილეობდეს ყველა სამეურნეო რგოლი და სუბიექტი. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, რომ მთლიანობაში ბაზარი ასრულებდეს ეკონომიკის რეგულატორის როლს.

სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის მოდელი წარმოუდგენე- ლია კარგად განვითარებული აგრარული სექტორის გარეშე, რადგან საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, საზოგადოების თითოეული წევრის მსყიდველობით უნარზე, მომსახურებისა და რეალიზაციის ქსელის ორგანიზაციაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე.

2. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა საჭიროებს ფინანსურ- ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მიუხედავად განხორციელებული ეკონომიკური და აგრარული რეფორმებისა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი სახის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ერთიანი მოქნილი სისტემა. ვფიქრობთ უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს

აგრარულ სექტორში დღეს არსებული კრიზისის დაძლევას არის ის, რომ სწორად განხორციელდეს და ზუსტად შესრულდეს დარგში გატარებული რეფორმები, გეგმაზომიერად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

3. საქართველოს აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმის პირველი წლების გამოცდილება, ძირეული ცვლილებები ქვეყნის თანამედროვე საზოგადოებასა და ეკონომიკაში, ასევე მიღწეული შედეგები გვიჩვენებს რეფორმის მიმდინარეობის სერიოზული ანალიზისა და მათი კორექტირების გზების ძიების აუცილებლობას, განსაკუთრებით კი ქვეყნის ეკონომიკის საბაზო სისტემაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლისა და ადგილის შესახებ.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ეროვნული მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფო რეგულირება. მან უნდა უზრუნველყოს როგორც პროდუქციის მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, ბუნებრივ-მატერიალური და შრომითი რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება.

სასოფლო საქონელმწარმოებელთათვის სახელმწიფოს მხრივ დახმარების აღმოჩენის გარეშე სიტუაცია აგრარულ სექტორში არ გაუმჯობესდება, პირიქით, შეიძლება კატასტროფულიც აღმოჩვდეს.

4. საქართველოს ეკონომიკის გარდამავალი მდგომარეობის გამო მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ეკონომიკაზე არამარტო ირიბი, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევაში პირდაპირი ზემოქმედებაც, რომელიც გარკვეული ძალითა და სისწრაფით გამოირჩევა და საბიუჯეტო დანახარჯებს ნაკლებად საჭიროებს.

ასევე უურადღება უნდა მიექცეს აგრარულ სექტორში საბაზო

ურთიერთობების განვითარებას, მიწასთან და წარმოების საშუალებებთან მეწარმის დაახლოებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების უკვენაცადი ფორმების ათვისების გზით, კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ფერმერული მეურნეობების მოწყობას პირველ რიგში მიტოვებულ მიწებზე.

ამგვარად, აგრარული სექტორის მიმართ ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია ეკონომიკის აგრარული სექტორის სტრუქტურა განვიხილოთ ერთიან კომპლექსურ სისტემად, რომელიც შედგება ორგანიზაციულ – საწარმოო ნაწილისაგან და მისი მმართველი ცენტრისაგან. მმართველი ცენტრი რაციონალურად მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, თუ მისი აგებულება, სტრუქტურა ორგანიზაციულ-საწარმოო სტრუქტურის აღეპვატურია. ერთი სტრუქტურის ცვლილებისას მეორეც სათანადოდ უნდა იცვლებოდეს.

სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ეკონომიკური მხარდაჭერა ესაჭიროება არა მარტო ასოციაციების, სახელმწიფო საწარმოების, კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფის ნაწილში, არამედ მატერიალური რესურსებით მომარაგებაში, შედაგათიანი კრედიტებისა და სუბსიდიების მიცემაში და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ყველა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო პროტექციონიზმის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. სოფლის მეურნეობისათვის ეკონომიკური დახმარების ასეთი პრაქტიკა ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

6. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო პოლიტიკას.

საქართველოში დღეს არსებული დაკრედიტების მოცულობის დაქვეითება, მაღალი საკრედიტო პროცენტი, ასევე არასწორი სადაზღვევო განაკვეთები, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან წარმოებისა და სოციალური სფეროს დაფინანსების შემცირება – ეს ყველაფერი სოფლის მწარმოებლისათვის გადაულახავ ეკონომიკურ ბარიერს ქმნის.

ყველა აგრარულად მაღალგანვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის რეგულირებაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია სრულყოფილი სახის საბაზრო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოს ფუნქციებში უნდა შედიოდეს იმ საკითხების გადაჭრა, რომელთა რეგულირება ძირეულ რგოლებს არ ძალუბთ. სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს იმ სფეროებისა და რეგიონების პირობები, რომელთაც თავისი სპეციფიკის გამო არ შესწევთ საბაზრო საფუძველზე ფუნქციონირების უნარი, განსაკუთრებით დღევანდელ გარდამავალ პერიოდში. ასეთებია: სოციალური საბიუჯეტო სფეროები, აგრარული სექტორი, მთის რეგიონების განვითარება, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება და ა. შ.

7. თანამედროვე პირობებში, როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის, ისე მისი აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები გარკვეულ კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება. ასეთ სიტუაციაში კარგი იქნებოდა კრიზისის გამომწვევი მიზეზების კომპლექსურად შესწავლა და შეფასება, რათა სწორად განისაზღვროს პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარების ორიენტირები და დაჩქარდეს კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, ჩამოყალიბდეს ისეთი ადაპტირების მზარდი უნარი და საერთოდ მდგრადი განვითარების

**რესურსული პოტენციალი ექნება.**

ამასთან დაბალანსებული კვების ხარისხის გაუმჯობესება შემოსავლის ზრდასთან ერთად სიღარიბის დაძლევის პროგრამის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია.

**8.** კვების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მომავალ ათწლეულში როგორც აგრარულ სექტორში, ისე მთლიანად ეკონომიკაში შემოსავლის ზრდა უმნიშვნელოვანესი იქნება. თუ ქვეყანა წლიური ეკონომიკური ზრდის 6-7 პროცენტიანი ტემპის შენარჩუნებას შეძლებს, რასაც მალე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და/ან ხელფასების ზრდა მოჰყვება, და თუ სოფლის მეურნეობა ამ დოკუმენტში განხილული ზრდის ტემპების მიღწევის მიზნებს განახორციელებს (რაც ნაწილობრივ ეკონომიკის სხვა სფეროში სამუშაო ადგილების შექმნაზეა დამოკიდებული), მაშინ რეალური საშუალო წლიური შემოსავალი სტრატეგიის განხორციელების ბოლოს სულ ცოტა, 50 პროცენტით გაიზრდება. ამ მიზნების შესრულება მნიშვნელოვნად წაადგება მოსახლეობის კვების ხარისხის გაუმჯობესების საქმესაც. ყველაზე უხეში გამოთვლებითაც კი, იმ შემთხვევაში, თუ რეალური საშუალო შემოსავლები 50 პროცენტით გაიზრდება, და თუ სურსათის ფასები და ოჯახების სასურსათო ხარჯების წილი მათ მთლიან სამომხმარებლო ხარჯები სტაბილური დარჩება, მაშინ მოსახლეობის ის ნაწილის კი, რომელიც ყველაზე ცუდად იკვებება, სულ მცირე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული კალორიების მინიმალური დღიური ნორმის რეგულა ულ მიღებას შეძლებას.

**9.** თუკი 4 ჰექტარს გამოვიყენებთ პირობით გამყოფ ერთეულად, მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოში არსებობს სულ 16 ათასამდე ფერმერული მეურნეობა, რომლებსაც შეიძლება კომერციული მეურნეობა ეწოდოს. ეს ქვეყანაში არსებული მეურნეობების 2,5

პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. აღნიშნული მეურნეობები ამუშავებენ და აწარმოებენ პროდუქციას სავარაუდოდ 369 ათას ჰექტარზე, რაც თითქმის მთლიანად ქვეყნაში დამუშავებული მიწების 40 პროცენტს შეადგენს. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული პროცენტული გამოსახულება შესაძლოა გაიზარდოს პრივატიზაციის მეორე ეტაპის დასასრულისათვის, რამდენადაც იჯარისგან თავისუფალი სახელმწიფო მიწები ალბათ ისევ მსხვილ ფერმერებს ჩაუვარდება ხელში, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით ტექნიკისა და კრედიტების ხელმისაწვდომობის მხრივ.

10. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა დაბალ მსყიდველობითუნარიანია, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი უმეტესი საშუალებები დეფიციტურია, სავარგულების წვრილკონტურიანობა და სოფელში მათი დაფანტულობის გამო ჭირს მათი დიდ პარტიებად ტრანსპორტირება, ქალაქის მოსახლეობა კი პროდუქციის უკმარისობას განიცდის და ბაზარი შემოტანილი, უხარისხო პროდუქციოთა გაჯერებული, რაც განაპირობებს ფერმერების პროდუქციის წარმოების გადიდების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავების აუცილებლობას.

ვფიქრობთ, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების პროდუქტულობის ამაღლების მიზნით სასურველია შეიქმნას ფერმერთა ასოციაციები, გაერთიანებები, რომლებიც სახელმწიფოს ხელშეწყობით გაატარებენ შემდეგი სახის ღონისძიებებს: ფერმერთა მომარაგება საწვავით, მინერალური სასუქებითა და პესტიციდებით, მექანიზაციის განვითარების ღონისძიებების გატარება, მარტივი ტიპის სასათბურე და სანერგე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობის დარგში ცხოველების მოვლისათვის საჭირო კეტერინარული საშუალებებით უზრუნველყოფა, პირუტყვის

ჯიშობრივი გაუმჯობესება, ნამეტი პროდუქციის რეალიზაციის გაზრდის მექანიზმის გაუმჯობესება.

ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობებს არ გააჩნიათ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება და საჭირო ცოდნა, რაც აფერხებს აღნიშნული მეურნეობების განვითარებას. არ არსებობს ფერმერთა მომზადების სპეციალიზებული სკოლები და კოლეჯები, ქართულ ენაზე არ არსებობს ან ძალიან მცირეა საცნობარო ნორმატიული მასალა.

სადღეისოდ ფერმერული მეურნეობები საჭიროებენ მაღალკვალიფიციური აგრონომების, ეკონომისტების, ზოოტექნიკოსების, იურისტების და სხვა პროფესიის მქონე პირთა მომსახურეობას. განვითარებულ ქვეყნებში არსებული ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავებით, ჩვენს საოჯახო მეურნეობებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ მომსახურების სერვისი.

დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის, არასრულყოფილი აგროსერვისული მომსახურებისა და ნაკვეთების მცირე ზომის გამო, სასურველია საოჯახო მეურნეობების გაერთიანება კოოპერატივებში, რაც ხელსაყრელ პირობებს შექმნის ერთობლივი საწარმოო საქმიანობისათვის.

ფერმერული კოოპერატივებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სამეცნიერო უზრუნველყოფას, კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხის მოგვარებას. ასევე მეურნეობების წარმატებით გაძლოლის საქმეში დიდი როლი ენიჭება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების გახსნას, რაც მნიშვნელოვან როლს იმენს ფერმერული მეურნეობების მუშაობაში. სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრში თავს მოიყრის ფერმერისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია აგროკლიმატური რესურსების, ნიადაგის შედგენილობის თესვისა და მოსავლის აღების ვადების გონივრული განსაზღვრის, ნიადაგში

სასუქების შეტანის და სხვათა შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გატარებული არაეფექტიანი რეფორმების გამო ფერმერულ მეურნეობათა ჩამოყალიბება დაყოვნდა და დღეისათვის საქართველოში სრულფასოვანი ფერმერი არ არსებობს. ამ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ინტენსიური გარდაქმნების გზით. ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს ფერმერული ტერიტორიულური კოოპერატივების ჩამოყალიბება წვრილ ოჯახურ მეურნეობათა ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძველზე, სადაც საწარმოო საშუალებანი და პროდუქცია კვლავ რჩება კერძო საკუთრებად, ხოლო კოლექტიურია გასაღება, მომარაგება და ფინანსები.

**11.** უკანასკნელი მონაცემებით, მცხეთა – მთიანეთის რეგიონში, 34 006 მეურნეობაა (ყველა სახის), სადაც მნიშვნელოვანი წილი – 99,8%, ოჯახურ მეურნეობებზე მოდის ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს – 0,1%. ყაზბეგის, თიანეთისა და ახალგორის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საერთოდ არ არის განვითარებული და მათ სოფლის მეურნეობის სტრუქტურას მთლიანად ოჯახური მეურნეობები განსაზღვრავენ. რაც შეეხება დუშეთის და მცხეთის რაიონებს აქაც უდიდესი წილი ოჯახურ მეურნეობებს ეკუთვნის და სუსტად არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა ტიპის მეურნეობები.

**12.** მცხეთა-მთიანეთის მხარეში მეურნეობები პროდუქტს აწარმოებენ ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის (34 006 მეურნეობიდან საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტს აწარმოებს 31 787 მეურნეობა, ანუ მეურნეობების – 93,5%), აღნიშნული მხარის 33 940 შინამეურნეობიდან საკუთარი მოხმარებისათვის სოფლის-მეურნეობის პროდუქტს აწარმოებს 31 769 მეურნე, ანუ- 93,6%, ხოლო რეგიონის 32

სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქტს აწარმოებს 5 საწარმო ე.ი. – 15,6%; რეალიზაციისათვის 14 საწარმო ე.ი. – 43,8%; და სხვა მიზნისათვის 13 საწარმო ე.ი 40,6%.

მცხეთა-მთიანეთის მხარე მთა-გორიანი რეგიონია და აქ ძირითადად განვითარებულია მეცხოველეობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდისათვის მემცენარეობის განვითარების გარკვეული პერსპექტივები შეიმჩნევა. 2000 წლიდან 2004 წლამდე აღნიშნულ რეგიონში მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოება თითქმის 7-ჯერ გაიზარდა (5,1 ათ. ტ.– 35,5 ათ.ტ.), კარტოფილის 10,7 ათ. ტ.-დან 16,5 ათ.ტ.-მდე, ხილის წარმოებამ დაიკლო, 2000 წელს ხილის მოსავალი 12,7 ათ. ტ. შეადგენდა, 2004 წელს კი 8,1 ათ.ტ. – ს. ანალოგიური მდგომარეობაა ყურმნის წარმოებაშიც. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას 2000 წელთან შედარებით 2004 წელს აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 74%-ით გაიზარდა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შედარებით კარგადაა განვითარებული მეცხოველეობა. ყოფილი გეგმიანი ეკონომიკის პერიოდთან შედარებით მაჩვენებლები მეტად დაბალია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული წინსვლის ტენდენციები დარგში ნამდვილად შეიმჩნევა. კერძოდ: - 2000 წლის ბოლოსათვის სულ საქართველოში 1177,4 ათას სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლიდნენ, 2004 წლის ბოლოსათვის კი ამ მაჩვენებელმა 1250,7 ათას სულს მიაღწია, მცხეთა- მთიანეთის რეგიონში კი საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 60,0-დან 61,3 ათას სულამდე გაიზარდა.

ხორცის წარმოება 2004 წლისათვის წინა წლებთან შედარებით უფრო გაიზარდა, ასევე გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა რძის წარმოებაში, 2000 წლისათვის თუ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 34,6 ათ.ტ. რძეს აწარმოებდნენ, ეს მაჩვენებელი 2004 წელს 22,8%-ით

გაიზარდა, ასევე გაიზარდა კვერცხის წარმოებაც.

13. მცხეთა-მთიანეთის მხარის სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია მემცენარეობის პარალელურად რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე განვითარდეს მეცხოველეობის ყველა დარგი, გაიზარდოს მათი სულადობა და მკვეთრად ამაღლდეს პროდუქტიულობა. ოპტიმიზაცია შესაძლებელია რეგიონში აღნიშნული დარგის სრულყოფის, მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, და იმპორტირებული, ხშირად უხარისხო პროდუქციის მკვეთრი შემცირებით. ამ პრობლემების ადვილად გადაჭრისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯიშთ-საშენი საქმიანობის ერთ დროს კარგად აწყობილი სისტემის სწრაფი აღდგენა-ფუნქციონირება. ასევე აუცილებელია მეცხოველეობის დარგის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის მემცენარეობის შესაბამისი დარგების განვითარება-აღორძინება.

მიზანშეწონილია დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვა, ყველა მეწარმე უნდა ცდილობდეს დანერგოს სრულყოფილი მანქანა -იარაღები და წარმოების უახლესი ტექნოლოგიები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წარმოების პროცესის განხორციელება უნდა მოხდეს ინტენსიური გზით და აქცენტი აღებული იქნას ისეთი პროდუქტების წარმოებაზე, რომელიც ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს როგორც მთელი საქართველოს ასევე მცხეთა-მთიანეთის მხარის სოფლის მეურნეობა განვითარების არც თუ ისეთ სახარბიელო საფეხურზე იმყოფება, კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელია მრავალი ღონისძიების გატარება: წარმოების კოოპერირება, მატერიალურ-ტექნიკური მომა-

რაგებისა და პროდუქციის რეალიზაციის სისტემების რეაბი- ლიტაცია და განვითარება, ოჯახური გადამამუშავებელი წარმოების აღორძინება, ტრადიციული დარგების განვითარებისათვის ხელის შე- წყობა, მომსახურების სფეროს სწრაფი ტემპით გაუმჯობესება, ახლებური ტექნოლოგიების დანერგვა, და სხვა.

14. 2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო – სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ”, რომელიც უფლებას აძლევს მოქალაქეს პირდაპირი გზით გამოისყიდოს მიწა სახელმწიფოსგან, თუ იგი მას იჯარით ჰქონდა აღებული. ამ მიწების პრივატიზების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო საგარეულების 98%-ზე მეტი კერძო საკუთრებაში აღმოჩნდება, რაც რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასაც არ ექნება ფასი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტის საქმეში.

15. მიწის რეფორმის შედეგად კერძო საკუთრებაში აღმოჩნდა 4 მლნ.- ზე მეტი ნაკვეთი ისე, რომ თითოეული ნაკვეთის საშუალო ზომა არ აღემატება 0,2 ჰექტარს, რის შედეგადაც პრაქტიკულად ჩამოყალიბდა რენტაბელური სასაქონლო მეურნეობის არსებობისათვის არსებითად ხელის შემშლელი პირობები. მიწათსარგებლობის ამგვარი მდგომარეობის კონსერვაცია ხანგრძლივი დროით მიუღებელია. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საქონლიანობის დონის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება კოოპერირების ფართოდ განვითარებას. ფიზიკური და იურიდიული პირები შეიძლება გაერთიანდნენ რამდენიმე კოოპერატივში. კოოპერაცია, სხვადასხვა ტიპის კავშირებისა და ასოციაციების შექმნა უზრუნველყოფს შინაგანი სტიმულირებით და ინტერესთა ერთიანობით განმტკიცებული აგრარული სექტორის ინტეგრაციის, მეცნიერებისა და

განათლების დაკავშირებას წარმოებასთან. ასევე მნიშვნელოვანია მიწის ბაზრის ფორმირება, რომლის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საკადასტრო აღწერისა და რეგისტრაციის სამუშაოების სწორად და მაღალპროფესიონალურად განხორციელება წარმოადგენს.

მიწის ბაზრის სახელმწიფო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მსხვილი სასაქონლო მეურნობების უპირატესი განვითარება. მიმდინარე ეტაპზე და მომავალშიც მუდმივი პრიორიტეტი იქნება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის, სერვისის სფეროს, საბიოუმო ვაჭრობის და სახელმწიფო შესყიდვის განვითარება, ასევე მარკეტინგული და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობა.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და კანონქვემდებარე აქტები.
  - 1.1 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №48 “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ”, 18.01.1992.
  - 1.2 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №290 “1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №128 დადგენილებებში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ”, 10.03.1992.
  - 1.3 სახელმწიფო მეთაურის №398 ბრძანებულება “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მეწარმეთ სარგებლობისათვის გადახდის შესახებ”, 18.12.1994.
  - 1.4 საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებების მიწის საკუთრებების შესახებ”, 22.03.1996.
  - 1.5 საქართველოს კანონი “სახელმწიფო შესკიდვების შესახებ”, 9.12.1998.
  - 1.6 საქართველოს კანონი “ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ”, 28.10.1998.
  - 1.7 საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუტრების ჩამორთმების წესის შესახებ”, 23.07.1999.

- 1.8 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №327  
“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების  
უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონი-  
სძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგი-  
სტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ”, 16.05.1999.
- 1.9 საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსე-  
ბული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებების მიწის  
მართვისა და განკარგვის შესახებ”, 28.10.1998. №1662-1.
- 1.10 საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის  
2002 წლის მიწის ბალანსის მონაცემები.
- 1.11 საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის  
“მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული,”  
2001.
- 1.12 საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური კრებუ-  
ლი, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2002.
- 1.13 საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის  
შესახებ”, 28.06.1996.
- 1.14 საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო მიწის  
არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო  
მიწის ათვისების დირექტულებისა და მიყენებული ზიანის  
ანაზღაურების შესახებ“, 2.10.1997.

## წიგნები და სტატიები

1. აგლაძე გ. ელევბორაშვილი გ. მთის სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების გზები, თბ., „ცოდნა“, 1987.
2. ანდლულაძე რ. მიწის სარგებლობის თავისებურებანი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტურად გამოყენება საქართველოში, თბ., 1986.
3. ანდლულაძე რ. მიწის რესურსების რაიონული გამოყენების ზოგიერთი თეორიული ასპექტები. სმეოსკი, შრ. კრ., თბ., 1987.
4. ანდლულაძე რ. დოდონაძე გ. საქართველოს მიწის ფონდების გამოყენების ძირითადი მიმართულებები, თბ., „ცოდნა“ 1982
5. ასათიანი რ. – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში, თბ., “საბჭოთა საქართველო”, 2002.
6. ასათიანი რ. ბაბუნაიშვილი ჯ. საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტურობა რეგიონალურ კომპლექსებში, თბ., 1990.
7. ასათიანი რ. კაკაშვილი ა. კაკულია რ. აგროსამრეწველო სექტორის რესტრუქტურიზაციის საკითხები, ქ. „ეკონომიკა“ 1996, № 4-6.
8. აგლაძე გ. – სოფლის ფერმერული მეცნიერების საკვები ბაზის განმტკიცების და საკვები რესუესების უკეთ გამოყენების პრობლემები, თბ., 2001. გვ.118.

9. ბასარია რ. მესხია ი. გარდამავალი პერიოდის მიკროექონომიკური პრობლემები, თბ., 1995.
10. ბურკაძე ვ. – ქეშელაშვილი ო. – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობა და მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შრომათა კრებული, სკემსკი, თბ., 1990
11. ბენია შ. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შერეული მოდელი, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., გამომცემლობა “მერდინი”, 1997.
12. ბენია შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები. სმეოსკი, შრ. კრ. თბ. 1987, ო. XIX. გვ. 109–114.
13. ბურკაძე ვ. მიწის ეკონომიკური შეფასება და მისი გამოყენება. თბ. „საბჭ. საქ.“, 1985, გვ. 78.
14. ბურკაძე ვ. მიწის კადასტრი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა “ფასი“. თბ. „საბჭ. საქ.“, 1985, გვ. 78.
15. ბურკაძე ვ. აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის დონისძიებები. ჯ. ”ეკონომიკა“. №6–8 1994.
16. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ძირითადი დონისძიებების შესახებ. საქ. ეკონ. მეცნ. აკადემიის შრ. კრ. ტ. 2. 2001, 94-103.
17. ბურკაძე ვ. ქეშელაშვილი ო. საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის წრედში, ასკემსკი შრ. კრ. ტ. IV. 2003 გვ. 16–26.
18. გიორგაძე პ. – სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი გზები, საქართველოში სოფლის მეურნეობის გან-

ვითარების ძირიტადი პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე  
გარდამავალ პერიოდში, ”მერდინი”, 1997

19. გიორგაძე პ. აგრარული სექტორის განვითარების ბერკეტზ-  
ბისა და სტიმულირების შესახებ ასკემსკი შრ. კრ. ტ. XXI  
1991. გვ. 158-160.
20. გიორგაძე პ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ეკო-  
ნომიკური პრობლემები. საქ. ეკონ. მეცნ. აკადემიის შრ.  
კრებ. ტ. 2. 2001, გვ. 216–228.
21. გოგოხია რ. როგორ გავხდეთ ფერმერი. „ეკონომიკა“. №7–  
1996.
22. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბ.: გამომც.  
„საქართველო“, 1996. გვ. 145.
23. გიორგობიანი ო. აგროსამრეწველო კომპლექსი საბაზრო  
ურთიერთობის პირობებში. ჟურ. „ეკონომიკა“. №11, 1990.
24. გიორგობიანი ო. საგარეო ეკონომიკური კავშირები საქარ-  
თველოს კვების მრეწველობაში. ასკემსკი. შრ. კრ. ტ. III.  
2001, გვ. 284–288.
25. გიორგობიანი ო. სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის  
პერსპექტივები საქართველოში. ასკემსკი. შრ. კრ. ტ. III. 2001  
გვ. 69–70.
26. დოდონაძე გ. მიწის რესურსების მართვის პრობლემები.  
ასკემსკი. შრ. კრ. ტ. II. 1999. გვ. 48–55.
27. ელიზბარაშვილი ზ. აგრარული რეფორმა და საბაზრო ეკო-  
ეკომიკა. „ეკონომიკა“ №5, 1991. გვ. 15–22.
28. ელიზბარაშვილი ზ. ნოზაძე ლ. საბაზრო ურთიერთობათა  
რეგულირება აგროსამრეწველო კომპლექსში. ჟურ. „ეკონო-  
მიკა“ №9–12. 1994. გვ. 23.
29. ვაშაკიძე ო. ლაჭუეპიანი ო. აგრარული კრიზისის დაძლევის

- გზები. ქ. „ეკონომიკა“. №7-8, 1996. გვ. 30.
30. ვაშაკიძე ო. საქართველოს აგრარული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში. საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრ. კრ. ტ. 2. 2001. გვ. 216-228.
31. ვაშაკიძე ო., დოჭვირი თ., პაპიაშვილი ვ., – პირადი დამხმარე მეურნეობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები, 1985.
32. თურნავა რ. ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი ციფრობრივი მაჩვენებელი. საქ. სტრატ. კვლ. და განვით. სერია №2. 3-4. 2001.
33. თოდუა გ.რ. მდგრადი ეკონომიკის და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. ქ. „ეკონომიკა“. №12. 1996. გვ. 32-33.
34. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. თბ. 1993. გვ. 44.
35. კაპულია რ. მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმს სრულყოფა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება აგროსამრეწველო კომპლექსში, თბ., გამ. „საქართველო“, 1998.
36. კიკნაველიძე ა. – ჩვენი სოფლის დიდი პროგრამა, თბ., ”ცოდნა“ 1981.
37. კიკნაველიძე ა. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული დაგეგმვის არსი, მნიშვნელობა, პრინციპები, და მეთოდები. ასკემსკი. შრ. კრ. თ. II. 1999. გვ. 64-71.
38. კვიციანი ქ. – მიწის (უძრავი ქონების) რეგისტრაციის სახელმძღვანელო, თბ., 2000.
39. კოლუაშვილი პ., ბენია შ. – აგრარული ბაზრის სახელმწიფო

- რეგულირების ასპექტები საქართველოში, "ეკონომიკა" №5 2002.
40. კოდუაშვილი პ., ზიძინიძე გ.-სოფლის მეურნეობის ეკონიმიკა, თბილისი, 2005.
  41. კოდუაშვილი პ. გიორგაძე პ. სურსათის წარმოების რეგიონა-ლური ორიენტირები საქართველოში. "მაცნე" ტ. II. 2003. №1-2.
  42. კოდუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება. "რეალობა და პროგნოზი". თბ. 2004. გამომც."კოდორი". გვ. 272.
  43. კუნჭულია თ. სოფლის მეურნეობის საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია. ქურ. "ეკონომიკა" №2-9, გვ.193.
  44. კუნჭულია თ. ფისკალური პოლიტიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ასკემსკი. შრ. კრ. ტ. III. 2001. გვ. 88–98.
  45. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, თბ., "მეცნიერება", 1997.
  46. მახარაძე ჯ. კუნჭულია თ. აგრარულ სექტორში საინვესტიციო გარემოს ფორმირებისა და რეგულირების ძირითადი ეკონომიკური პრინციპები, ასკემსკის, ტ. II, 1995.
  47. მახარაძე ჯ. ეროვნული მოვლენები და მის წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიებათა ეფექტურობა, თბ., 1999.
  48. მესხია ი. საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებანი, ქურ. "ეკონომიკა", №2, 1991.
  49. მანველიძე რ. გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური საკითხები აჭარაში, ასკემსკი, შრ. კრ., თბ., 2001.
  50. მეჭურჭლიშვილი მ. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საკითხები, ასკემსკის. შრ. კრ. ტ. III. 2001.
  51. ნიკოლეიშვილი გ. – წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობაში, "მეცნიერება", სახელმძღვანელო,

თბ., 2000.

52. სანთელაძე ნ. ერის სტრატეგია – საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პრობლემები, ჟურ. „ მაკრო-მიკრო ეკონომიკა“ 2000. №6
53. საღარეიშვილი ო. ხარაიშვილი ე. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა, და ანალიზი, ნაწილი I, თბ., გამომცემლობა „დავითი“ 1994.
54. საღარეიშვილი ო. ხარაიშვილი ე. ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა, და ანალიზი, ნაწილი II, თბ., გამომცემლობა „დავითი“ 1995.
55. სამუელსონი პ. ნორდჰაუზი ვ. ეკონომიქსი, თბ., 1992.
56. ნაკაიძე ე. მაღრაძე ქ. მიწა საერთო სახალხო სინდიდრეა, თბ., 1990.
57. ნორმატიული აქტების კრებული – მიწის კანონმდებლობისა და პრივატიზაციის სახელმწიფო შესახებ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2003.
58. ქლენტი პ. ქეშელაშვილი ო. ბურკაძე ვ. წარმოების ეკონომიკურ - ორგანიზებული ბერკეტების სრულყოფა, თბ., “საბჭ. საქართველო” 1986.
59. სუხიაშვილი ნ. – მიწის ბაზრის რესურსები პოტენციალი მცხეთის რაიონის მაგალითზე, აგრარული მეცნიერების პრობლემები სამეცნიერო შრომათა კრებული XXVII თბ., 2004,
60. სუხიაშვილი ნ. – მიწის ბაზრის ფუნქციონირება, უურნალი „ეკონომიკა“ № 9-10, 2004, გვ.125-131.
61. ტალახაძე გ. ანჯაფარიძე ო. ლატარია ვ. კირვალიძე რ. – საქართველოს ნიადაგები, თბ., ”განათლება”, 1983.
62. ტურაბელიძე ნ. – საქართველოს მიწის სამართალი, თბ., “მეცნიერება”, 2002.

63. ტურაბელიძე ნ. – მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდიკა, თბ., სსაუ., 1998.
64. ტურაბელიძე ნ. გობეჩია გ. ლობჟანიძე ე. – მიწის რესურსები და მათი გამოყენების პროგნოზირება, თბ., სსი, 1994.
65. ტურაბელიძე ნ., სუხიაშვილი ნ. – მიწათსარგებლობის მთლიანი ფართობის ნორმატიული ფასის განსაზღვრა მცხეთის რაიონის მაგალითზე, აგრარული მეცნიერების პრობლემებისამეცნიერო შრომათა კრებული XXIX, თბ., 2004, გვ. 202 – 205.
66. ურუშაძე თ. – საქართველოს ნიადაგები, თბ., ”მეცნიერება”, 1997.
67. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991
68. პაპავა გ. პროდუქციის გეგმის შესრულება, თუ დოვლათის შექმნაზე გამიზნულობა ? საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრ. კრ., 2001
69. ქარქაშაძე ნ. ბენია შ. ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, თბ. 1998.
70. ქარქაშაძე ნ. რამიშვილი ბ. სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი დებულებები. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ”მოამბე”. თბ. 2001. №8. გვ. 38–42
71. ქეშელაშვილი ო. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პოტენციალი. თბ. ”ცოდნა”. 1984. გვ. 31.
72. ქეშელაშვილი ო. სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. თბ. ”საქართველო”. 1991. გვ. 149.
72. ქეშელაშვილი ო. მეჭურჭლიშვილი გ. ნიკოლაიშვილი გ. მემკენარეობის დარგების გადაადგილების და განვითარების

- ოპტიმიზაცია საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების  
გათვალისწინებით. ასკემსკი. შრ. კრ. 1999, ტ. II, გვ. 38-48.
73. ყუფუნია გ. სიახლის დროული დანერგვა, ტექნოლოგია,  
მომსახურეობის სახეობანი. ჟ. "ეკონომიკა". 1993. №1. გვ.  
78-79.
74. ქარქაშაძე ნ. – მსოფლიო სოფლის მეურნეობა, თბ., "განათ-  
ლება", 1993.
75. ჩარქსელიანი ა. პეტრიაშვილი რ. ეიფიანი მ. საქართველოს  
სსრ. მიწის კადასტრი. თბ. 1988. გვ. 735.
76. ჩიქავა ლ. ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნა.  
ჟ. "ეკონომისტი". 1984, №1. გვ. 20-27.
77. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზა-  
ციული პრობლემები) ნაწილი I. თბ. 1995. გვ. 188.
78. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგრო სამრეწველო კომ-  
პლექსის განვითარების პრობლემები. გამ. "საქართველო". თბ.  
1993. გვ. 225.
79. ჭითანავა ნ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების  
შესახებ. საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრ. კრ.  
ტ. I. 2000. გვ. 56-80.
80. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური  
პრობლემები. ნაწ. II. თბ. 1999.
81. ჭითანავა ნ. შერეული მრავალწლიანი სოციალურად ორიენ-  
ტირებული ეკონომიკა. თბ. 1999, გვ. 36.
82. ჭინჭარაული ნ. მიწის კადასტრი. თბ. განათლება. 1987. 232.
83. ჭინჭარაული ნ. ბალანჩივაძე ც. პრივატიზაცია აგრარულ  
სექტორში. ფორმები, მეთოდები. ჟურ. "ეკონომიკა". 1992. №8-9
84. ჭინჭარაული ნ. მიწის კადასტრი სასოფლო-სამეურნეო სავარ-

- გულების დაცვის და რაციონალურად გამოყენების დონისძიებათა სისტემაში, მეურნეობის მრავალფორმალობის დროს.  
”სადისერტაციო მაცნე”. თბ. 1993. გვ. 39.
85. ხარაიშვილი გ. ნიადაგის ეროვნიასა და ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო დონისძიებები. თბ. ”საბჭ. საქართველო”. 1971. გვ. 197.
86. ხარაიშვილი გ. ფერმერული მეურნეობები და მათი განვითარების ტენდენციები. თსუ. შრ. კრ. ”ეკონომიკის აქტუალური საკითხები” VIII. 2000 წ.
87. ყამარაული ს. – მარკეტინგი, „მეცნიერება“, 2002.
88. ყორდანაშვილი ლ. საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქ. ეკონომიკურ. მეც, აკადემიის შრ. გვ. 2001, ტ. I. გვ. 293-306.
89. ჭიპაშვილი პ. – მიწის ბაზრის ფორმირება და მისი სახელმწიფო რეგულირება, თბ., 2004.
90. Александров Д.С., Кошелев В.М., Анализ и оценка инвестиционных проектов. М. 2003.
91. Бакет М. Фермерское производство; организация, управление, анализ. М. Агропромиздат 1992, ст. 225.
92. Бузова И.А. , Махавиков Г. А., Терехова В. В. , Комерческая оценка инвестиций. изд.Питер. 2003.
93. Буркадзе В. К. Земельный кадастр. Основы рационального использования земель. НЭОЦП. М.: 1985,
94. Буркадзе В. К. Догонадзе Г.Г Особенности использования земельных ресурсов в горных регионах Грузинской ССР. Ереван 1985 Г.
95. Важанин П.Г. Проблема повышения эффективности использования земель в сельском хозяйстве. М. ГИЗР 1984 г.

96. Вашанов В.А. Экономический ущерб от изъятия сельскохозяйственных земель «Вопросы экономики» 1984 г., №8
97. Гендельман М.А. Семин Л.С. Межотраслевое распределение земель. «Вопросы экономики». 1981, №2 стр. 94.
98. Гиоргобиани О.Л. Основные проблемы управления научно-техническим прогрессом в пищевой промышленности. Докт. дис. Тб.: 1989
99. Догонадзе Г.Г. Некоторые вопросы земельной реформы в Грузии. М.: Васхнил, 1991, с.4.
100. Маршания Л.В. Пути эффектовного использования продовольственного потенциала сельского хозяйства Грузинской ССР. Автореферат док. дис. Тб.: 1987 г., с.45.
101. Месхия Я.Е. Теория и практика макроэкономического прогнозирования. Тб. «Сакартвело», 1989 г., с. 166.
102. Методика экономической оценки важнейших видов природных ресурсов. М. ГИЗР. 1989 г.
103. Методические рекомендации по денежной оценке земель, виды, определение суммы платежей (налоги) за пользование земель. ВНИИПЧ АПК Ростов, 1990, с.52.
104. Методические рекомендации по определению производственного потенциала в сельском хозяйстве. М.: ВНИОЗОХ 1990, с.42.
105. Илин С.С., Бабинов А.Н. Крестьянское (фермерское) хозяйство и рынок. М.: 1995, с.268.
106. Сагдик А.Э. Земельная собственность и ренты. М.: Агропромиздат, 1991, с.80.

107. Коваленко Н.Я. Развитие рыночных отношений в сельском хозяйстве: Тенденции и проблемы. Мю: 1996, с.50.
108. Тамбовцев В.А. Государство и переходная экономика: пределы управляемости. М.: 1997 г., с. 235.
109. Попов Н.А. Экономика сельскохозяйственного производства. М. 1999 стр. 350.
110. Чаянов А.В. Основные идеи и формы организации крестьянской кооперации. М.: «Наука», 1991 г., с.146.
111. Эвере А. Предпринимательское управление в фермерстве. АПК: Экономика, управление. 1992, №11, с. 41.
112. Улистун В.Н., Лойко П.Ф. Механизм регулирования земельных отношений. АПК. Экономика, Управление. 1991 г., №3, с. 15-20.
113. Годуадзе С. – Развитие земельного рынка в Грузии – Конференция развития земельной реформы стран Кавказа, Тб. 5-6, 2002.
114. Нецветаев А. – Земельное право, М. МГУ 2001.
115. Ешашвили Д. – Стратегия консолидации земли и улучшенного управления земли Грузии – Конференция развития земельной реформы в странах Кавказа. Тб. 05.06. 2002.
116. Савицкая Г.В. Анализ хозяйственной деятельности предприятий АНК. М., 2003.